# დღევანდელი ნომერი საიუბილეოა
# ლელო 75 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№085 (12764) 13 აპრილი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



## ახალი ვარიანტი ქეცბაიასთვის

» 2

# გვირტყეს და ვურტყით



ირაკლი ნატრიაშვილს ასულიერებენ

## დიდი ჩხუბი ბუქარესტში



...გაჰკიოდნენ, გახიეთ ქართველებიო

» 13

კახაბერ ურჩაევს ყბის ძვალი გაუტეხეს

## პე ეს პე
## ჩემი ოჯახის აფთიაქია




## ყენიას ბუნდესდებიუტი

### ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ტოპლიგელი



ნამიეც და ლევან ყენია თამაშში ჩაერთვება

ინტერვიუ ლევან ყენიასთან და ლეგიონერის ამბები

» 2,5

ქართული ფეხბურთი

მოსალოდნელი გადაადგილება

# თემურ ქეცბაია ნამდვილად მიდის

## გზა საბერძნეთისკენ: ისევ პანიონიოსი, პლუს ატრომიტოსიც

რამდენიმე დღის წინათ კვიპროსული „ანორთოსისიდან" **თემურ ქეცბაია**ს მოსალოდნელ წასვლაზე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ მისი გადაბირებით ბერძნული სუპერლიგის კლუბი „პანიონიოსია" დაინტერესებული. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქეცბაია ფამაგუსტელთა დამრიგებელი აღარ იქნება. დიახ, მწვრთნელმა, რომელმაც არა მხოლოდ „ანორთოსისის", არამედ საერთოდ, კვიპროსული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი დაწერა, გარემოს შეცვლა გადაწყვიტა. მან ეს უკვე მასმედიასაც გაუმხილა. შაბათს, ლიდერ ნიქოზიის აპოელ-თან საგარეო მარცხის (2:0)შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ქეცბაიამ პირად გეგმებზეც ისაუბრა:

*„ეს სეზონი ჩვენთვის ძალზე რთული იყო. ყველაფერზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. მართალია, ევროტურნირებზე თამაშით ბევრი გავაოცეთ, მაგრამ კვიპროსის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში წარუმატებლად ვიასპარეზეთ და ამას ჩემს თავზე ვიღებ. ვფიქრობ, „ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელის რანგში ეს ჩემთვის უკანასკნელი თუ არა, ერთ-ერთი ბოლო მატჩი იყო. დასრულდება სეზონი და ჩემს გადაწყვეტილებას ყველა გაიგებს... გულშემატკივარს უყვარს ეს გუნდი და იმედი მაქვს, „ანორთოსისის" საქმე უკეთესად იქნება, ხალხი პროგრესს დაინახავს. სეზონის ბოლომდე სამი მატჩი დაგვრჩა და მეორე ადგილისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ".*

ბუნებრივია, ქეცბაიას სიტყვებს მასმედია ჩაეძია. ბერძნული და კვიპროსული ვებგვერდები - „სიგმალაივი", „ტიპოსი", „კონტრა", „გაზეტა"... ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველ სპეციალისტს უკვე გადაწყვეტილი აქვს „ანორთოსისის" დატოვება, რაც ამ კლუბში მომხდარი ამასწინანდელი სკანდალითაცაა (როცა კლუბის პრეზიდენტი დააკავეს და მერე გაუშვეს) გამოწვეული. პრესას სჯერა - რომ არა ეს ფაქტი, ქეცბაია მისამართს არ შეიცვლიდა, „ანორთოსისიც" აღარ დაკარგავდა ამდენ ქულას და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც ნაადრევად არ ჩამოშორდებოდა.

ჩვენებურის თემას ეხმაურება ვებგვერდი „სპორტოგიც". მასალის სათაური ასეთია - **„ქეცბაია „პანიონიოსში" თუ „ატრომიტოსში"?** სტატიაში ერთი საგულისხმო აბზაცია - აღდგომის დღესასწაულის შემდეგ ქეცბაია „ატრომიტოსის" პრეზიდენტ **გეორგიოს სპანოსს** შეხვდება (როგორც ჩანს, ეს უკვე შეთანხმებულია) და ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდებაო.

ორიოდ სიტყვით „ატრომიტოსზე". ამჟამად, გუნდის მთავარი მწვრთნელი სერბი **დრაგან კოკოტოვიჩია**. მისი ხელმძღვანელობით ეს ათენური კლუბი პირველი ლიგის B ზონას ლიდერობს. შაბათს ამ გუნდმა კალამარიის „აპოლონი" 2:1 დაამარცხა და ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე უახლოეს მდევარ „იანინას" ექვსით, ხოლო მესამეზე მყოფ „კავალას" ერთბაშად 12 ქულით უსწრებს, შესაბამისად, სუპერლიგის საგზური უკვე განაღდებული აქვს. მიუხედავად წარმატებისა, „ატრომიტოსის" პრეზიდენტმა სპანოსმა ამ თვის დასაწყისში განაცხადა, რომ კოკოტოვიჩს კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს. მისი აზრით, სუპერლიგისთვის გუნდს უფრო მაღალი დონის მწვრთნელი სჭირდება. „ეს" მწვრთნელი მას თურმე შეგულებულიც ჰყავს, თუმცა მისი ვინაობის გამხელას ჯერ არ აპირებს.

პარალელურად, ბერძნულენოვანი ვებგვერდები ამტკიცებენ, რომ ქეცბაიას მიმართ ინტერესი არ განელებია „პანიონიოსსაც". ოღონდ, მიმომხილველები ერთ დეტალს უსვამენ ხაზს - თავის დროზე, როცა თემურმა „ანორთოსისი" ჩაიბარა, გუნდი მთავარი ლიგის აუტსაიდერი იყო, „ატრომიტოსი" კი სუპერლიგაში ახლა დაბრუნდა. 41 წლის ქეცბაიას ერთობ კარგად გამოსდის ნაკლებად ცნობილ კლუბებში წარმატების მიღწევა და სახელის მოხვეჭა...

**დავით ცაბაძე**

საჭირო ფეხბურთელი

# სლალომისტი მახაჩყალიდან

## ვინ ეტყვის კუპერს სიმართლეს?

არაერთხელ გვითქვამს, **გოჩა ხოჯავა** ეროვნული ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელი უნდა იყოს და იქნებ, **ექტორ კუპერმა** რომელიმე ამხანაგური მატჩისთვის მაინც გამოიძახოსთქო, მაგრამ, როგორც ჩანს, არგენტინელს რუსეთის პირველი ლიგა და მახაჩყალის „ანჟი" ყურში ცუდად ხვდება. გუშინწინ ხოჯავამ „ბალტიკას" ორი გოლი გაუტანა და იქნებ, ამით მაინც მიიქციოს კუპერის ყურადღება. გოჩამ ორივე გოლი სლალომურ სოლორეიდებს მიაყოლა, ორჯერაც ბურთი ძელს გაარტყა - იუწყება „ანჟის" ვებგვერდი...

ამასწინათ, „ლელოში" ალბათ წაიკითხავდით იმის შესახებ, რომ ხოჯავათი მოსკოვის „სპარტაკია" დაინტერესებული. მანამდე, შარშანდელი სეზონის ბოლოს, ხოჯავას აყვანა რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე კიდევ ერთ კლუბს - „ამკარს" სურდა, მაგრამ გოჩამ გვითხრა, „ანჟი" 2009 წელს პრემიერლიგაში გადასვლას აპირებს და კლუბში დარჩენა მთხოვეს, მეც პირად ურთიერთობებს ანგარიში გავუწიე და დაღესტნურ გუნდში ამიტომაც ვრჩებიო...

..."ელექტრონი" და „ირაო" - პროფესიულ კლუბამდე გოჩამ იქ მიიღო პირველი საფეხბურთო გაკვეთილები. მისი მწვრთნელი **გურამ ჩომახიძე** გახლდათ. მერე იყო უმაღლესი ლიგის „თბილისი", **გიორგი დევდარიანის** (საქართველოს 17-წლამდელთა ახლანდელი მწვრთნელი) ძალზე სიმპათიური და საინტერესო გუნდი, სადაც ხოჯავა ისე ათამაშდა, ახალგაზრდულ ნაკრებშიც უხმეს. ჩვენს 21-წლამდელებს მაშინ **რევაზ არველაძე** წვრთნიდა, ვინც ახლა ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანია და გოჩამ „ლელოს" უთხრა კიდეც - ფედერაციიდან ჩემით მხოლოდ არველაძე დაინტერესდაო...

მაგრამ გენერალური მდივანი ნაკრების მწვრთნელს ვერაფერს ურჩევს, ეს მის მოვალეობაში არ შედის, მაგრამ კუპერმა ვიღაცას ხომ უნდა მოუსმინოს? ვიღაცის რჩევა ხომ უნდა გაითვალისწინოს?

ნორმალური ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებში არსებობს ტექნიკური დეპარტამენტი, რომელსაც აქვს მონაცემთა სრულყოფილი ბაზა ეროვნული და ყველა ასაკობრივი ნაკრების წევრ-კანდიდატებზე. ტექნიკური დეპარტამენტი ერთიან სისტემაში აქცევს ყველა ნაკრებს, მიზანმიმართულად მუშაობს და ეროვნული ნაკრების მწვრთნელს საქმეს უადვილებს ფეხბურთელთა სელექციაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ტექნიკურ დირექტორად ჰყავდა **პეტარ შეგრტი**, რომელიც **ნიკა ჩხეიძემ** შეცვალა. ჩხეიძე ჯერ მხოლოდ საორგანიზაციო და მენეჯერულ საკითხებს კურირებს, ანუ მძლავრი, ქმედითი ტექნიკური დეპარტამენტი ფედერაციას ჯერ არ გააჩნია, თორემ კუპერი ჟურნალისტებს არ გვეტყოდა - რომ მაკრიტიკებთ, ამა თუ იმ ფეხბურთელს რატომ ვათამაშებ ნაკრებში, ისიც მითხარით, მათ ნაცვლად ვინ უნდა ვათამაშოო.

დრიბლინგი, დაფარული პასები, ეფექტურად თამაშის უნარი - 2005 წელს „თბილისი" ფაქტობრივად რომ დაიშალა, 19 წლის ხოჯავა „ანორთოსისში" წავიდა, მერე „როსტოვში" აღმოჩნდა, მაგრამ... ის პერიოდი ვერ გამოდგა კარგი ამ მართლაც ჩინებული მონაცემების მქონე ფეხბურთელისთვის, რაც პირველ რიგში, ალბათ, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, მაგრამ მერე ბევრი რამ შეიცვალა - ხოჯავა უკვე სტაბილურად თამაშობს „ანჟის" ძირითადში, სტაბილურად კარგი თამაში კი თავისით არ მოდის. „ამკარი" და



გოჩა ხოჯავა

„სპარტაკიც" ისეთი კლუბები არ არიან, საგულდაგულო დაკვირვების გარეშე რომ დაადგამენ თვალს ფეხბურთელს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გუნდები რუსეთის პრემიერლიგაში თამაშობენ.

*„რუსეთის პირველ ლიგაში ხოჯავას თამაშს ვერ ვუყურებ და ზუსტად ვერც გეტყვით, ამ ეტაპზე რა კონდიციაშია, მაგრამ ნიჭით ყველა იმ ნახევარმცველს მირჩევნია, ვინც ბოლო დროს თამაშობს საქართველოს ნაკრებში. კუპერის 4-3-3 განლაგებაში ხოჯავას ადგილს უფრო მარჯვენა თავდამსხმელად ვხედავ, ამ პოზიციაზე მას „თბილისშიც" უთამაშია",* - ასეთია დევდარიანის აზრი ყოფილ შეგირდზე.

„ანჟიში" ხოჯავა ათი ნომერია, პლეიმეიკერად თამაში მისი სტიქიაა, ის ცაციაა და ცაციებისთვის დამახასიათებელი, თავისებური დრიბლინგი აქვს.

...და ვინ ეტყვის ამ ყველაფერს კუპერს?

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

ლევან ყენია




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნდესდებიუტი და არანაირი მღელვარება

## მთავარი ცვლილება კობიაშვილია

**კოჭის** ტრავმა, მერე მისი გამიზეზება, შემდეგ დაჭიმული და გაწყვეტილი კუნთი... ლევან ყენიას 2008/09 წლების სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდა, თუმცა ბუნდესლიგური დებიუტი მაინც მოასწრო - გუშინწინ, „შალკემ" „კარლსრუეს" 2:0 რომ მოუგო, ყენია მატჩის მიწურულს შეუშვეს შეცვლაზე. ლევანი 18 წლისაა და მის კარიერას ყველა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს. საქართველოს ნაკრებში მაღალი კლასის ფეხბურთელების დიდი დეფიციტია და, რა თქმა უნდა, ყენია ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენი ეროვნული გუნდისთვის.

ბუნდესლიგის დასრულებამდე 7 ტური დარჩა და იმედია, ყენია კიდევ არაერთხელ გავა მოედანზე. გუშინ კი ლევანს ბუნდესლიგაში დებიუტი მივულოცეთ და ინტერვიუც ვთხოვეთ...

**- თავის გამოჩენისთვის ბევრი დრო არ გქონდა, მოასწარი რამე?**

- სულ 3-4 წუთი მომიწია თამაშმა და მგონი, ბურთს სულ ორჯერ შევეხე. ასეთ დროს რა უნდა მომესწრო? ფაქტობრივად, მოედანზე შევედი და თამაშიც დასრულდა. ასეთი გამოდგა ჩემი დებიუტი ბუნდესლიგაში...

**- რას ნიშნავს შენთვის ის, რომ უკვე ითამაშე ბუნდესლიგაში? განსაკუთრებული ემოციებით არ დაიტვირთე?**

- არ აქვს მნიშვნელობა, სად ვთამაშობ - მოედანზე რომ გავდივარ, არასდროს არ ვნერვიულობ, ჰოდა, არც ბუნდესლიგური მატჩი იყო გამონაკლისი, ჩვეულებრივად ჩავერთე თამაშში.

**- „შალკეს" თავკაცმა მიხაელ ბუსკენსმა რა დავალება მოგცა?**

- კონკრეტული და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, ზონის გადაკეტვისას ყურადღებით იყავიო. ჩვენ 4-3-3 განლაგებით ვთამაშობთ და მარჯვენა თავდამსხმელის პოზიცია დავიკავე, ჩემ მიერ შეცვლილი ჯეფერსონ ფარფანიც ამ ადგილზე თამაშობდა.

**- თანაგუნდელები არ გამხნევებდნენ?**

- განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, მითხრეს - აბა, შენ იცი და მორჩა. აქ ხომ ყველა თავისი საქმის პროფესიონალია, ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და ყველა ფეხბურთელს ასე უყურებენ.

**- ჯანმრთელობის მხრივ როგორ გაქვს საქმე, კუნთი ბოლომდე მოირჩინე?**

- კი, ახლა უკვე აღარაფერი მაწუხებს.

**- კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან ეროვნულ ნაკრებში იყავი გამოძახებული, თუმცა არ ჩამოსულხარ. ალბათ, „შალკეში" გირჩიეს, დარჩი და ტრავმა ბოლომდე მოირჩინეო...**

- კლუბში მართლაც მითხრეს, ნუ ნახვალო. ესეც რომ არა, 6 თვე არ მქონდა ნათამაშები, კვიპროსთან მატჩის დროს ექიმებმა მხოლოდ ძუნძულის ნება დამრთეს, ფიზიოთერაპიას ვიკეთებდი. ცხადია, ასეთ დროს გელზენკირხენში დარჩენა და მკურნალობა მერჩივნა.

**- რამდენი ხანია, რაც გუნდთან ერთად ვარჯიშობ?**

- ორ კვირაზე ცოტა მეტი იქნება. „კარლსრუემდე" „არმინიასთან" რომ გვქონდა თამაში, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, გუნდთან ერთად ვარჯიში მხოლოდ ერთი კვირის დაწყებული მქონდა.

**- საკუთარ თავს როგორ ატყობ, ამ დროისთვის რა კონდიციაში ხარ?**

- ოპტიმალური ფორმისგან ძალიან შორს ვარ, თუმცა ცუდად მომზადებულიც არ მეთქმის.

**- რამდენად რეალურია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში მწვრთნელმა უფრო მეტი ხნით შეგიშვას მოედანზე?**

- მომდევნო ტურში შინ ვთამაშობთ, „კოტბუსთან". ამის გათვალისწინებით, ალბათ, მეტი დრო უნდა გამომიყოს მწვრთნელმა.

**- სეზონის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლია, ტრავმებმა ხელი შეგიშალა და საკუთარი თავი ჯერაც ვერ წარმოაჩინე ბუნდესლიგაში - რას უნდა ველოდოთ ლევან ყენიასგან დარჩენილ მატჩებში?**

- ეს სეზონის მართლაც გამიცდა, დარჩენილი მატჩები ბუნდესლიგასთან შესაჩვევად უნდა გამოვიყენო. იმედია, იმდენს მაინც მოვახერხებ, რომ მწვრთნელმა ერთი მატჩი მაინც მათამაშოს სრულად.

**- „შალკედან" ფრედ რუტენის წასვლითა და მიხაელ ბუსკენსის მოსვლით მნიშვნელოვნად რა შეიცვალა გუნდის ტაქტიკასა და სტილში?**

- ყველაზე უფრო თვალში საცემი ლევან კობიაშვილისთვის პოზიციის შეცვლაა - რუტენის დროს ის ნახევარდაცვის ცენტრიდან მარცხნივ იყო გადაწეული, ბუსკენსმა კი ცენტრში გაამწესა და კობიც ბევრად უკეთ ათამაშდა, ფაქტია, რომ ასეთი ცვლილება „შალკესაც" ძალიან წაადგა - ბოლო ორ მატჩში ლევანმა მართლაც კარგად ითამაშა. სხვა რამ განსაკუთრებული ცვლილება ბუსკენსს არ მოუხდენია.

**- და ბოლო კითხვა: „ბარსელონასთან" 0:4-ის შემდეგ ისევ ქომაგობ მიუნხენის „ბაიერნს"?**

- აღარ ვქომაგობ! „ბაიერნი" „ბარსელონასთან" მოყვარულთა გუნდს ჰგავდა. ვფიქრობ, „ბარსელონასა" და ლეო მესის ამ სეზონში ვერავინ შეაჩერებს.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXVII ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვე ასეთებიც გვიკვირს...

**11.04. თბილისი. ამერი. 300 მაყურებელი**

**გაგრა-სიონი**

**1:2**

0:1 ჭელიძე (39 ხიდეშელის პასით), 1:1 ცხადაძე (54. გიგაურის პასით), 1:2 ბაჯელიძე (89. ბობოხიძის პასით)

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი (46. გაბუნია), გიგაური, კოზლენკო, ტყეშელაშვილი - ოვონიკოკო (80. თუხარელი), შარიქაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი (46. ფილია) - გაბედავა, ცხადაძე.

*სათადარიგოები: ხომერიკი, ჩხაიძე, გედენიძე, მოსიაშვილი*

სიონი: ჭანტურია - ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე - გ. მერ. ხიდეშელი, დიდავა (81. ლ. ბაჯელიძე), ზ. ჭელიძე, სანიკიძე - მიკუჩაძე (69. დავითაშვილი), რ. გოცირიძე (85. ბობოხიძე).

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, რუსეიშვილი, მუჯირი, შალამბერიძე*

გაფრთხილება: კუპრეიშვილი (45), მიკუჩაძე (45), სანიკიძე (53), კოზლენკო (82)

არბიტრი: ო. ხეცაძე

გუშინდელი მეტოქეების პირველი წრის შეხვედრაში კულმინაცია ბოლო წუთებზე მოხდა, როცა „გაგრამ" პენალტით შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ქულის მოპოვება. და აი, კვლავაც ბოლო წუთები, ოღონდ, ამჯერად იღბალმა უკვე ბოლნისელებს გადმოხედა და ბევრი რომ არ ელოდა, „სიონმა" ისეთი სამი ქულა მოიპოვა. ჰო, ჩვენთან ხომ ერთობ არასასიამოვნო სტერეოტიპია დამკვიდრებული: უმოტივაციო გუნდმა ქულები აქეთ-იქით უნდა არიგოს. ერთი შეხედვით, „სიონს" ამ ჩემპიონატში არაფერი უნდა აინტერესებდეს; მაშინ, როცა ახალგაზრდული „გაგრა" უმაღლესში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის. თუმცა **ოთარ კორღალიძის** გუნდმა ღირსება ყველა ეჭვზე მაღლა დააყენა და განსაკუთრებულად მოტივირებულ მეტოქესთან გაიმარჯვა! არადა, მეორე მხრივ, მასპინძლებიც არ იმსახურებდნენ დამარცხებას - ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარეს და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს. თუმცა ხან უზუსტობამ დაალალატათ და ხან კი გრიგოლ ჭანტურიას ვერ აჯობეს. მაგრამ საბოლოო შედეგის მისაღწევად მხოლოდ 35-40 წუთი საკმარისი არ არის და ეს დაუწერელი საფეხბურთო კანონი ნამდვილად არ ესწავლებათ „სიონის" გამოცდილ მოთამაშეებს. არადა, გამოცდილებას ჩვენს ჩემპიონატში ფასი ჯერ კიდევ აქვს...



ანგარიში ბაჩანა ცხადაძემ (ბურთით) გაათანაბრა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...აპრილისთვის უჩვეულოდ სუსხიან ამინდში ორივე გუნდმა ტემპიანი ფეხბურთი შემოგვთავაზა; თუმცა პირველ ტაიმში უფრო პოზიტიური ბრძოლა მიმდინარეობდა და ორივე გუნდის მეკარეებს ბევრი სამუშაო არც ჰქონიათ. სახიფათო მომენტებიც თითზე ჩამოსათვლელი თუ შეიქმნა: ჯერ **ბაჩანა ცხადაძის** შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. მერე კი **მიკუჩაძე-ხიდეშელის** ლამაზ კომბინაციას სტუმართაგან ვერავინ „გამოეხმაურა". თუმცა „სიონმა" მაინც შეძლო პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნა - **გიორგი ხიდეშელმა** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში მაღალი ტრაექტორიით გაგზავნა, იქ კი ყველას **ზაზა ჭელიძემ** დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა.

შესვენებაზე „გაგრას" მთავარი მწვრთნელის კონსულტანტმა (ოფიციალურად სწორედ ასე მოიხსენიება) **ვიქტორ კაშჩეიმ** ორმაგი ცვლილება განახორციელა და ყველაფერი ეს მასპინძელთა თამაშზეც აისახა. განსაკუთრებით კარგად ჩაერთო თამაშში მარჯვენაფლანგელი **ერეკლე ფილია** და სწორედ მის გამჭოლ გადაცემას მოჰყვა საკამათო ეპიზოდიც: მასპინძელთა აზრით, სტუმართა მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა! სხვათა შორის, მოგვიანებით, საპირისპირო მხარესაც იგივე განმეორდა. თუმცა შეხვედრის არბიტრმა ორივე შემთხვევაში წესების დარღვევად არ მიიჩნია.

ამასობაში კი „გაგრა" ზეწოლას ახორციელებდა და მალე მასპინძლებს გარჯა დაუფასდათ; თანაც ისეთი შეტევა იყო, სტუმრებს გადარჩენის შანსი რომ არ ჰქონდათ: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთთან ყველაზე ადრე **ოვონიკოკი** გაჩნდა, თუმცა მისი დარტყმა ხარიხამ „მოიგერია"; გადმოვარდნილ ბურთზე ყველას **დავით გიგაურმა** დაასწრო და თავით მეკარის ბაქანში დააბრუნა, აი, იქ კი ბაჩანა ცხადაძემ ლამაზი „მაკრატელათი" სტუმართა გამოცდილი მცველები და უფრო გამოცდილი მეკარე უშანსოდ დატოვა. ამ, მართლაც, ეფექტურმა გოლმა მასპინძლებს ფრთები შეასხა და მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე. ჰოდა, კინაღამ დაისაჯნენ კიდეც - მარჯვენა ფლანგზე კვლავაც ხიდეშელის აქტიურობას გამჭოლი გადაცემა მოჰყვა, მაგრამ **რეზო გოცირიძის** ახლოდან დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა. აი, ეს იყო და ეს - 89-ე წუთამდე „სიონს" მეტოქე აღარ შეუწუხებია, სამაგიეროდ, სტუმართა მეკარეს ედგა დიდი ჯაფა. **ჭანტურიას** არაერთი კონკრეტული მატჩი ჩაუტარებია მაღალ დონეზე, და გამონაკლისი არც გუშინდელი შეხვედრა იყო: სტუმართა მეკარემ ათწუთიან (!) ინტერვალში საკუთარი კარი, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც გადაარჩინა! **ოვონიკოკი**, ფილია, ცხადაძე, **გაბედავა** - მასპინძელთა ოთხივე ამ ფეხბურთელმა, ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველაფერი სწორად გააკეთეს, მაგრამ მეტოქის გამოცდილ მეკარეს მაინც ვერ აჯობეს. ერთ ეპიზოდში კი „გაგრას" ჭაბუკი ლეგიონერი ოვონიკოკო ბურთს ვერ მისწვდა, არადა, **გაბედავას** ჩინებული პასის მერე, ფაქტობრივად, მარტოდმარტო რჩებოდა ჭანტურიასთან. მოკლედ, მეორე ტაიმში „გაგრას" უპირატესობა აშკარა იყო და ამიტომაც ლოგიკურად ჩანდა ოთარ კორღალიძის გადაწყვეტილება, როცა მოედანზე სიტუაციის შესაცვლელად სამი ბევრის მნახველი და გამოცდილი ფეხბურთელი შეიყვანა. სტუმრებმა ნელ-ნელა „დაალაგეს" თამაში. თანაც, ამაში... ოვონიკოკის შეცვლაც „დაეხმარათ"; ჰო, მასპინძელთა უკრაინელი მწვრთნელ-კონსულტანტის მესამე ცვლილება ნამდვილად ვერ აღმოჩნდა ეფექტიანი. თუმცა „გაგრას" მაინც მიეცა გამარჯვების შანსი: მატჩის დამთავრებას ოთხი წუთიღა აკლდა, როცა კუთხურის მერე გიგაური ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ცდილობდა გოლის გატანას - ბურთმა ხარიხას ზემოდან გადაუფრინა!

სამაგიეროდ, სტუმართა მწვავე კონტრშეტევა შედეგიანად დასრულდა: ორმა გამოცდილმა ფეხბურთელმა ჩინებული კომბინაცია გაითამაშა და **მიხეილ ბობოხიძის** ზუსტი პასის მერე **ლევან ბაჯელიძემ** ოსტატური დარტყმით საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. ეგ კი არა, ერთ წუთში უკვე ბობოხიძე ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ მისი შორეული დარტყმა **თევდორაძემ** გაჭირვებით მოიგერია.

აი, ასე დასრულდა ეს საინტერესო მატჩი. მატჩი, სადაც „ფეირ-პლეის" პრინციპები ორივე გუნდმა დაიცვა. არადა, ეჭვებით „გაჟღენთილ" ქართულ საფეხბურთო სივრცეში უკვე ასეთი რაღაცებიც გვიკვირს...

**გია ტუხაშვილი**

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 25 | 16 | 8 | 1 | 43-14 | 56 |
| 2. დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 54-18 | 55 |
| 3. ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 29-19 | 43 |
| 4. ოლიმპი | 25 | 11 | 9 | 4 | 27-16 | 42 |
| 5. სიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28-21 | 39 |
| 6. მგლები | 25 | 8 | 6 | 11 | 29-31 | 30 |
| 7. ლოკომოტივი | 24 | 8 | 6 | 10 | 26-25 | 30 |
| 8. მესხეთი | 24 | 5 | 8 | 11 | 15-31 | 23 |
| 9. გაგრა | 25 | 5 | 6 | 14 | 19-40 | 21 |
| 10. სპარტაკი | 24 | 4 | 6 | 14 | 23-39 | 18 |
| 11. ბორჯომი | 25 | 2 | 6 | 17 | 18-57 | 12 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 12 | 10 | 2 | 0 | 34-10 | 32 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 21-8 | 25 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 8 | 0 | 4 | 18-10 | 24 |
| 4. ოლიმპი | 12 | 6 | 5 | 1 | 14-5 | 23 |
| 5. მგლები | 13 | 7 | 1 | 5 | 19-10 | 22 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 5 | 3 | 5 | 13-9 | 18 |
| 7. სიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-10 | 17 |
| 8. გაგრა | 13 | 4 | 4 | 5 | 14-17 | 16 |
| 9. მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-11 | 13 |
| 10. სპარტაკი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-18 | 10 |
| 11. ბორჯომი | 13 | 1 | 4 | 8 | 10-24 | 7 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 4 | 0 | 22-6 | 31 |
| 2. დინამო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-8 | 23 |
| 3. სიონი | 13 | 6 | 4 | 3 | 14-11 | 22 |
| 4. ოლიმპი | 12 | 5 | 4 | 3 | 13-11 | 19 |
| 5. ზესტაფონი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| 7. მესხეთი | 13 | 2 | 4 | 7 | 5-20 | 10 |
| 8. სპარტაკი | 12 | 2 | 2 | 8 | 11-21 | 8 |
| 9. მგლები | 12 | 1 | 5 | 6 | 10-21 | 8 |
| 10. ბორჯომი | 12 | 1 | 2 | 9 | 8-33 | 5 |
| 11. გაგრა | 12 | 1 | 2 | 9 | 5-23 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

**მომდევნო ტური**

**17 აპრილი, პარასკევი**

ბორჯომი-ლოკომოტივი
გაგრა-სპარტაკი

**18 აპრილი, შაბათი**

მგლები-ოლიმპი
დინამო-მესხეთი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

*სიონი ისვენებს*

**14 აპრილი, სამშაბათი**

თასის 1/2 ფინალი , პირველი მატჩები

**პირველი ლიგა**

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ჰერეთი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-თბილისი | 3:0 |
| ნ/დინამო-ამერი | 2:5 |
| გაგრა 2-კახეთი | 2:1 |
| სიონი 2-დილა | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 23 | 16 | 5 | 2 | 41-11 | 53 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 15 | 5 | 3 | 39-8 | 50 |
| 3. ჩიხურა | 22 | 14 | 5 | 3 | 40-13 | 47 |
| 4. დინამო 2 | 22 | 11 | 8 | 3 | 34-16 | 41 |
| 5. დილა | 23 | 9 | 7 | 7 | 31-21 | 34 |
| 6. თბილისი | 23 | 9 | 3 | 11 | 35-35 | 30 |
| 7. სიონი 2 | 23 | 7 | 5 | 11 | 27-48 | 26 |
| 8. გაგრა 2 | 23 | 6 | 3 | 14 | 30-47 | 21 |
| 9. კახეთი | 23 | 3 | 6 | 14 | 15-40 | 15 |
| 10. ჰერეთი | 22 | 2 | 8 | 12 | 16-46 | 14 |
| 11. ნ/დინამო | 23 | 2 | 7 | 14 | 23-45 | 13 |

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| ბათუმი-მარტვილი | 1:0 |
| ზესტაფონი 2-ბაია | 1:2 |
| ხობი-სამტრედია | 1:0 |
| ჭიათურა-კოლხეთი | 2:1 |
| გურია-მეშახტე | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 23 | 16 | 2 | 5 | 41-18 | 50 |
| 2. ბაია | 23 | 15 | 5 | 3 | 42-14 | 50 |
| 3. მარტვილი | 22 | 13 | 6 | 3 | 31-16 | 45 |
| 4. ხობი | 23 | 10 | 3 | 10 | 25-35 | 33 |
| 5. კოლხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 30-24 | 32 |
| 6. ტორპედო 2008 | 20 | 9 | 2 | 11 | 21-16 | 29 |
| 7. ჭიათურა | 23 | 9 | 2 | 12 | 31-36 | 29 |
| 8. გურია | 23 | 8 | 4 | 11 | 31-35 | 28 |
| 9. ბათუმი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-32 | 28 |
| 10. ზესტაფონი 2 | 23 | 6 | 5 | 12 | 20-31 | 23 |
| 11. მეშახტე | 22 | 1 | 4 | 18 | 41-51 | 7 |

# დებიუტშივე მონადირებული...

**11.04. გორი. ქართლი. 500 მაყურებელი**

**სპარტაკი-ბორჯომი**

**2:0**

1:0 ჯანგიძე (6. თურმანიძის პასით), 2:0 მეტრეველი (8)

სპარტაკი: კოდალაევი - თურმანიძე, გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ქორიძე - ავალიანი (86. მაისურაძე), ჯანგიძე (46. ჩივაძე), შონია, ჯიქია - მეტრეველი (88. გაბელაია), სირბილაძე.

*სათადარიგო: იაშვილი, ოქროპირიძე, კობახიძე, მგალობლიშვილი*

ბორჯომი: შეყრილაძე - მანთიძე (46. გოგოლაძე), ხაჩიძე, მენთესაშვილი, ნ. ლომიძე - დათუნაშვილი (58. ლაბაძე), დევიძე (73. ქათამაძე), ბაქრაძე, შ. ლობჟანიძე - კიკნაძე, პავლიაშვილი.

*სათადარიგო: ოქრომელიძე, როხვაძე, გოგსაძე*

გაფრთხილება: კიკნაძე (56)

არბიტრი: მ. ურუშაძე

ბუნებრივია, აუტსაიდერთა მატჩი პრინციპული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად მოეხსენება, რა მდგომარეობაშიცაა ამჟამად „ბორჯომი". შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ სამცხელებს ბოლო ხანებში კარგად ათამაშებულ და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის თავგანწირვით მებრძოლ ცხინვალის „სპარტაკისათვის". „ბორჯომის" ფინანსურ სიდუხჭირეს სულ უფრო მეტი პრობლემა მოაქვს. გაურკვევლობაა მთავარი მწვრთნელის საკითხში. მაგალითად, ამ მატჩის ოქმში გუნდის დამრიგებლად **იგორ დენისკინი** იყო მითითებული...

ცხინვალელებმა 3 ქულისათვის ბრძოლა თავიდანვე აქტიური იერიშებით დაიწყეს. უკვე მე-5 წუთზე **მეტრეველმა სირბილაძე** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და რომ არა „სპარტაკის" თავდამსხმელის დაგვიანებული რეაქცია, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ერთ წუთში გოლი მაინც გავიდა - მარცხენა ფრთიდან **თურმანიძის** მიერ ჩაწოდებულ საჯარიმოს სტუმართა კარის მისადგომებთან **ჯანგიძემ** თავი დაუხვედრა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა - 1:0.

მასპინძლებმა აუტსაიდერს გონზე მოსვლა არ აცალეს - ორიოდ წუთში ამჯერად უკვე ჯანგიძის მიერ ჩაწოდებული ჯარიმა იქცა გოლად, რომელიც მეტრეველმა გაიფორმა - 2:0. ცხინვალელთა ტერიტორიულ უპირატესობას ტაიმის ბოლომდე არაფერი დამუქრებია. „ბორჯომი" ოდენ დაცვითი ოპერაციებით იყო დაკავებული. „სპარტაკს" კი ჯერ მე-17 წუთზე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, როცა **ქორიძის** პასი ვერ გამოიყენა **ჯიქიამ**, და მერე 25-ე წუთზე, როცა სანაქებოდ მოთამაშე ჯანგიძემ სირბილაძე გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა შეტევის დამაგვირგვინებელი ფაზა კვლავ არაზუსტი იყო.

პირველი, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი სტუმრებმა 32-ე წუთზე შექმნეს. საჯარიმოში შეჭრილმა **კიკნაძემ** მცველს აუარა გვერდი და გადაცემა გააკეთა კარის გასწვრივ, სადაც დამრტყმელი არავინ აღმოჩნდა. 43-ე წუთზე მეტრეველს გასამება და საკუთრივ დუბლის გაფორმება შეეძლო, თუმცა მისი თავური მეკარემ ვერ მოიგერია და მცველმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

შესვენების შემდეგ „სპარტაკის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ჯანგიძე იძულებით შესაცვლელი შეიქნა, ოღონდ აღსანიშნავია, რომ ცუდად არც მისი შემცვლელი **ჩივაძე** ჩართულა მატჩში. მოედნის ცენტრიდან მასპინძელთა მიერ წარმოებულ იერიშებში ისიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, აი, შესვენებამდე საკმაოდ პროდუქტიულად მოქმედი **თურმანიძე** და **ავალიანი** კი საგრძნობლად მოდუნდნენ. თუმცა ავალიანს ორჯერ მაინც ჰქონდა გატანის მცდელობა, მაგრამ ამაოდ.

მეორე ნახევრის შუში ცხინვალის გუნდმა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა გარკვეულწილად დათმო. **სერგო გაბელაიას** შეგირდებს გასააქტიურებლად რამდენჯერმე **კოდალაევის** მოწოდებაც დასჭირდათ. მიუხედავად მეორე ტაიმში „სპარტაკის" ერთგვარი ინერტულობისა, მეტოქე ანგარიშის შესამცირებლად საკმაოდ უნიათოდ ირჯებოდა. ის, რომ ბორჯომელებმა ღირებული თითქმის ვერაფერი შექმნეს, ცხინვალელთა დაცვისა და შუა ხაზის სწორი მოქმედების დამსახურებაც იყო.

შეხვედრის მიწურულს მასპინძლებს სწრაფი იერიშებით კიდევ შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ ჩივაძის მონდომებამ ნაყოფი ვერ გამოიღო - მან ჯერ **ჯიქია** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელმაც მომენტი ქარს გაატანა, შემდეგ კი თავად სცადა გატანა, მაგრამ ახლოდან ძლიერად დარტყმულს **შეყრილაძე** ადგილზე დახვდა.

**მატჩის შემდეგ**

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** „ამ მატჩში ჩვენი უპირველესი მიზანი 3 ქულა იყო და ვინაიდან ამ მიზანს მივაღწიეთ, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ. შესაძლოა, თავად თამაში მაინცდამაინც კარგი ვერ გამოვიდა, მაგრამ ეს უფრო იმის ბრალი იყო, თავიდანვე რომ დავწინაურდით. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 2:0-ზეც არაერთი კარგი საგოლე მომენტი გვქონდა და, შესაბამისად, სხვაობის გაზრდაც შეგვეძლო".

**ვახტანგ მაისურაძე (ბორჯომის ტექნიკური დირექტორი):** „რთული თამაში იყო. „სპარტაკს" 3 ქულა სჭირდებოდა, ყველაფერი გააკეთა საამისოდ და შედეგიც მიიღო. ჩვენ კი... ჩვენ აღარაფერი გვიშველის. სამწუხაროდ, ფაქტობრივად, უკვე დავტოვეთ უმაღლესი ლიგა".

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

ნოვაცია

# დავით ებრალიძე
# კანონები წაიკითხეთ, გადასახადებს ტყუილად იხდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


დავით ებრალიძე

## ინტერვიუ, რომელიც ყველა პრეზიდენტმა უნდა წაიკითხოს

მცირე ხნის წინათ „ზესტაფონის" მენეჯერად დავით ებრალიძე დაინიშნა, პიროვნება, რომელსაც საფეხბურთო სამყარო კარგად არ იცნობს, თუმცა მალე გაიცნობს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის სალი იდეები, რომელსაც ბატონი დავითი სწორედაც რომ ამ საფეხბურთო სამყაროს (და არა მარტო „ზესტაფონს") სთავაზობს. მისი წინადადებების განხორციელება ქართული ფეხბურთის განვითარებაში უდიდეს როლს შეასრულებს, თუ ის კარგად გაიაზრეს და გაითავისეს. საქმე ეხება რევოლუციურ რეფორმას, რომელსაც საკანონმდებლო ცვლილებაც არ სჭირდება - თურმე, ოდენ კარგად წაკითხვა უნდა. დანარჩენს კი ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ უფრო კონკრეტულად...

**- ბატონო დავით, საფეხბურთო კლუბის მენეჯერად ენერგოომბუდსმენის დანიშვნა რითი უნდა ავხსნათ?**

- ჩვენმა კომპანიამ „ზესტაფონის" მენეჯმენტი ჩაიბარა. წმინდა საფეხბურთო საკითხებში ჩვენ არ ვერევით.

**- კლუბის მენეჯმენტი წმინდა საფეხბურთო თემაა. საქართველოში მომგებიანი კლუბი, ალბათ, მხოლოდ „ვიტ ჯორჯიაა". მენეჯმენტის თვალსაზრისით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?**

- პრობლემა უამრავია, მაგრამ უმთავრესი - ფინანსების არარსებობაა. დღევანდელი პირობებით, ქართული ფეხბურთის მაღალ დონეზე განვითარება რთულია. გადავხედოთ, რა თანხები მოძრაობს რუსულ ფეხბურთში და ჩვენს მძიმე მდგომარეობას უკეთ დავინახავთ. ამდენად, დღევანდელ ვითარებაში უპირველეს ამოცანად არსებული რესურსების სწორად მართვა მიმაჩნია. ამ თვალსაზრისით, ხარჯების მინიმიზაცია პირველი გზაა და კონკრეტული წინადადებებიც გაგვაჩნია. ფეხბურთის ფედერაციასთან ეს საკითხები უკვე განვიხილეთ და მათ ჩვენი წინადადებები ძალიან მოეწონათ.

**- კერძოდ...**

- პირველი საკითხია მიწის გადასახადი. კანონით, დღეს საქართველოში არსებული მოედნები განიხილება როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ერთ ჰექტარზე გადასახადი 3 000 ლარია, მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გადასახადი მხოლოდ 90 ლარია. ხედავთ, რამხელა განსხვავებაა? ჩვენი წინადადებაა, მოედნები მეორე კატეგორიაში გადაიყვანონ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტატუსი მიანიჭონ.

**- ეს როგორ უნდა მოხდეს?**

- ნატურალური ბალახი ზუსტად იგივეა, რაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ზუსტად იგივენაირად ხდება მიწის კულტივაცია, სასუქების შეტანა, დამუშავება და ასე შემდეგ. ამიტომაც, ჩემი აზრით, არასწორია, როცა მათ პირველ კატეგორიაში განიხილავენ. აქედან გამომდინარე, გუნდებსა და საფეხბურთო სკოლებს გაცილებით ნაკლები გადასახადები ერგებათ, ვიდრე დღეს იხდიან. მე კანონის შეცვლაზე კი არ ვლაპარაკობ, ეს არსებული კანონებითაც დაშვებულია, ოღონდ, მისი კორექტირებაა საჭირო. აქამდე, მოედნებს არასწორი მუხლი ჰქონდათ მიყენებული, მაგრამ საკითხი ასე არავის დაუსვამს. თუ ვინმე იტყვის, რომ მოედანზე ძროხა არ ძოვს და მასზე ადამიანები დარბიან, ამას კანონისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საგადასახადო კოდექსის თანახმად, მთავარია, რა შრომის შედეგად მოჰყავთ მოედანი.

**- იდეა მშვენიერია, მაგრამ გუნდმა და საფეხბურთო სკოლამ მეორე კატეგორიით რომ გადაიხადოს, საგადასახადო ინსპექცია არ შეედავება?**

- სწორედ ამაში გვჭირდება ფეხბურთის ფედერაციის დახმარება. შესაძლოა, ერთი კლუბისთვის ამ საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ მთელი საფეხბურთო სისტემისთვის ეს უდიდესი ეკონომია იქნება. ახლა ფეხბურთის ფედერაცია საგადასახადო ინსპექციას წინადადებით მიმართავს და საკითხი მისი ეგიდით თუ გადაწყდება.

**- დადებითი პასუხის იმედი გაქვთ?**

- დიახ, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

**- ეს გადაწყვეტილება, თუ მიიღეს რასაკვირველია, ქართული ფეხბურთისთვის რევოლუციის ტოლფასი იქნება...**

- ყოველთვის იყო ლაპარაკი, ქართული ფეხბურთისთვის შეღავათების დაწესებაზე. ამ დროს კი უკვე არსებობს კანონმდებლობა, რომლითაც, რატომღაც, ადრე ვერ ვსარგებლობდით.

**- ალბათ, თქვენი ინიციატივა ხელოვნურსაფრიან მოედნებს არ ეხება...**

- დიახ, არ შეეხება. მაგრამ ეს არ არის ჩვენი ერთადერთი წინადადება, მეორე - წყლის გადასახადს ეხება. ყველამ იცის, რომ ეს უდიდესი ხარჯია. ენერგოომბუდსმენი ვიყავი და წყლის ტარიფში კარგად ვერკვევი. ის ორი ელემენტისგან შედგება: ერთი არის წყლის გასუფთავება-მოწოდება-დამუშავების ტარიფი და მეორე - მისი უტილიზაცია, ანუ კანალიზაცია და ასე შემდეგ. მოედნების მორწყვის დროს, კლუბებს წყლის ხარჯის მეორე ელემენტი, კანალიზაცია, არ სჭირდებათ. არადა, ორივეს გადასახადს იხდის და ეს უდიდესი შეცდომაა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მეორე ნაწილს ტყუილად იხდიან. მოედნების მორწყვის გადასახადიც გადასახედია - ეს არის მელიორაცია, ამიტომ, მისთვის სპეციალური ტარიფი უნდა დაწესდეს და ესეც მნიშვნელოვან შეღავათს მოგვცემს. უფრო სწორად, ტარიფებში კოლოსალური განსხვავება იქნება. ამ საკითხის მოსაგვარებლად ფეხბურთის ფედერაციამ სემეკ-ს უნდა მიმართოს. სემეკ-ი კი, ვალდებულია, საკითხი განიხილოს და დააკმაყოფილოს.

**- ნუთუ, ეს აზრი საფეხბურთო სამყაროში დღემდე არც ერთ ადამიანს თავში არ მოსვლია?**

- სულ გვესმის, რომ პარლამენტში სხვადასხვა წინადადებაა შესული, რომელიც სპორტის განვითარებას ითვალისწინებს. როგორც დავადგინე, საკანონმდებლო ორგანოში არც ერთი წერილობითი წინადადება არ არის შეტანილი. ანუ, უფრო მეტს ვლაპარაკობთ, რეალურად კი ჩამოყალიბებული წინადადებები არ არსებობს. ამას გარდა, მესამე საკითხიც წამოვწიე - ტრანსფერების თემა. დღეს ჩვენთან ტრანსფერები ხარჯად აღირიცხება, არადა, ეს არის არამატერიალური აქტი. შესაძლოა, იურიდიულ საკითხებში გაუთვითცნობიერებული ადამიანი ამაში ვერ ერკვეოდეს. ამიტომაც, გასაგებ ენაზე ვისაუბრებ - როცა კლუბი ფეხბურთელს უცხოეთში ყიდულობს, თანხის 10 პროცენტი ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს. ეს ოპერაცია განიხილება როგორც მომსახურების ხარჯი, არადა, ტრანსფერი, ფიფა-უეფასა და საერთო მიდგომით, არამატერიალური აქტივია, იურიდიული უფლება, იგივე ლიცენზია. ამდენად, ის არა ხარჯად, არამედ, იურიდიულ აქტივად უნდა აღირიცხოს. ეს კი ნიშნავს, რომ ხარჯის გადასახადს აღარ იხდი და შეგიძლია, ფეხბურთელს გარკვეული თანხა დაახარჯო. 23-წლამდელი ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში რომ გადიან, ვერ ვასაბუთებთ, რა ხარჯი გვაქვს მასზე გაწეული. ამიტომაც, უცხოური კლუბი „მოჭრილ" თანხას იხდის, რაც, ხშირ შემთხვევაში, მიზერულია. როცა ხარჯებს დაასაბუთებენ, მერე მოთამაშეში რეალურ თანხას გადაიხდიან. ეს ჩვენი კლუბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ახალგაზრდების უცხოეთში გაშვებით იღებენ. საკითხის ამგვარად დაყენება ამ ბიზნესში მნიშვნელოვანი იქნება იმითიც, რომ კლუბები შავი ბუღალტერიით აღარ დაინტერესდებიან. ისინი აღრიცხავენ ფეხბურთელთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და დაინტერესებულ კლუბს წარუდგენენ. უცხოელთა მიერ გადახდილი ფული კი მიზერია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ჩვენმა კლუბებმა მიიღონ. ამას ემატება მოთამაშეთა მომსახურების ხარჯები, რაც სერიოზულ თანხებს უკავშირდება. საკითხი აქაც არასწორადაა დაყენებული - ფეხბურთელების კვება შეღავათადაა მიჩნეული. ამ დროს, ეს შეღავათად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, სტამბაში, თუ უფროსი მუშებს კვებავს. სპორტში, და კერძოდ ფეხბურთში, იმიტომ კვებავ მოთამაშეს, რომ გარკვეულ ფიზიკურ კონდიციამდე მიიყვანო. ასე რომ, ეს არის ჩადებული აქტივი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიბეგროს. არადა, დღეს მოთამაშის კვება საშემოსავლოთი იბეგრება.

**- უცნაურია, ზოგჯერ რამხელა აბსურდს შეიცავს კანონი...**

- ჰოდა, ეს საკითხიც უნდა მოგვარდეს. დარწმუნებული ვარ, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დადებითად გადაწყვეტა ფეხბურთს უდიდეს შეღავათს მისცემს. ეს, რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს. არანაკლები პრობლემებია მენეჯმენტშიც. „ზესტაფონში" ჩვენი მიზანია, კლუბი რაც შეიძლება მომგებიანი გახდეს. უნდა გავზარდოთ ისეთი მოთამაშეები, რომელთაც მაღალი დონის კლუბებში გავყიდით. ვგულისხმობ სოლიდურ ტრანსფერებს და არა - მოთამაშეთა დაბალ ფასში გაშვებას, მაგალითად, ისეთს, როგორიც დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან" შედგა - უკრაინელებმა ბექა გოცირიძეში მილიონი ევრო გადაიხადეს. ამგვარი მიდგომები არა მარტო ჩვენთან, მთლიანად ქართულ ფეხბურთში უნდა დავნერგოთ.

ახალი თაობა

# ჭანტურიას დუბლი ბარსელონაში

გუშინ სარაგოსაში 1992 წელს დაბადებულ ბავშვთა ოთხთა ტურნირი დასრულდა. ადგილობრივ „სარაგოსასთან" ერთად, მასში „ბარსელონას", მადრიდის „რეალისა" და მადრიდის „ატლეტიკოს" 17-წლამდელთა გუნდებიც მონაწილეობდნენ. ეს ამბავი ჩვენთვის იმიტომაც გახდა საინტერესო, რომ „ბარსას" შემადგენლობაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" ყოფილმა თავდამსხმელმა **გიორგი ჭანტურიამ** ითამაშა.

პირველ დღეს „ბარსელონა" მადრიდის „ატლეტიკოს" დაუპირისპირდა. თავიდან, „როხიბლანკო" დაწინაურდა - 0:1. ამის შემდეგ ჭანტურიამ დუბლი შეასრულა და წინ უკვე „ბარსა" გაიჭრა. საბოლოოდ კი, კატალონიელებმა 5:2 გაიმარჯვეს და ფინალშიც გავიდნენ. გადამწყვეტი შეხვედრა მათ ჰქონდათ მასპინძელ „სარაგოსასთან", რომელმაც ნახევარფინალში „რეალი" დაამარცხა. „ბარსელონამ" 3:1 გაიმარჯვა. მართალია, ამ შემთხვევაში ჭანტურიას არ გაუტანია, თუმცა კარგად უთამაშია და მწვრთნელისგან ქებაც დაუმსახურებია.

ბიზნესლიგა



გია ჯანგავაძე დაჯილდოების პროცესში

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში შაბათს მორიგი მატჩები გაიმართა. პრემიერლიგაში მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა: **პეპსი-შერატონი 1:2, სარბიელი-სეუ 5:9, იბერია ბიზნეს ჯგუფი-სპორტის დეპარტამენტი 0:2.** გადაიდო ორი მატჩი: **პატრული-ვისოლი და კვირის პალიტრა-ალგორითმი 1.**

# ალკოჰოლიზმის წამალი

## გართობა? არა, ლტოლვილთა დახმარება!

უმაღლეს ლიგაში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: **დინამო თბილისი-თიბისი ბანკი 5:3, სპორტმედია-საქართველოს უნივერსიტეტი 0:2, ამტს-იუჯითი 0:6, ალგორითმი 2-აფხაზეთი 1:4, კორ სტანდარტ ბანკი-საქართველოს ბანკი 3:2.**

ტურნირის დირექტორ **გია ჯანგავაძის** თქმით, შაბათს მონაწილეებმა საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს: *„ტურნირის საქველმოქმედო ფონდი 10 ათას ლარს შეადგენს. ეს თანხა საწევრო შენატანებიდან შეიკრიბა. გამარჯვებულს მარმარისში, მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, რომელშიც რუსული, უკრაინული და თურქული კლუბებიც ითამაშებდნენ. ჩვენი აზრით, ასეთი გაჭირვების ფონზე გასართობ ტურნირში მონაწილეობა უზნეობა იქნებოდა და საერთო გადაწყვეტილებით, უარი განვაცხადეთ. შესაბამისად, საპრიზო ფონდს მთლიანად ლტოლვილ ბავშვებს მოვახმართ. სხვათა შორის, „ვისოლის" წარმომადგენლებთან ერთად 100-მდე ბავშვს ბურთები და ფორმები გადავეცით. ასე იქნება ყოველი ტურის შემდეგ"*, - გვითხრა ჯანგავაძემ.

რაც შეეხება თავად ტურნირს, მისი დირექტორი ხუმრობს: *„ნელ-ნელა ვითარება იძაბება. გუნდები სერიოზულად ეკიდებიან ტურნირს, ერთკვირიან ციკლს გეგმავენ და ამის მიხედვით ემზადებიან. მეტი მიღწევა რა გინდათ?! - ტურნირის მონაწილეები პარასკევობით აღარ სვამენ. მიხარია, რომ მოთამაშეები დამეგობრდნენ და მატჩები კორექტულად მიმდინარეობს"*.

გვედრი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლეგიონერის უქმეები

# ყენიას და ასათიანის

ლატვიაში მოთამაშე 22 წლის ლადო დვალიშვილს იმ უბრალო მიზეზით არ გაუტანია მორიგი გოლი, რომ ვირსლიგა 9-გუნდიანია და ამჯერად მისი „სკონტო“ ისვენებდა. ქართული გოლები კი ცოტა გავიდა, დუბლით თავი „ანჟის“ შუახაზელმა გოჩა ხოჯავამ გამოიჩინა, თითო გოლი კი „ბაქის“ ფორვარდის გიორგი ადამიას, ჰაიფელი ირაკლი გეფერიძისა და ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველის ალექსანდრე ამისულაშვილის ანგარიშზეა, მაგრამ ამ უქმეებზე ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დებიუტი შედგა, გელზენკირხენში ბუნდესლიგამ 18 წლის ქართველი პირველად იხილა...



დავით მუჯირი

## ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ტოპლიგელი

18 წლის **ლევან ყენია** შაბათს ყველაზე ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელი გახდა, ვისაც ევროპის რომელიმე ტოპლიგაში (ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი) უთამაშია - „შალკე“-„კარლსრუეს“ მატჩის 88-ე წუთისთვის, როცა მან კარიერაში პირველად შეძლო ბუნდესლიგის მატჩში თამაში (მან **ჯეფერსონ ფარფანი** შეცვალა) ლევანი 18 წლის, 5 თვის და 3 კვირის იყო. ამჟამინდელი რეკორდი ზუსტად ერთი კვირით სჯობს **ლევან მჭედლიძის** მიერ 24 სექტემბერს დამყარებულ რეკორდს, როდესაც ქართველ ფორვარდს „ნაპოლის“ წინააღმდეგ სერია A-ში დებიუტი ჰქონდა, იგი ზუსტად 18 წლის და 6 თვის იყო. „ფელტინს-არენაზე“ გატარებული სამი წუთი ალბათ სამუდამოდ დაამახსოვრდება ქართველ ფეხბურთელს, მიუხედავად იმისა, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში სულ ოთხჯერ შეეხო ბურთს და სამი ზუსტი პასი გააკეთა. მართალია, ყენიას დებიუტს გერმანულ მედიაში არავითარი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, მაგრამ ჩვენთვის ეს მართლაც დიდი მოვლენაა - იგი მერვე ქართველი ფეხბურთელია ბუნდესლიგის ისტორიაში. ისე, ყენიას ტრავმების გამო გვარიანად გაუჯანჯლდა დებიუტი, თორემ მჭედლიძის რეკორდს რამდენიმე თვის წინათ დაამხობდა.

ყენიასთვის სადებიუტო შეხვედრაში, მოედანზე შესვლისას იქ ერთი ქართველიც არ იმყოფებოდა, „შალკეს“ ნახევარმცველი **ლევან კობიაშვილი** (22 თამაში) ენგელაარმა 72-ე წუთზე შეცვალა, ხოლო **ალექსანდრე იაშვილი** (16 თამაში, 1 გოლი) „კარლსრუედან“ კიდევ ვერ მოხვდა მატჩის განაცხადში. სანამ მოედანზე იყო, კობიაშვილმა ცენტრალურ ნახევარმცველად ითამაშა. იგი 58-ჯერ შეეხო ბურთს, ქართველის პასების სიზუსტე 86 პროცენტია. „შპორტალმა“ ქართველ ლეგიონერს 4-იანი დაუწერა. ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე „შალკე“ 43 ქულით მე-7 ადგილზეა, „კარლსრუეს“ კი (18 ქულა, ბოლო ადგილი) ალბათ ველარაფერი უშველის.

დღეს მეორე ბუნდესლიგის სეზონის ცენტრალური თამაშია, პირველადგილოსანი „ფრაიბურგი“ (49 ქულა) უშუალო მდევარ „მაინცს“ (47 ქულა) ეწვევა, ძნელი სავარაუდოა, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ახალგაზრდა ქართველი, **დავით თარგამაძე** (5 თამაში) გამოჩნდეს. **ლევან ცქიტიშვილის** (3 თამაში) „ვეენმა“ კვლავ უქართველოდ ითამაშა და სტუმრად „ინგოლშტადტს“ დაუზავდა - 0:0. „ვეენი“ 21 ქულით ბოლოადგილოსანია და თითქმის განწირულია გასავარდნად. ლევანი კი ჯერჯერობით ვერაფრით შეეწია თავის გუნდს. მეორე ბუნდესლიგის პოლუსებიდან „ოქროს შუალედში“ გადავინაცვლოთ, „მიუნხენი“ „კობლენცთან“ სტუმრად 2:3 დამარცხდა. „ლომები“ 34 ქულით მე-10 ადგილზე არიან. **მათე ღვინიანიძემ** (19 თამაში) წინა ტური გრიპის გამო გამოტოვა, ახლა კი უთამაშებლობის მიზეზი უცნობია.

## ხიზანიშვილი სკამზე, მჭედლიძე OUT

„ლივერპულთან“ 0:4 შერცხვენაში „ბლექბერნის“ ქართველ მცველს **ზურაბ ხიზანიშვილს** ბრალი არ მიუძღვის - იგი ვერაფრით ხვდება ძირითად შემადგენლობაში. ჩვენებური განაცხადში კი იყო, მაგრამ იგი **სემ ელერდაისმა** მოედანზე არ შეიყვანა. „ბლექბერნი“ 36 ქულით მე-16 ადგილზეა, ასე რომ, გავარდნის საფრთხე დიდია.

**ლევან მჭედლიძეს** (8 თამაში, 1 გოლი) სერია A-ს ლიდერ „ინტერთან“ მატჩში შანსი არ მიეცა, „პალერმო“ მილანში 2:2 დაუზავდა მეტოქეს, ქართველი ფორვარდი განაცხადს მიღმა დარჩა. „პალერმო“ 46 ქულით მე-7 ადგილზეა.

## ქეცბაიამ კრიზისი და სავარაუდო წასვლა აღიარა

ქართველთა „შტურმმა“ ვენაში „რაპიდი“ 1:0 დაამარცხა. ეს ძალზე პრინციპული მატჩი იყო, ახლა გრაცელებს მესამეადგილოსან დედაქალაქელებთან მხოლოდ ქულა აშორებთ. **ილია კანდელაკმა** (29 თამაში, 1 გოლი) და **გიორგი შაშიაშვილმა** (28 თამაში) შეუცვლელად ითამაშეს. არადა, „შტურმმა“ მატჩი 10 კაცით დაასრულა.

დანიურ სასლიგაში მოიგო **დავით დევდარიანის** „ორჰუსმა“, რომელმაც შინ „ჰორსენსი“ 1:0 დაამარცხა. აუტსაიდერთან მატჩში მე-20 წუთზე გამოჩნდა. „ორჰუსი“ 28 ქულით მე-6 ადგილზეა.

უნგრულ შოპრონილიგაში „დიორი ეტომ“ მტკ 3:1 დაამარცხა, **ბრნოვიჩის** ჰეთ-ტრიკის წყალობით. ქართული დუეტიდან მხოლოდ **დავით ოდიკაძემ** (90 წუთი) ითამაშა. მან nb1.hu-სგან 6 ბალიანი შეფასება დაიმსახურა. **დავით იმედაშვილის** „სპარტაკუსი“ შინ 0:1 დამარცხდა „კაპოშვართან“. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და 5 ქულა მიიღო. „დიორი ეტო“ 27 ქულით მე-9 ადგილზეა, „სპარტაკუსი“ 26 ქულით მე-13-ეა.

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ ამ სეზონში უკვე მეექვსედ დამარცხდა. ფამაგუსტელები სტუმრად 0:2 დამარცხდნენ ლიდერ აპოელ-თან. ქართველის გუნდი საბოლოოდ ჩამოსცილდა საჩემპიონო რბოლას. **კლიმენტი წიტაიშვილს** არ უთამაშია. „აპოლონი“ **ლევან მაღრაძის** გარეშე ასრულებს სეზონს, ამ გუნდმა 2:0 აჯობა **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსს“, ქებაძემ სრულად ითამაშა. „აპოლონი“ 45 ქულით მეხუთეა (მეორე ჯგუფის ლიდერია), „ეთნიკოსს“ 41 ქულა აქვს და მეექვსე ადგილზეა. აპოელ-თან მატჩის შემდეგ გაცხადდა, რომ თემურ ქეცბაია გუნდის დატოვებას აპირებს. თემურმა აღიარა, რომ „ანორთოსისი“ ამჟამად კრიზისშია.

ისრაელის ლეუმითლიგაში კვლავ გამოიჩინა თავი **ირაკლი გეფერიძემ** (26 თამაში, 8 გოლი). ჰაიფას „ჰაპოელმა“ იერუსალიმის „ჰაპოელი“ გაანადგურა - 3:0. მატჩის 55-ე წუთზე გუნდის მეორე გოლი 22 წლის ფორვარდმა შეაგდო. ეს გეფერიძის მესამე გოლია ბოლო ოთხ ტურში.

## პირველი სპარტაკელი

რუსული პრემიერლიგის 4 ტურის შემდეგ უდანაკარგო აღარავინაა. თუმცა ჩვენ თხრობას აუტსაიდერით დავიწყებთ - ნალჩიკის „სპარტაკი“ შინ „სატურნს“ დაუზავდა - 1:1. ეს შეხვედრა უგოლო ფრით სრულდებოდა, რომ არა **ალექსანდრე ამისულაშვილის** მიერ 81-ე წუთზე გატანილი გოლი. ჩვენებურმა მეკარის მოგერიებულს პირველმა მიუსწრო. თუმცა 3 წუთში სტუმრებმა გათანაბრება შეძლეს. ალეკო ერთადერთი სპარტაკელია, რომელმაც ამ სეზონში გოლი გაიტანა. ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, **გოგიტა გოგუა** 73-ე წუთზე შეცვალეს. „სპარტაკი“ 2 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. ტურის ცენტრალურ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივი“ ცსკა-სთან 1:4 შერცხვა. **დავით მუჯირი** 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ერთ წუთში საგოლე პასი გააკეთა - მან საჯარიმოდან კარგად ჩაუწოდა ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჩერნოგორიელ **მარკო ბაშას** და მანაც პრესტიჟის გოლი გაიტანა. მუჯირმა championat.ru-სგან 6 ბალი შეფასება დაიმსახურა. „ლოკომოტივი“ 5 ქულით მე-9 ადგილზეა.

რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა“ გროზნოში 2:1 მოუგო „ტერეკს“. ყაზანელთა გუნდის განაცხადში მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** იყო, ისიც სათადარიგოთა სკამზე. **დავით კვირკველიამ** დუბლებში ითამაშა ერთი ტაიმი. ტერეკელი **ლევან გვაზავა** 70-ე წუთზე შეცვალეს, იგი მაღალი ფლანგური ჩაწოდებებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, championat.ru-სგან ლევანმა 6 ბალი მიიღო. „რუბინი“ 8 ქულით მეოთხეა, ხოლო „ტერეკი“ 7-ით - მეექვსე. მოსკოვურ დერბიში („მოსკვა“-“სპარტაკი“ - 3:1) **გია გრიგალავა** მასპინძელთა სათადარიგო სკამზე იჯდა. „მოსკვა“ 5 ქულით მეშვიდეა.

## ასათიანის ხელახალი დებიუტი

როგორც იქნა, ეროვნული ნაკრების ყოფილმა ლიდერმა **მალხაზ ასათიანმაც** ითამაშა, მისი ხელახალი დებიუტი კიევის „დინამოში“ საკმაოდ დაგვიანდა. 30 ათასზე მეტმა მაყურებელმა იხილა „დინამოს“ გამარჯვება „ჩერნომორეცზე“ - 3:1. მალხაზმა შეუცვლელად ითამაშა ოდესელებთან. დონეცკში კიევის „არსენალი“ ადგილობრივ „მეტალურგთან“ შერცხვა. სტუმართა ფორვარდმა **ლაშა ჯაკობიამ** ბოლო 15 წუთი ითამაშა. ხარკოვში „კარპატი“ ადგილობრივ „მეტალისტს“ დაუზავდა - 1:1 **სანდრო გურულმა** 56-ე წუთამდე ითამაშა და თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.



ილია კანდელაკი (მარცხნიდან პირველი) გოლს ზეიმობს

„დნიპრო“ უქართველოდ გაუმკლავდა „ვორსკლას“ - 2:1. **ჯაბა კანკავა** ტრავმირებულია, ხოლო **ბექა გოცირიძე** სათადარიგო იყო. სიმფეროპოლში „ტავრია“ „კრივბასთან“ დამარცხდა, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ **ვასილ გიგიაძემ** 72-ე წუთიდან ითამაშა, თუმცა არ უაქტიურია. **ლადო ბურდული** მატჩის განაცხადში არ ყოფილა. **გიორგი ციმაკურიძემ** 90 წუთი ითამაშა, მისმა „ზარიამ“ კი 2:0 აჯობა „ხარკივს“. „დინამო“ 61 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „დნიპრო“ 32 ქულით - მეშვიდე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით იმედაშვილი (მარჯვნივ)



ესპანეთი. BBVA ლიგა. XXX ტური

# რამოსი ფეხბურთიდან კორიდაზე...

## ვილიარეალმა საჩემპიონთალიგო ზონა დატოვა


ვილიარეალი-მალაგა. გასპარი ნიჰატის შეჩერებას ცდილობს

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნის" განადგურების შემდეგ „ბარსელონამ" პირველი პრიმერადივიზიონური მატჩი ინერტულად ჩაატარა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელები ემოციურად გამოფიტული იყვნენ და დიდი გამარჯვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლამაზად ვერ ითამაშეს. კატალონიურ გრანდში ყველაზე უკეთ **ანდრეს ინიესტა** გამოუყურებოდა. მან ანგარიში გახსნა და მეორე გოლის გატანაშიც მიიღო მონაწილეობა. „რეკრეატივოს" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შეხვედრის არბიტრ **იტურალდე გონსალესთან** სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ. საქმე ის არის, რომ ბასკმა არბიტრმა **ერსენ მარტინის** მიერ წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალა. რამდენიმე წუთით ადრე კი მან სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, თუმცა **ლეო მესიმ** 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. **ლუკას ალკარასი** ამტკიცებდა, რომ ბასკი არბიტრის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეხვედრის შედეგზე პირდაპირი გავლენა იქონია. **ხოსეპ გვარდიოლას** კი ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს. მის განცხადებას მოგვიანებით შემოგთავაზებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ კატალონიური გრანდის მწვრთნელმა „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ გვარდიოლამ **სამუელ ეტოოს** დასვენების საშუალება მისცა. გარდა ამისა, მან **პუიოლის** სამსახურზეც უარი თქვა. სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა **ჩავი ერნანდესი**. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბარსას" მთავარი მწვრთნელი შემადგენლობას დასვენების საშუალებას აძლევს. კატალონიელებს „რეკრეატივოზე" ბევრად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მოუწევთ დაპირისპირება. ამიტომ პეპის გადაწყვეტილება აშკარად გამართლებულია. რამდენიმე სიტყვით გოლებზეც გეტყვით. ანგარიში პირველ წუთზე გაიხსნა. ინიესტას საგოლე პასი **ტიერი ანრიმ** მიაწოდა. მეორე ტაიმში ანდრესი ვალის დაბრუნებას ცდილობდა, თუმცა **მორისმა** ანრის საქმე გაუადვილა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ამ გამარჯვებით კატალონიელები საჩემპიონო ტიტულს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვნენ. მართალია, „რეალმაც" მოიგო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ნაკლები დარჩა.

პეპ გვარდიოლამ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *„დღეს მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით გავიმარჯვეთ. ამ 3 ქულას ძალიან დიდი ფასი აქვს. ვალიარებ, საკმაოდ უსახურად ვითამაშეთ. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო დღე, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ. მსაჯის გადაწყვეტილებებს რაც შეეხება, არ ვფიქრობ, რომ დღეს მისი დახმარებით გავიმარჯვეთ. „რეკრეატივომ" საკმაოდ კარგად ითამაშა, თუმცა უპირატესობას ჩვენ ვფლობდით და ქულების დაკარგვას ნამდვილად არ ვიმსახურებდით."*

„მალაგამ" „ვილიარეალს" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო და 3 ქულის მოპოვებით ჩემპიონთა ლიგის საგზურზე გააკეთა განაცხადი. დაუჯერებელია, მაგრამ ანდალუსიელები ამ სანუკვარი მიზნისგან სულ რაღაც სამი ქულით არიან დაშორებული. ამ ფიასკოს გამო „ვილიარეალმა" მეოთხე ადგილი დაკარგა და მეხუთეზე გადაინაცვლა. თუ **მანუელ პელეგრინი** და მისი ბიჭები სიტუაციას არ გამოასწორებენ, შესაძლოა, გაისად ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ვილიარეალმა" საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო **გოიტიას** კარი ხელშეუხებელი დარჩა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ **დავიდ ვილია** „ვალენსიას" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. მისი დაბრუნება გუნდმა გამარჯვებით აღნიშნა. უნდა ითქვას, რომ ვილიამ „ღამურების" წარმატებაში ლომის წილი შეიტანა. ამჯერად მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლი ჩაიწერა, მაგრამ ის სხვა ეპიზოდებშიც აქტიურობდა და „სპორტინგის" მცველებს მოსვენებას არ აძლევდა. მასპინძელთა ფორვარდ **ბარალისთვის** ეს შეხვედრა ისტორიული გამოდგა. 32-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებით მან „ელ მოლინონზე" „სპორტინგის" ისტორიაში მე-1000 გოლი გაიტანა.

„ბეტისი" ამ გამარჯვებას ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ელოდა. „რასინგთან" მატჩი ისე დაიწყო, ნებისმიერი გულშემატკივარი იფიქრებდა, რომ ანდალუსიელები მორიგ ფიასკოს განიცდიდნენ, თუმცა **ედუსა** და **ემანას** მეცადინეობით **ლუქსენის** მიერ გატანილ სწრაფ გოლს ფასი დაეკარგა და საბოლოოდ „ბეტისმა" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა.

„ნუმანსიასა" და „ესპანიოლის" დაპირისპირებას ფაქტობრივად ფინალის მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ორი გუნდი პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის. როდესაც სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი, თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. უნდა მოგახსენოთ, რომ ლიგის აუტსაიდერებმა ძალიან ცუდად ითამაშეს და უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი ვერ გაიუმჯობესეს. **მეხუტო გონსალესმა** „ესპანიოლს" გოლი არ ჩაუთვალა. კატალონიელთა მთავარი მწვრთნელი, **მაურისიო პოჩეტინო** სწორედ ამ ფაქტზე წუწუნებდა და დაუფარავად აცხადებდა, 2 ქულის დაკარგვაში მსაჯმაც შეგვიწყო ხელიო.

„ოსასუნამ" ბოლო 3 ტურში ფენომენალური პროგრესი განიცადა. პამპლონელებმა ზედიზედ 3 თამაში მოიგეს და ამ 9 ქულის წყალობით გასავარდნი ზონიდან მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი, **ხოსე ანტონიო კამაჩო** აცხადებს, რომ გადარჩენაზე საუბარი ნაადრევია. მისი თქმით, გულშემატკივრებმა ცოტა ხანი კიდევ უნდა მოიცადონ და შემდეგ იზეიმონ. აღსანიშნავია, რომ ნავარელებმა გამარჯვების ბურთი საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე შეაგდეს. მანამდე „ბილბაო" დაცვაში საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ბასკებს რომ მოეგოთ, 37 ქულით მე-10 ადგილზე იქნებოდნენ, მაგრამ ახლა მე-15 პოზიციაზე იმყოფებიან და გასავარდნ ზონაში მყოფ „რეკრეატივოს" მხოლოდ 4 ქულით უსწრებენ.

„ალმერია" და „მალიორკა" ფაქტობრივად 6 ქულისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ისინი უშუალო კონკურენტები არიან და გამარჯვებას უბრალოდ 3 ქულაზე გაცილებით დიდი ფასი ქონდა. 30-ე ტურამდე „ალმერია" ბალეარელებს 2 ქულით უსწრებდა, მაგრამ ახლა „მალიორკა" გაიჭრა წინ. **უგო სანჩესის** გუნდი პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატად იქცა. არადა, წინა ტურში „ვილიარეალის" 3:0 განადგურების შემდეგ მექსიკელ სპეციალისტს ბევრად უკეთესი შედეგის იმედი ჰქონდა.

„რეალი" დანებებას არ აპირებს. სამეფო კლუბის ფეხბურთელებს პირობა აქვთ დადებული, რომ ჩემპიონობისთვის იქამდე იბრძოლებენ, სანამ ამის თეორიული შანსი მაინც იარსებებს. მადრიდელები ჯერჯერობით პირობას პატიოსნად იცავენ. „ვალიადოლიდის" დამარცხებაში **რაულმა** მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა მსაჯის შეცდომებს ამ შემთხვევაშიც ვერ გავექცევით. ანდალუსიელმა არბიტრმა **რამირეს დომინგესმა რობენის** გოლამდე **გოიტომის** წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა. **სოხე ლუის მენდილიბარმა** ჟურნალისტებთან საუბარში სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, 11-მეტრიანი რომ დანიშნულიყო, არ წავაგებდითო. სამეფო კლუბის ხელმძღვანელებმა საზოგადოება კიდევ ერთხელ მოატყუეს. შეხვედრამდე რამდენიმე დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ არიენ რობენი ტრავმირებული იყო და მოედანზე გასვლას ვერაფრით ვერ შეძლებდა. თუმცა როგორც ხედავთ, ჰოლანდიელმა გარემარბმა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და გოლიც გაიტანა.

ამ შეხვედრაში რამდენიმე აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" სამეფო კლუბის ყოფილი სუპერვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** დაბრუნდა. ინგლისელი ვარსკვლავის ტრიბუნებზე გამოჩენამ იქვე მყოფი გულშემატკივრების აღფრთოვანება გამოიწვია. ინგლისელს მთელი შესვენების განმავლობაში სამახსოვრო ფოტოების გადაღება უწევდა. მაშინ, როცა ბექჰემი „ბერნაბეუზე" დაბრუნებით ხარობდა, დისკვალიფიცირებული **სერხიო რამოსი** შესვენებაზე სტადიონიდან გაიპარა. მოგვიანებით გაირკვა, რომ „რეალის" ახალგაზრდა მცველს ხარების მოედანზე კორიდის სანახავად მიეჩქარებოდა. სერხიო წარმოშობით ანდალუსიელია და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ზოგჯერ კორიდასთან დაკავშირებული ვნება ფეხბურთს ავიწყებს ხოლმე.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

18 აპრილი. ატლეტიკო-ნუმანსია, მალაგა-მალიორკა, ბილბაო-დეპორტივო, ხეტაფე-ბარსელონა, რეკრეატივო-რეალი. 19 აპრილი. ბეტისი-სპორტინგი, ესპანიოლი-რასინგი, ვალიადოლიდი-ვილიარეალი, ვალენსია-სევილია, ალმერია-ოსასუნა.

### ბარსელონა-რეკრეატივო 2:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, მარკესი, კასერესი, სილვინიო - ბუსკეტსი, ინიესტა (75. გლები), გუდიონსენი (62. ჩავი) - მესი, კრკიჩი (64. კეიტა), ანრი.

**რეკრეატივო:** ასიერ რიესგო - ნეფი, მორისი, ანდრეს ლამასი, კასადო - რაფა ბარბერი - კამუნიასი, ხავი ფუეგო, სისი, ნაიარი (75. ერსენ მარტინი) - რუბენი (75. აკალე).

**გოლები:** 1:0 ინიესტა (1), 2:0 მორისი (68-საკ. კარში)

*81-ე წუთზე მესიმ ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(6)-7(4); **კუთხური:** 15-4; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 12-14; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 72 000

### ვილიარეალი-მალაგა 0:2

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი - ანხელი, გონსალო როდრიგესი, გოდინი, კაპდევილია - ბრუნო (75. ხორდი პაბლო), მარკოს სენა, ეგურენი (53. ხ. ლორენტე), იბაგასა - ნიჰათი (53. ფრანკო), როსი.

**მალაგა:** გოიტია - მანოლო გასპარი, ხესუს გომესი, ველიგტონი, კალეხა - ელისეუ, ლოლო, აპონიო, დუდა (84. ნაჩო) - ბაა (86. სალვა ბალესტა), ადრიანი (71. ლუკე).

**გოლები:** 0:1 დუდა (37), 0:2 ელისეუ (85)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 20(6)-8(2); **კუთხური:** 10-5; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 14-13; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 10 000

### რასინგი-ბეტისი 2:3

**რასინგი:** ტონიო - პინილიოსი, გარაი, მორატონი (46. ორიოლი), მარკანო - მუნიტისი, ლუქსენი (75. კოლსა), ლასენი, ოსკარ სერანო (51. კოლტორტი) - პერეირა, ჟიგიჩი.

**ბეტისი:** კასტო - მელი, ხუანიტო, არსუ, ფერნანდო ვეგა - კაპი (82. რივერა), მარკო აურელიო - ოდონკორი (58. ხუანმა), ემანა (87. ჩისკო), მარკ გონსალესი - ედუ.

**გოლები:** 1:0 ლუქსენი (5), 1:1 ედუ (9), 1:2 ემანა (29), 2:2 ჟიგიჩი (33), 2:3 ემანა (53)

**გაძევება:** ტონიო (50. რასინგი)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 14(3)-14(5); **კუთხური:** 10-7; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 21-20; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 16 161

### რეალი-ვალიადოლიდი 2:0

**რეალი:** კასილიასი - მიგელ ტორესი, პეპე, კანავარო (61. გაგო), ჰაინცე - ლ. დიარა, სნეიდერი (74. ვან დერ ვაარტი), რობენი, იგუაინი - რაული, ჰუნტელაარი (61. გუტი).

**ვალიადოლიდი:** ასენხო - პედრო ლოპესი, ლუის პრიეტო, ინიაკი ბეა, მარკოსი - ბორხა (82. აგირე), ალვარო რუბიო, პედრო ლეონი (76. ვიქტორი), ესკუდერო - კანობიო (87. ოგბეჩე), გოიტომი.

**გოლები:** 1:0 რაული (44), 2:0 რობენი (82)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 20(6)-17(9); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 15-15; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 70 000

### ნუმანსია-ესპანიოლი 0:0

**ნუმანსია:** კოლინასი - ხუანრა (81. ლორენსი), სერხიო ორტეგა, ბორისი, დომინგო - მორენო, მარიო (62. ხავიერ გონსალესი), ბარკერო, ნაგორე - არანდა, ა. ეჩებერია (71. გორკა ბრიტი).

**ესპანიოლი:** კამენი - სერხიო სანჩესი, ხარკე, პარეხა, ბერანჟე - კალეხონი (61. რუფეტე), რომან მარტინესი (75. სმილიანიჩი), მოისეს ურტადო, ნენე - რაულ ტამუდო (84. ლუის გარსია), ივან ალონსო.

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 9(4)-18(7); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 32-18; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 9 500

### ოსასუნა-ბილბაო 2:1

**ოსასუნა:** რობერტო - ასპილიკუეტა, სერხიო, ხოსეტო, მონრეალი - ხუანფრანი (63. კიკე სოლა), ვადოჩი, ნექუნამი (63. პუნიალი), პლასილი - მასუდი, პანდიანი (90+1. ექტორ ფონტი).

**ბილბაო:** ირაისოსი - ირაოლა, აიტორ ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი - სუსაეტა (52. ეჩეიტა), ხავი მარტინესი, ორბაისი (84. ეჩებერია), იესტე - ტოკერო, ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 მასუდი (20), 1:1 აიტორ ოსიო (23), 2:1 სერხიო (80)

**გაძევება:** აიტორ ოსიო (49. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 21(5)-10(5); **კუთხური:** 4-1; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 15-15; **ბურთის ფლობა:** 77%-24%

**მაყურებელი:** 18 778

### მალიორკა-ალმერია 2:0

**მალიორკა:** ლუქსი - სკალონი, დავიდ ნავარო, რამისი, აიოსე - ვარელა, მარტი, სანტანა, არანგო (90+2. მარიო სუარესი) - ხურადო (86. კასტრო), ადურისი (82. ვებო).

**ალმერია:** ესტებანი - მანე, აკასიეტე, პელერანო, ბრუნო (46. კორონა) - ხოსე ორტისი, ხუანიტო, ირინეი (66. უჩე), კრუსატი - პიატი (79. ხუანმა ორტისი), ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 კლებერ სანტანა (59), 2:0 კასტრო (90+3)

**გაძევება:** პელერანო (89. ალმერია)

**მაყურებელი:** 14 000

### სპორტინგი-ვალენსია 2:3

**სპორტინგი:** ლაფუენტე - სასტრე, ივან ერნანდესი, ნერუ, ხოსე ანხელი - მიჩელი (81. კიკე მატეო), დიეგო კამაჩო, ლუის მორანი (64. ბილიჩი), კარმელო (85. რაულ კამარა) - დიეგო კასტრო, ბარალი.

**ვალენსია:** სესარი - რაულ ალბიოლი (81. მიგელი), მადურო, მარჩენა, ალექსისი - ალბელდა, პაბლო ერნანდესი (71. ხოაკინი), მიჩელი (51. ბარახა), სილვა - ვილია, მატა.

**გოლები:** 0:1 სილვა (18), 1:1 ბარალი (33-პენ), 1:2 ვილია (54-პენ), 2:2 ბილიჩი (70), 2:3 მატა (87)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 16(7)-5(3); **კუთხური:** 11-3; **თამაშგარე:** 1-6; **ჯარიმა:** 19-11; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 23 000

### სევილია-ხეტაფე 0:1

**სევილია:** პალოპი - ადრიანო, სკილაჩი, დრაგუტინოვიჩი (85. კონე), ფერნანდო ნავარო - ხესუს ნავასი (64. დიეგო კაპელი), მარესკა (53. პეროტი), რენატო, რომარიკი - კანუტე, ლუის ფაბიანო.

**ხეტაფე:** [illegible] - კორტესი, მარიო, კატა დიასი, რაფა (76. [illegible]) - გრანერო (66. კონტრა), კასკერო, პოლანსკი, გავილანი - მანუ, სოლდადო (79. ალბინი).

**გოლი:** 0:1 გავილანი (82)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(5)-12(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 12-11; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 43 000

### დეპორტივო-ატლეტიკო 1:2

**დეპორტივო:** არანსუბია - ლაურე, ლოპო, პაბლო ამო, ლუის ფილიპე - გუარდადო, დე გუსმანი, ხუან როდრიგესი, ლაფიტა (70. ბოდიპო) - ვალერონი - ლასად ნუიუი (75. პაბლო ალვარესი).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო - ჰეიტინგა, პაბლო იბანიესი, უიფალუში, ანტონიო ლოპესი (86. პერნია) - მაქსი როდრიგესი, რაულ გარსია, პაულო ასუნსაო, სიმაო - ფორლანი (88. სინამა-პონგოლე), აგუერო (78. ბანეგა).

**გოლები:** 0:1 აგუერო (45), 0:2 სიმაო (70), 1:2 ბოდიპო (87)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 9(4)-8(4); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 10-19; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 30 | 24 | 3 | 3 | 87-24 | 75 |
| 2. რეალი | 30 | 22 | 3 | 5 | 69-31 | 69 |
| 3. სევილია | 30 | 17 | 6 | 7 | 43-27 | 57 |
| 4. ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 55-43 | 49 |
| 5. ვილიარეალი | 30 | 13 | 9 | 8 | 45-42 | 48 |
| 6. ატლეტიკო | 30 | 13 | 7 | 10 | 60-48 | 46 |
| 7. მალაგა | 30 | 13 | 7 | 10 | 47-47 | 46 |
| 8. დეპორტივო | 30 | 12 | 7 | 11 | 39-42 | 43 |
| 9. ვალიადოლიდი | 30 | 12 | 3 | 15 | 42-49 | 39 |
| 10. რასინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 38-38 | 36 |
| 11. ოსასუნა | 30 | 8 | 11 | 11 | 34-36 | 35 |
| 12. მალიორკა | 30 | 9 | 8 | 13 | 36-48 | 35 |
| 13. ბეტისი | 30 | 8 | 10 | 12 | 44-49 | 34 |
| 14. ხეტაფე | 30 | 8 | 10 | 12 | 40-46 | 34 |
| 15. ბილბაო | 30 | 9 | 7 | 14 | 40-51 | 34 |
| 16. ალმერია | 30 | 9 | 7 | 14 | 36-48 | 34 |
| 17. სპორტინგი | 30 | 11 | 0 | 19 | 38-64 | 33 |
| 18. რეკრეატივო | 30 | 7 | 9 | 14 | 27-43 | 30 |
| 19. ნუმანსია | 30 | 8 | 4 | 18 | 33-59 | 28 |
| 20. ესპანიოლი | 30 | 5 | 11 | 14 | 28-46 | 26 |

**ბომბარდირები:** 26 - ეტო'ო (ბარსელონა); 22 - ვილია (ვალენსია); 20 - ფორლანი (ატლეტიკო); 19 - მესი (ბარსელონა); 17 - ნეგრედო (ალმერია); 16 - იგუაინი (რეალი), კანუტე (სევილია); 15 - ანრი (ბარსელონა), რაული (რეალი); 14 - აგუერო (ატლეტიკო); 12 - როსი (ვილიარეალი); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო), ბარკერო (ნუმანსია).

## II დივიზიონი

### XXXII ტური

**კასტელონი-სარაგოსა 1:1**
გოლები: 0:1 ლოპესი (45), 1:1 ულოა (90-პენ)

**ეიბარი-სოსიედადი 1:1**
გოლები: 0:1 არანბურუ (8), 1:1 ალანა (83-პენ)

**ხიმნასტიკი-ლას პალმასი 0:0**

**ხირონა-მურსია 1:0**
გოლი: 1:0 სანჩონი (41-პენ)

**სევილია II-ალავესი 1:1**
გოლები: 0:1 კუევასი (30), 1:1 ფალი (45)

**ხერესი-ერკულესი 3:0**
გოლები: 1:0 მომო (9), 2:0 მომო (31), 3:0 კალე (58)

**ტენერიფე-ლევანტე 5:1**
გოლები: 1:0 რიჩი (31), 1:1 მორალი (33), 2:1 რიჩი (43), 3:1 ალფარო (44), 4:1 ნინიო (48), 5:1 ალფარო (90)

**ალბასეტე-ელჩე 2:1**
გოლები: 0:1 სანტოსი (6), 1:1 სორიანო (10), 2:1 კოსტა (66)

**ალიკანტე-სალამანკა 0:0**

**სელტა-კორდობა 1:0**
გოლი: 1:0 გილასი (48)

**უესკა-ვალეკანო 0:1**
გოლი: 0:1 პიტი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 32 | 17 | 9 | 6 | 58-35 | 60 |
| 2. ტენერიფე | 32 | 17 | 8 | 7 | 59-39 | 59 |
| 3. ვალეკანო | 32 | 14 | 14 | 4 | 38-27 | 56 |
| 4. ერკულესი | 32 | 15 | 11 | 6 | 60-35 | 56 |
| 5. სარაგოსა | 32 | 15 | 10 | 7 | 56-35 | 55 |
| 6. სოსიედადი | 32 | 12 | 14 | 6 | 35-24 | 50 |
| 7. სალამანკა | 32 | 13 | 10 | 9 | 47-34 | 49 |
| 8. ლევანტე | 32 | 13 | 7 | 12 | 45-49 | 46 |
| 9. კასტელონი | 32 | 11 | 12 | 9 | 40-36 | 45 |
| 10. უესკა | 32 | 11 | 11 | 10 | 38-35 | 44 |
| 11. ხიმნასტიკი | 32 | 10 | 13 | 9 | 46-40 | 43 |
| 12. ელჩე | 32 | 10 | 12 | 10 | 43-38 | 42 |
| 13. ხირონა | 32 | 9 | 15 | 8 | 34-36 | 42 |
| 14. ალბასეტე | 32 | 10 | 10 | 12 | 34-41 | 40 |
| 15. მურსია | 32 | 11 | 6 | 15 | 35-44 | 39 |
| 16. სელტა | 32 | 9 | 12 | 11 | 34-38 | 39 |
| 17. ლას პალმასი | 32 | 8 | 13 | 11 | 39-39 | 37 |
| 18. კორდობა | 32 | 9 | 9 | 14 | 31-38 | 36 |
| 19. ალავესი | 32 | 8 | 8 | 16 | 33-53 | 32 |
| 20. ეიბარი | 32 | 7 | 8 | 17 | 23-44 | 29 |
| 21. ალიკანტე | 32 | 6 | 10 | 16 | 28-51 | 28 |
| 22. სევილია B | 32 | 1 | 10 | 21 | 21-66 | 13 |

## უცხოური ფეხბურთი

**გერმანია.** ბუნდესლიგა. XXVII ტური



ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი. ჯეკო ხსნის ანგარიშს

# იღბალიც ვოლფსბურგისკენაა!

## ბაიერნი აინტრახტთან ბარსელონაა

ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვოლფსბურგი" საჩემპიონო გუნდია. **ფელიქს მაგათის** „მგლებმა" ერთი კვირის წინ მიუნხენის „ბაიერნს" გადაურბინეს (5:1), ახლა კი საჭირო სამი ქულა მოიპოვეს ერთ-ერთ აუტსაიდერ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" და ლიდერობა შეინარჩუნეს. ეს იყო „ვოლფსბურგის" ზედიზედ მეცხრე მოგება და უნდა ითქვას, რომ მაგათის გუნდს გაუმართლა. მოკლედ, „ვოლფსბურგს" საჩემპიონოდ გამზადებული გუნდისთვის დამახასიათებელი იღბალიც თან სდევს. *„ამ გუნდმა დღეს ყველას აჩვენა, რომ ძლიერი ნერვების პატრონია. „ვოლფსბურგი" პირველად თამაშობდა ლიდერის რანგში და დაამტკიცა, რომ თავდაჯერებული, ღირსეული პირველადგილოსანია,"* - ეს სიტყვები ტელეკომპანია „პრემიერის" ექსპერტ **ოტმარ ჰიტცფელდს** ეკუთვნის.

საქმე იმაშია, რომ დომინანტის როლში „გლადბახი" იყო. პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავება მხოლოდ შემდეგში მდგომარეობდა: „ვოლფსბურგს" შეუძლია გოლების გატანა, თუკი სერიოზულად მოინდომებს. მაგალითად, გოლეადორმა **ედინ ჯეკომ** პირველივე საგოლე შანსი გამოიყენა და **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** პასით (ამ უკანასკნელის მე-17 საგოლე პასი) 21-ე წუთზე ანგარიში გახსნა. ეს გახლდათ ჯეკოს მე-11 გოლი მეორე წრეში და მე-16 გოლი ზოგადად ამ სეზონში. „გლადბახს" გათანაბრების შანსი პირველად 47-ე წუთზე მიეცა, მაგრამ **რობერტო კოლაუტის** დარტყმის შემდეგ, ბურთი **დიეგო ბენალიოს** კარის ძელს მოხვდა. ბოლოს და ბოლოს, **ჰანს მაიერის** შეგირდებმა 79-ე წუთზე მაინც შეძლეს წონასწორობის აღდგენა (**დანტე**), მაგრამ მალევე მიიღეს „ვოლფსბურგისგან" საკადრისი პასუხი: 85-ე წუთზე **საშა რიტერმა** მიონხენგლადბახელთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა. იმ დროს, როცა ვოლფსბურგელები რიტერის გოლს ზეიმობდნენ, მაგათი განრისხებული გახლდათ. ფელიქსი: *„ძალიან პასიურები ვიყავით. არადა, შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, მეტოქე წნეხის ქვეშ მოაქციეთ-მეთქი."* თავად განსაჯეთ, ჯეკო ამბობს, მხოლოდ ძლიერებს უმართლებთო.

ჩემპიონთა ლიგაში შერცხვენის შემდეგ (0:4 ბარსელონასთან), ფრანკფურტის „აინტრახტმა" „ბაიერნს" საქმე გაუადვილა: რეკორდმაისტერმა **ფრიდჰელმ ფუნკელის** ძალიან უსუსურ გუნდს 4:0 მოუგო. უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდნენ **იურგენ კლინსმანი** და **ული ჰიონესი** „აინტრახტის" კარში გატანილ თითოეულ გოლს. არადა, ეს გამარჯვება „ბაიერნის" რეალური ძალის შეფასებისთვის ნამდვილად არ გამოდგება. თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ კლინსმანი გაგდებას გადაურჩა. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ „აინტრახტთან" ვერმოგების შემთხვევაში, იურგენს დაიფრენდნენ. ახლა კი, რაკი „ბაიერნი" ლიდერ „ვოლფსბურგს" კუდში უდგას, კლინსის მუშაობის გაგრძელების საშუალებას აძლევენ. და ასე იქნება მანამდე, სანამ მინიმალური მიზნის (მეორე ადგილი) მიღწევას საფრთხე არ დაემუქრება. რაც შეეხება „ბარსელონასთან" საპასუხო მატჩს, კლინსმანი ამბობს, რა თქმა უნდა, თამაშს ვერ შემოვატრიალებთ, მაგრამ „ბარსას" უნდა მოვუგოთო. ჰო, თუკი კატალონიელები მეორე შემადგენლობას ათამაშებენ... საკუთარ მომავალზე კი იურგენი ამას ამბობს: *„2006 წლის მუნდიალის წინ იტალიასთან 1:4 რომ წავაგეთ, ყველა მაკრიტიკებდა, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ დამთავრდა მუნდიალი? როგორ დამთავრდა?* გერმანიის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. თუკი კლინსის ბუნდესლიგაში მესამე ადგილი დააკმაყოფილებს... და კიდევ: კლინსმანმა ისევ სკამზე დატოვა **მიხაელ რენზინგი**, ძირითად შემადგენლობაში კი კვლავ **ჰანს-იორგ ბუტი** ათამაშა. კლინსი: *„მომავალშიც იორგი უნდა ვათამაშო ხოლმე. ის გამოცდილია და რაკი ამიერიდან ჩვენთვის ყველა თამაში გადამწყვეტია, რენზინგს სკამზე ჯდომა მოუწევს. ვიცი, რომ ნაწყენია, მაგრამ არა უშავს, მისი დროც მოვა."* რა გამოდის? „ბაიერნისთვის" მხოლოდ „ბარსელონათი" დაიწყო მნიშვნელოვანი მატჩები? მოკლედ, ლეგენდარული **გიუნტერ ნეტცერისა** არ იყოს, კლინსმანი და „ბაიერნი" - ეს დიდი შეცდომაა!

ზედიზედ მესამე მარცხი და ბერლინის „ჰერტაზე" ერთი თვის წინ შექმნილი ყველა მითი დამსხვრეულია, გერმანიაში დედაქალაქურ გუნდზე, როგორც ჩემპიონობის პრეტენდენტზე, ფაქტობრივად აღარავინ ლაპარაკობს. აკი ამბობდა კიდეც მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი**, ნუ მოგვაკერეთ ფავორიტის იარლიყი, არ ვართ ჩვენ ის ხალხი, ჩემპიონობისთვის რომ ვიბრძოლოთო. შაბათს შვეიცარიელმა ტელეკომპანია ცე-დე-ეფის პირდაპირ ეთერშიც იგივე გაიმეორა. „ჰერტა" კი ამჯერად „ჰანოვერთან" დამარცხდა - გუნდთან, რომელიც საკუთარ მოედანზე კარგი თამაშით გამოირჩევა.

„შალკეს" პრობლემები აღარ აქვს. მას მერე, რაც მენეჯერი **ანდრეას მიულერი** და მწვრთნელი **ფრედ რუტენი** გაათავისუფლეს, გუნდი კარგად ათამაშდა და უკვე ორი მატჩი მოიგო. **მიულდერ-ბიუსკენს-რეკის** მწვრთნელთა ტრიო ისევ ამტკიცებს, რომ ღირსეული თავკაცები არიან („ხუმარებმა" ამჯერად „კარლსრუეს" მოუგეს 2:0). რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, ისინი **კობიაშვილს** ნახევარდაცვაში ათამაშებენ და შაბათს **ლევან ყენიასაც** მისცეს თამაშის შესაძლებლობა (ყენიას პირველი მატჩი ბუნდესლიგაში).

რა დარჩა პირველი წრის სენსაციური გამარჯვებულისგან? არც არაფერი! „ჰოფენჰაიმმა" სახლში „ბოხუმთან" 0:3 წააგო და გუნდი, რომელიც შემოდგომის ჩემპიონი გახდა, მეორე წრის ცხრილში ბოლოსწინა (!) ადგილზეა და მხოლოდ უბედურ „კარლსრუეს" უსწრებს. ჰო, **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი, შეგვიძლია, გავარდნილად მივიჩნიოთ. ფრეების მეფე „დორტმუნდმა" კი სამმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო. **იურგენ კლოპის** ბიჭებმა კრისტოფ დაუმის „თხები" „გალახეს". შესძლებიათ...

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

17 აპრილი. შალკე-კოტბუსი. 18 აპრილი. არმინია-ბაიერნი, კიოლნი-შტუტგარტი, ვოლფსბურგი-ლევერკუზენი, ბოხუმი-ბორუსია (დ), აინტრახტი-ბორუსია (მ), კარლსრუე-ჰოფენჰაიმი. 19 აპრილი. ჰერტა-ვერდერი, ჰამბურგი-ჰანოვერი.

### ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი 1:2

**ბორუსია (მ):** ბეილი-3.5, სტალტერი-4, ბრაუერსი-3, დანტე-4.5, დემსი-2.5, გალაშეკი-3.5 (59. ალბერმანი-4), ბრედლი-4, ბაუმიოჰანი-3.5 (69. ნოივილი-4), მატმური-3.5 (79. გოჰური), მარინი-3, კოლაუტი-4.5.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5, პეკარიკი-4.5, შიმუნეკი-4, ბარძალი-3, მ. შეფერი-3.5, ჟოსუე-4, რიტერი-3 (88. მადლუნგი), გენტნერი-4 (62. დეჟაგა-3.5), მიშიმოვიჩი-2.5, გრაფიტე-3.5 (91. ესვაინი), ჯეკო-2.5.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (21), 1:1 დანტე (79), 1:2 რიტერი (85)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 14(6)-16(7); **ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 6-10; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 49 152

### ბაიერნი-აინტრახტი 4:0

**ბაიერნი:** ბუტი-3.5, ლელი-3.5 (46. ოდო-3.5), ლუსიო-2 (64. ბრენო-3.5), დემიკელისი-3, ზე რობერტო-3, ვან ბომელი-2.5, ოტლი-3, სოსა-2, შვაინშტაიგერი-2, რიბერი-2 (63. პოდოლსკი-4), ტონი-2.5.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-4, პ. ოხსი-4, რუსი-4.5, ბელაიდი-4.5, კიოლერი-5.5, მ. ფინკი-5, კრისი-4, შტაინჰიოფერი-5 (73. მაჰდავიკია), ა. მაიერი-5 (64. ბაირამოვიჩი-4), ქორქმაზი-5 (64. კაიო-4), ლიბეროპულოსი-5.

**გოლები:** 1:0 რიბერი (3), 2:0 ტონი (17), 3:0 ლუსიო (36), 4:0 შვაინშტაიგერი (48)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 15(6)-7(1); **ჯარიმა:** 18-16; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 69 000

### ჰანოვერი-ჰერტა 2:0

**ჰანოვერი:** ენკე-3, ს. პინტუ-2.5 (74. ბ. შულცი), ეგიმანი-3.5, კ. შულცი-3, რაუში-3, ანდრეასენი-4.5, ბალიტში-4 (33. როზენტალი-4), შტაინერი-4 (82. ლალა), ბრუგინკი-3, კრჟინოვეკი-3.5, ჰანკე-3.

**ჰერტა:** დრობნი-4, მ. შტაინი-4.5, ფონ ბერგენი-3.5, შიმუნიჩი-4, როდნეი-4, დარდაი-3.5 (65. პიეჩეკი-4.5), სისერო-3, ებერტი-3.5 (63. დომოვჩიისკი-4), ნიკუ-4 (63. კაჩარი-3.5), რაფაელი-3.5, ვორონინი-5.

**გოლები:** 1:0 ჰანკე (29), 2:0 ბრუგინკი (62)

**გაძევება:** ვორონინი (89. ჰერტა)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 9(3)-15(2); **ჯარიმა:** 16-14; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 47 187

### შალკე-კარლსრუე 2:0

**შალკე:** ნოიერი-3, ლატცა-4, ვესტერმანი-2, კრსტაიჩი-2.5, პანდერი-4, ჯონსი-2, კობიაშვილი-4 (72. ენგელაარი), ფარფანი-2.5 (88. ყენია), ჰალილ ალთინთოფი-4 (75. რაკიტიჩი), სანჩესი-3.5, კურანი-2.5.

**კარლსრუე:** მ. მილერი-4, ჩელოცი-4, დრპიჩი-4.5, ს. ლანგკამპი-3, აიხნერი-3.5, ადუბე-3.5, ტიმი-4.5 (72. ფედერიკო), მუტცელი-3.5 (87. კაპლანი), ა. და სილვა-3.5, შტინდლი-4, ფრაისი-4.5 (65. ზალიკი-4).

**გოლები:** 1:0 კურანი (24), 2:0 ფარფანი (80)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 12(5)-16(6); **ჯარიმა:** 3-13; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 61 397

### ჰოფენჰაიმი-ბოხუმი 0:3

**ჰოფენჰაიმი:** დ. ჰაასი-5.5, ბეკი-3, პ. ნილსონი-4.5 (62. იოზჩანი-3.5), კომპერი-4.5, იანკერი-4, კარლოს ედუარდო-5, ფორსა-4 (46. ვაისი-3.5), სალიჰოვიჩი-4, ობასი ოგბუკე-4.5, ველინგტონი-5 (60. ტერაცინო-5), ბა-4.5.

**ბოხუმი:** ფერნანდესი-3.5, კონჩა-3.5, მალტრიტცი-3, მავრაი-3, იაია-3.5, დაბროვსკი-4, იმჰოფი-4, ეპალე (10. ფრაიერი-2.5), ონო-3 (64. პფერტცელი-3.5), პ. ბიონიგი-3.5 (77. გროტე), შესტაკი-1.

**გოლები:** 0:1 შესტაკი (42), 0:2 შესტაკი (55), 0:3 შესტაკი (69)

**გაძევება:** კარლოს ედუარდო (59. ჰოფენჰაიმი), ჰაასი (61. ჰოფენჰაიმი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19(6)-14(5); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 10-3; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 30 150

### კოტბუსი-არმინია 2:1

**კოტბუსი:** ტრემელი-3.5, რადელიჩი-4.5, კადასი-3.5, კვიტანოვიჩი-3.5, ციბიგი-3.5, ტ. როსტი-3, ს. ანგელოვი-2.5 (91. პავიჩევიჩი), სკელა-3, ილიევი-3 (75. კუკიელკა), რანგელოვი-2, იულა-4.5 (84. შაო).

**არმინია:** აილჰოფი-3, ლამეი-3.5 (77. იანჟიჩი), ბოლმანი-5, მიატოვიჩი-4, შულერი-4, კაუფი-4, ტ. მარქსი-3.5, ტეშე-5 (63. კირხი-4), კატონგო-5.5 (63. ჰალფარი-4.5), მუნტეანუ-3, ვიხნიარეკი-3.5.

**გოლები:** 1:0 რანგელოვი (43), 1:1 მუნტეანუ (48), 2:1 ს. ანგელოვი (59)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 14(8)-14(4); **ჯარიმა:** 22-20; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 17 150

### ბორუსია (დ)-კიოლნი 3:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, ოვომოიელა-3, სუბოტიჩი-2.5, სანტანა-3.5, დედე-4, ბლაშჩიკოვსკი-3.5 (70. ტინგა-3.5), კელი-2.5, ჰაინალი-2.5, ნ. შაჰინი-4, ფრაი-2.5 (86. ზიდანი), ვალდესი-3.5 (80. კ. ბოატენგი).

**კიოლნი:** მონდრაგონი-4.5, ბრეჩკო-4.5, ჯერომელი-5, მოჰამადი-3.5, მაკენა-4.5, პეტიტი-3.5, ბოატენგი-4, ბროზინსკი-4.5 (63. იალსინი-4), ვუჩიჩევიჩი-3, ერეთი-3.5 (65. ჩიჰი-4), ნოვაკოვიჩი-4.5.

**გოლები:** 0:1 ვუჩიჩევიჩი (10), 1:1 სუბოტიჩი (29), 2:1 ჰაინალი (49), 3:1 ჯერომელი (81-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 20(9)-10(4); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 80 552

### ლევერკუზენი-ვერდერი 1:1

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, ენრიკე, მ. ფრიდრიხი, [illegible], კადლეცი, როლფესი, [illegible] (62. ვიდალი), კროოსი, ბარნეტა (77. რენატო), ჰელმესი, კისლინგი (84. ხასტრასი).

**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიტცი, ნალდო, მერტეზაკერი, ბოენიში, ბაუმანი (76. ციოლისი), ფრინგსი, იოზილი, ჰანტი, პისარო, უგო ალმეიდა.

**გოლები:** 1:0 ბარნეტა (11), 1:1 პისარო (33)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 10(3)-13(5); **ჯარიმა:** 17-16; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 43 900

### შტუტგარტი-ჰამბურგი 1:0

**შტუტგარტი:** ლემანი, ტრეში, ტასკი, დელპიერი, მანინი, ლანიგი, ჰიტცლშპერგერი, ჰილბერტი, გებჰარდტი (66. შიმაკი), გომესი, მარიკა (46. შიბერი).

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ჯ. ბოატენგი, გრავგაარდი, მატიისენი, იანსენი, ტავარესი, აოგო, პიტროიპა (80. შტრაიტი), გერერო, ტროხოვსკი, ოლიჩი (76. პეტრიჩი).

**გოლი:** 1:0 გომესი (90)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 22(5)-13(4); **ჯარიმა:** 11-26; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 55 800

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 27 | 16 | 6 | 5 | 60-33 | 54 |
| 2. ბაიერნი | 27 | 15 | 6 | 6 | 58-36 | 51 |
| 3. ჰამბურგი | 27 | 16 | 3 | 8 | 40-37 | 51 |
| 4. ჰერტა | 27 | 15 | 4 | 8 | 40-34 | 49 |
| 5. შტუტგარტი | 27 | 14 | 6 | 7 | 47-37 | 48 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 27 | 12 | 8 | 7 | 52-38 | 44 |
| 7. შალკე | 27 | 12 | 7 | 8 | 38-27 | 43 |
| 8. ბორუსია (დ) | 27 | 10 | 13 | 4 | 43-33 | 43 |
| 9. ლევერკუზენი | 27 | 12 | 5 | 9 | 49-34 | 42 |
| 10. ვერდერი | 27 | 9 | 9 | 9 | 51-37 | 36 |
| 11. კიოლნი | 27 | 9 | 5 | 13 | 30-40 | 32 |
| 12. აინტრახტი | 27 | 7 | 8 | 12 | 32-44 | 29 |
| 13. ჰანოვერი | 27 | 7 | 8 | 12 | 38-56 | 29 |
| 14. ბოხუმი | 27 | 6 | 10 | 11 | 33-42 | 28 |
| 15. არმინია | 27 | 4 | 12 | 11 | 22-40 | 24 |
| 16. ბორუსია (მ) | 27 | 6 | 5 | 16 | 33-49 | 23 |
| 17. კოტბუსი | 27 | 6 | 5 | 16 | 24-47 | 23 |
| 18. კარლსრუე | 27 | 5 | 3 | 19 | 18-44 | 18 |

**ბომბარდირები:** 20 - გრაფიტე (ვოლფსბურგი); 18 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), ჰელმესი (ლევერკუზენი); 16 - პისარო (ვერდერი), ჯეკო (ვოლფსბურგი); 15 - გომესი (შტუტგარტი); 14 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 12 - ვიხნიარეკი (არმინია); 11 - ვორონინი (ჰერტა), ბა (ჰოფენჰაიმი), ტონი (ბაიერნი), კურანი (შალკე).

### II ბუნდესლიგა

#### XXVII ტური

**ობერჰაუზენი-ნიურნბერგი 0:3**

**გოლები:** 0:1 მინტალი (29), 0:2 კლუგე (31), 0:3 აიგლერი (71)

**ფიურტი-ჰანზა 0:1**

**გოლი:** 0:1 ფილინგერი (64)

**ინგოლშტადტი-ვეენი 0:0**

**ზტ. პაული-დუისბურგი 2:2**

**გოლები:** 1:0 საკო (26), 1:1 კუემაა (58), 1:2 ბრჟენსკა (75), 2:2 ლუდვიგი (92-პენ)

**ალენი-ალემანია 0:2**

**გოლები:** 0:1 აუერი (13), 0:2 ჰოლტბი (37)

**კობლენცი-მიუნხენ 1860 3:2**

**გოლები:** 1:0 მალეტიჩი (4), 2:0 ტეილორი (32), 2:1 ლაუთი (53), 3:1 ტეილორი (65), 3:2 ბედა (66)

**ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტ. 0:2**

**გოლები:** 0:1 ლაკიჩი (9), 0:2 დიკი (11)

**ფრანკფურტი-აუგსბურგი 2:1**

**გოლები:** 1:0 მიკოლაიჩაკი (2), 2:0 ი. მოხტარი (51), 2:1 თურკი (65)

**მაინცი-ფრაიბურგი ხვალ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრაიბურგი | 26 | 15 | 4 | 7 | 40-25 | 49 |
| 2. მაინცი | 26 | 13 | 8 | 5 | 47-29 | 47 |
| 3. ნიურნბერგი | 27 | 12 | 10 | 5 | 42-25 | 46 |
| 4. ფიურტი | 27 | 13 | 6 | 8 | 52-38 | 45 |
| 5. კაიზერსლაუტ. | 27 | 13 | 6 | 8 | 43-32 | 45 |
| 6. ალემანია | 27 | 12 | 6 | 9 | 45-33 | 42 |
| 7. დუისბურგი | 27 | 10 | 11 | 6 | 40-28 | 41 |
| 8. ზტ. პაული | 27 | 11 | 6 | 10 | 45-52 | 39 |
| 9. ობერჰაუზენი | 27 | 10 | 6 | 11 | 29-42 | 36 |
| 10. მიუნხენ 1860 | 27 | 9 | 7 | 11 | 37-35 | 34 |
| 11. ფრანკფურტი | 27 | 8 | 9 | 10 | 29-35 | 33 |
| 12. აუგსბურგი | 27 | 8 | 8 | 11 | 32-35 | 32 |
| 13. ალენი | 27 | 9 | 5 | 13 | 30-48 | 32 |
| 14. კობლენცი | 27 | 9 | 7 | 11 | 39-40 | 31 |
| 15. ოსნაბრიუკი | 27 | 6 | 10 | 11 | 35-48 | 28 |
| 16. ჰანზა | 27 | 6 | 9 | 12 | 37-44 | 27 |
| 17. ინგოლშტადტი | 27 | 6 | 9 | 12 | 28-42 | 27 |
| 18. ვეენი | 27 | 4 | 9 | 14 | 25-44 | 21 |

**ბომბარდირები:** 14 - მაკიადი (დუისბურგი), ალაგუი (ფიურტი); 12 - აუერი (ალემანია), ტობორგი (ალენი), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ლაუთი (მიუნხენ 1860), მინტალი (ნიურნბერგი); 11 - კუემაა (დუისბურგი), რაიზინგერი (ფიურტი), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი).

### III ბუნდესლიგა

დრეზდენი-ვერდერი II 2:1, ბრაუნშვაიგი-აალენი 2:0, ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი 0:2, ერფურტი-აუე 2:0, ემდენი-რეგენსბურგი 0:0, შტუტგარტი II-უნტერჰახინგი 1:3, ოფენბახი-დიუსელდორფი 0:2, ვუპერტალი-პადერბორნი 0:1, ბაიერნი II-ზანდჰაუზენი 2:1, უნიონი-შტუტ. კიკერსი 5:1.

იტალია. სერია A XXXI ტური

# გლოვა, აღდგომა და... თითქმის სკუდეტო

კვირას კათოლიკური სამყარო აღდგომას ზეიმობდა, ამიტომაც იყო, რომ სერია A-ს მორიგი ტურის შეხვედრათა უმრავლესობა შაბათს გაიმართა. მაგრამ ამ დღეებში იტალიას სულაც არ ეზეიმება - აბრუცოს პროვინციაში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ 300-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ცხარე მსჯელობა გაიმართა იმაზეც, რომ სერია B-ს მსგავსად მთავარი ლიგის ტურიც გადადებულიყო, მაგრამ კლუბები გამოვიდნენ ინიციატივით, მატჩებიდან მიღებული შემოსავალი მსხვერპლთა და დაზარალებულთა ფონდში გადარიცხონ. იტალიაში გლოვაა გამოცხადებული და ბუნებრივია, შაბათ-კვირის ყველა მატჩს წინ წუთიერი დუმილი უძღვოდა...

გადავიდეთ საფეხბურთო თემებზე. „ინტერმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ, თანაც - საკუთარ მოედანზე „პალერმოსთან" განიავებული ქულების (2:2) ფონზე. ამაში მას... დიახაც, „იუვენტუსი" „დაეხმარა" - გენუაში ნაგებით „ბებერმა ქალბატონმა", ფაქტობრივად, „უარი თქვა" ჩემპიონობაზე, არადა, მომდევნო ტურში სწორედ „ინტერს" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში მარათონის დასკვნით ნაწილს ინტრიგას დაუბრუნებდა. „იუვემ" ყველა დარჩენილი მატჩიც (7) რომ მოიგოს (21 ქულა), „ნერაძურის" მხოლოდ 4 გამარჯვება (რაც თავისთავად ჰაერიდან ვერ მოვა) დასჭირდება ზედიზედ მეოთხე სკუდეტოს მოსაპოვებლად. ასეა თუ ისე, მომავალი შაბათის „იუვენტუსი"-"ინტერი" მაინც დიდი მატჩია და არის შანსი, რომ იტალია კიდევ ერთხელ დაიძაბოს...

ახლა რაც შეეხება შაბათის ამბებს. ლიდერი სრულად აკონტროლებდა თამაშს „პალერმოსთან" საშინაო მატჩის პირველ ტაიმში. **ბალოტელის** აბსოლუტურად არავინ უშლიდა ხელს, როცა **მუნტარის** მიერ ჩაწოდებულ ბურთს კარში გზავნიდა. ასე გაიხსნა ანგარიში, რომელიც გაიზარდა 38-ე წუთზე, როცა **იბრაჰიმოვიჩმა** მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. იქვე შეიძლებოდა მესამე გოლის გატანაც, რაც სიცილიელთა საფრეო იმედსაც კი უმალ დაასამარებდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბალოტელიმ ვერ ივარგა. „პალერმომ" კი მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს აანერვიულა „სან სირო", როცა **მიკოლიმ** ნახევარბრუნით ოდნავ უზუსტოდ დაარტყა.

თამაშის ხასიათი ძირფესვიანად შეიცვალა მეორე ტაიმში, როცა **დავიდე ბალარდინიმ** მოედანზე **ბრეშანოს** უხმო. **ტოლდოს** კართან მწვავე მომენტებმა იმატა და ჩემპიონი რამდენჯერმე გადარჩა კიდეც. მალე სტუმართა მწვრთნელმა **სუჩის** სახით მესამე ფორვარდიც აამოქმედა. ყველაფერი 3 წუთის ინტერვალით მოხდა - ჯერ **კავანიმ** გაუტანა ტოლდოს ახლო კუთხეში, მერე კი მიკოლი დაეხმარა სუჩის, რომელმაც ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში - 2:2.

ბუნებრივია, იმ მომენტისთვის („იუვენტუსი" ხომ მოგვიანებით თამაშობდა) **ჟოზე მოურინიო** ძალზე გაბრაზებული იყო: *„სირცხვილია, რაც მოხდა და ბუნებრივია, პირადად ჩემთვისაც ეს შედეგი სრულიად მიუღებელია. დღევანდელი ტურის შემდეგ ჩვენ გვაქვს შანსი, მინიმუმ 7 ქულით ვიყოთ წინ. ჩემპიონატის დამთავრებამდეც ამდენივე ტური რჩება. ვინმეს სერია A-ს დაწყებამდე რომ შემოეთავაზებინა ამგვარი სცენარი, დაუყოვნებლივ დავთანხმდებოდი".*

თუ ასეა, მაშინ მოურინიო თანახმა იქნება შაბათს ტურინში ნაგებაზეც, უკვე ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე...

ან ეს „იუვენტუსი" არ მომწიფებულა ჩემპიონობისთვის, ან **კლაუდიო რანიერი** არ არის ის მწვრთნელი, რომელიც ამ გუნდს სკუდეტომდე მიიყვანს. არადა, „ჯენოაც" კარგი გუნდია და ლოგიკურია, რომ შაბათს „იუვე" შინ უქულოდ გაუშვა. **ჯამპიერო გასპერინიმ** ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზა კოლეგას, როცა **იანკოვიჩი** თავდასხმის ცენტრში დააყენა. **მილიტოს** არყოფნა გენუელთა წინა ხაზს თითქოს სიმწვავეს აკლებდა, თუმც სტუმართა დაცვამ ვერც **პალადინოს** (ყოფილი იუვენტუსელი) შეჩერება მოახერხა. ამდენად, **ბუფონს** ვერაფერში დავადანაშაულებთ, პირიქით - რომ არა მისი დამაჯერებელი თამაში, ტურინულ გრანდს ორ-სამ გოლს კიდევ მიართმევდნენ.

მატჩის გმირად კი სრულიად მოულოდნელად იქცა ნახევარმცველი **ტიაგო მოტა**, რომელმაც „მარასი" დუბლით გააბედნიერა. ამას გარდა, თამაშში რამდენიმე ინციდენტი და საკამათო ეპიზოდიც იყო. მაგალითად ის, **ნედვედმა** იდაყვი რომ ჩასცხო **მესტოს**, მაგრამ არბიტრმა **ჯანლუკა როკიმ** თამაშიც კი არ გააჩერა, ხოლო სისხლში მოსვრილმა მცველმა, რომელსაც 15-მდე ნაკერი დაადეს, შეხვედრა ვერ ჩაამთავრა...

შემდეგ იყო ეპიზოდი, როცა „ჯენოას" მეკარე **რუბინიო** და მცველი **ფერარი** ერთად შემოასხდნენ მხრებზე **კამორანეზის** და გაზონზეც დასცეს, მაგრამ... ნაღდი პენალტი არ დაინიშნა. სამაგიეროდ, სერიოზული ეჭვები დაბადა 11-მეტრიანმა, რომლითაც **დელ პიერომ** პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გაათანაბრა. არბიტრმა მხოლოდ ლაინსმენთან მოთათბირების შემდეგ გაიშვირა ხელი პენალტის ნიშნულისკენ...

სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა მას მერე, რაც კამორანეზი გააძევეს. მან მეტისმეტად უხეშად ითამაშა **სკულის** წინააღმდეგ და მეორე ყვითელი ბარათიც მიიღო. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბებოდა, იტალო-არგენტინელს გენუელი ფორვარდისთვის ბოდიში რომ არ მოეხადა...

ასევე კამათის საგანი გახდა „ჯენოას" მესამე გოლი, რომელიც კლასიკური კონტრშეტევის შედეგად იშვა - როსიმ თამაშგარეს მახე გაარღვია და გადააწოდა პალადინოს, რომელმაც საბოლოო წერტილი დასვა. ნამატჩევს რანიერიმ სწორედ ამ ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება - გოლი წესების დარღვევით გავიდაო. ძნელი სათქმელია... თუმც ის კი ადვილია, რომ მარცხი მსაჯებს გადააბრალო....

ერთი სიტყვით, „ჯენოამ" ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი განაცხადი გააკეთა ჩემპიონთა ლიგის საგზურზე. ამ ბრძოლაში გამობრძმედილმა „მილანმა" კი, **ზეედორფის** გოლით, ვერონაში „კიევოს" 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. პირველი ტაიმის მიწურულს, არბიტრთან კამათისთვის, **კარლო ანჩელოტის** ტრიბუნებისკენ მიუთითეს. გამოვყოფდით მეკარე **დიდას** ბრწყინვალე თამაშსაც. მატჩის მიწურულს მან „მკვდარი ბურთი" აულო ალბანელ **ბოგდანის** და „როსონერის" 3 ქულა გადაურჩინა.

ხიბლდაკარგულ რომაულ დერბიში „ლაციოს" დომინაცია აშკარა იყო მატჩის უდიდეს ნაწილში. „ბიანკოჩელესტეს", რომელსაც ზედიზედ 3 ნაგება ჰქონდა, პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ხელფასების გაყინვით დაემუქრა. როგორც ჩანს, ამან გაჭრა კიდეც - მაშინაც კი, როცა **დე როსიმ** ანგარიში 3:2 გახადა, „ლაციალეს" ერთი წუთითაც არ დაუეჭვებია ქომაგები საკუთარ უპირატესობაში. ყველაფერი ნათელი გახდა 85-ე წუთზე, როცა სერბმა **კოლაროვმა** მთელი მინდორი გადასერა და საჯარიმოს ხაზიდან **დონის** არცთუ ძლიერად, თუმც ზუსტად კი დაურტყა - 4:2.

მოლოდინისამებრ, მატჩის მიწურულს მოედანზე სიტუაცია დაიძაბა და ლამის ხელჩართულ ჩხუბშიც გადაიზარდა. ძირითადად ამაში ბრალი მიუძღვოდა **მექსეს**, რომელიც მეტოქის პროვოცირებას შეეცადა. საბოლოოდ, არბიტრმა რომაულ დერბიში 3 წითელი ბარათი ჩამოარიგა. პირველი ტაიმის მიწურულს კი რეფერიმ სათადარიგოთა სკამს გაარიდა „რომას" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი**, რომელმაც ერთ-ერთი სათამაშო ეპიზოდი ფრიად ემოციურად გააპროტესტა. ამ ნიადაგზე მას კონფლიქტი მოუვიდა „ლაციოს" გენერალურ მენეჯერ **იგლი ტარესთან** (ხომ არ დაგავიწყდათ ალბანეთის ნაკრების ექსფორვარდი?), რაც განხილვის საგანი გახდება...

ამ მხრივ გულუხვი იყო „ფიორენტინა"-"კალიარის" არბიტრი **ანტონიო დამატოც**, რომელმაც ორი სარდინიელი გააძევა, თუმც ფლორენციელებმა მაინც გაჭირვებით მოიგეს. შეხლა-შემოხლის გარეშე არც ეს მატჩი ყოფილა. „კალიარის" ხელმძღვანელობა ჩივის, რომ „ვიოლას" ნახევარმცველმა **ფელიპე მელუმ** გასახდელში შესვლისას ჩხუბი აუტეხა სტუმარ მცველ **დიეგო ლოპესს**, რომელსაც კვალი სახეზე ამჩნევია. ამ ფაქტს ფედერკალჩო გამოიძიებს...

**ჯანკარლო კამოლეზეს** ხელში პირველი გამარჯვება მოიპოვა „ტორინომ", რომელიც შინ „კატანიას" ხვდებოდა. „ლეჩე"-"სამპდორიას" მატჩში 3 პენალტი დაინიშნა, მათ შორის, ორი - მასპინძელთა კარში, თუმც **ლუიჯი დე კანიოს** არც ერთზე არ ჰქონია პრეტენზია, მხოლოდ იმას ჩიოდა - არბიტრმა ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალა, თორემ ანგარიშს გავათანაბრებდით და მატჩი საჩვენო სცენარით წარიმართებოდაო...

ზედიზედ 4 ნაგების შემდეგ „ბოლონიას" მწვრთნელი **სინიშა მიხაილოვიჩი** პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავს აკისრებს და კლუბის ხელმძღვანელობისგან რადიკალურ ნაბიჯებს ელოდება. სერბმა ერთგვარად შეამზადა თავი იმისთვის, რომ დღეს-ხვალ შეიძლება უმუშევარი დარჩეს. „როსობლუს" უფროსობამ ასეთი განცხადება გააკეთა - შედეგი ნეგატიური კია, მაგრამ ერთი მატჩით ნუ ვიმსჯელებთ, ამ ეტაპზე მიხაილოვიჩს ნდობას ვუცხადებთო. „ამ ეტაპზე" - აი, რა არის მთავარი ბოლონიელთა გენერალური დირექტორის **ნელსონ რიჩის** სიტყვებში.

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

18აპრილი. ჯენოა-ლაციო, იუვენტუსი-ინტერი. 19აპრილი. ატალანტა-რეჯინა, კატანია-სამპდორია, რომა-ლეჩე, კალიარი-ნაპოლი, უდინეზე-ფიორენტინა, სიენა-კიევო, პალერმო-ბოლონია, მილანი-ტორინო.



გამოვიდა ახალი ნომერი

### ინტერი-პალერმო 2:2

**ინტერი:** ტოლდო-6, სანტონი-6.5, კორდობა-5.5, კივუ-5.5, მაქსველი-5.5 (79. კრესპო), ხ. ძანეტი-6, კამბიასო-6.5, მუნტარი-6.5 (79. ფიგუ), სტანკოვიჩი-6, ბალოტელი-6.5 (74. ვიეირა), იბრაჰიმოვიჩი-7.

**პალერმო:** ამელია-6, კასანი-5.5, კიაერი-6, კაროციერი-6, ბალცარეტი-6, მილიაჩო-6 (46. ბრეშანო-6.5), ლივერანი (25. ბოვო-6), ნოჩერინო-6 (57. სუჩი-7), სიმპლისიუ-6.5, კავანი-6.5, მიკოლი-6.

**გოლები:** 1:0 ბალოტელი (15), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (39-პენ), 2:1 კავანი (73), 2:2 სუჩი (75)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 7-7 (5-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 50 000

### კიევო-მილანი 0:1

**კიევო:** სორენტინო-6, სარდო-6, მორერო-6.5, იეპესი-7, მანტოვანი-6 (85. მ. ესპოზიტო), ლუსიანო-6 (49. კოლუჩი-6.5), რიგონი-6, მარკოლინი-6.5 (73. ლანჯელა), პინცი-6, ბოგდანი-5, პელისიერი-6.5.

**მილანი:** დიდა-7, ძამბროტა-6, სენდეროსი-6, ფავალი-6, იანკულოვსკი-5.5, ამბროზინი-6.5, პირლო-5.5, ზეედორფი-6, კაკა-5 (76. რონალდინიო), პატო-6.5 (84. შევჩენკო), ფ. ინძაგი-5.5 (60. ფლამინი-6).

**გოლი:** 0:1 ზეედორფი (53)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 26-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 8-11 (3-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 27 000

### ფიორენტინა-კალიარი 2:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-7.5, კომოტო-6, გამბერინი-6, დაინელი-6.5, პასკუალი-7, ფელიპე მელუ-6, მონტოლივო-6.5, კუჟმანოვიჩი-6 (58. იორგენსენი-5.5), იოვეტიჩი-6.5 (76. დონადელი-6.5), სემიოლი-6 (72. ვარგასი-7), ჯილარდინო-5.5.

**კალიარი:** მარკეტი-6, ფ. პიზანო-6, კანინი-5.5, ლოპესი-6, აგოსტინი-5, ბიონდინი-6 (29. კოსუ-6.5), კონტი-6, ფინი-5 (66. მატიო-5.5), ლაძარი-5.5, ჟედა-6.5, მატრი-5 (79. რაგატცუ-7).

**გოლები:** 1:0 პასკუალი (52), 2:0 ვარგასი (84), 2:1 რაგატცუ (86)

**გაძევება:** აგოსტინი (65. კალიარი), კანინი (89. კალიარი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 22-22; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 19-13 (4-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 288

### ლაციო-რომა 4:2

**ლაციო:** მუსლერა-6.5, ლიხტშტაინერი-7 (74. დე სილვესტრი-6), სივილია-6, როზენალი-5.5, კოლაროვი-6, ბროკი-6.5, კ. ლედესმა-6.5, მათუსალემი-6, ფოჯა-6.5 (80. მაური), პანდევი-6.5, სარატე-7 (65. როკი-6).

**რომა:** ა. დონი-4.5, მ. მოტა-5, პანუჩი-4.5, მექსე-5, რიისე-6, დე როსი-6.5, პისარო-5.5, ბრიგი-5.5 (65. ტონეტო-5.5), პეროტა-5 (55. მენეზი-5), ბაპტიშტა-6.5, ტოტი-5.

**გოლები:** 1:0 პანდევი (2), 2:0 სარატე (4), 2:1 მექსე (10), 3:1 ლიხტშტაინერი (58), 3:2 დე როსი (82), 4:2 კოლაროვი (85)

**გაძევება:** პანუჩი (62. რომა), მექსე (75. რომა), მათუსალემი (75. ლაციო)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 25-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 19-21 (8-10); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 55 000

### ნაპოლი-ატალანტა 0:0

**ნაპოლი:** ნავარო-6, სანტაკროჩე-6, რინაუდო-6 (82. მონტერვინო), კანავარო-6, გრავა-6, პაციენცა-6, ბლაზი-5.5, ჰამშიკი-5 (55. დატოლო-5), მანინი-5.5, ლავეცი-6, სალაიეტა-5 (78. დენისი).

**ატალანტა:** კონსილი, დარიჩი-7, ტალამონტი-6, თ. მანფრედინი-6.5, ბელინი-6.5, ხ. ვალდესი-5 (65. დეფენდი), გუარენტე-6, ჩიგარინი-5.5, პადოინი-5.5, პლასმატი-5 (65. კ. დონი), ფლოკარი-5.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 4-12 (1-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 40 000

### ლეჩე-სამპდორია 1:3

**ლეჩე:** ბენუსი-6, სკიავი-5, ფაბიანო-5.5, ა. ესპოზიტო-6 (46. კონანი-6.5), არიატი-5 (80. ჯულიატო-6), ანჯელო-6, ჯაკომაცი-5, ვივესი-5.5, კაზერტა-6, კასტილიო-6, ტირიბოკი-5.5 (19. პაპადოპულოსი-6.5).

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, ლუკინი-6.5 (75. ფერი), გასტალდელო-6, აკარდი-6.5, პადალინო-6.5 (67. ციგლერი-6), სამარკო-6.5, პალომბო-7, დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-6.5, კასანო-7.5 (89. მარილუნგო), პაცინი-7.

**გოლები:** 0:1 პაცინი (30), 0:2 კასანო (30-პენ), 1:2 კაზერტა (58-პენ), 1:3 კასანო (87-პენ)

**გაძევება:** ჯაკომაცი (72. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 26-23; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 10 232

### ბოლონია-სიენა 1:4

**ბოლონია:** ანტონიოლი-5.5, ძენონი-5.5, ბრიტოსი-4.5, მორასი-5, ლანა-5, მუტარელი-5 (60. ამოროზო-5.5), მუდინგაი-6 (73. მინგაცინი), ვოლპი-6, ბომბარდინი-5.5 (39. ოსვალდო-5.5), მარაცინა-6, დი ვაიო-5.5.

**სიენა:** კურჩი-6 (35. ელეფტეროპულოსი-6), სუნიგა-6.5, პორტანოვა-6.5, ბრანდაუ-6.5, დელ გროსო-6, ვერგასოლა-6, კოდრეა-6, გალოპა-6.5, ხარჯა-7, მაკარონე-6.5 (57. ფრიკი-6), კალაიო-6 (54. გეზალი-6).

**გოლები:** 0:1 კალაიო (5), 0:2 პორტანოვა (11), 1:2 მარაცინა (20), 1:3 გეზალი (62), 1:4 ხარჯა (81)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 6-14 (2-6); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 17 000

### ტორინო-კატანია 2:1

**ტორინო:** სერენი-6, რივალტა-6, ი. ფრანჩესკინი-6, ნატალი-6.5, აბატე-6.5 (78. დიანა-6), ჯემაილი-5.5, ბარონე-5.5, რუბინი-5.5, როზინა-6 (65. გასბარონი-6), სტელონე-5 (57. ვენტოლა-5), ბიანკი-6.

**კატანია:** ბიძარი-6, პოტენცა-5.5, სტოვინი-6, სილვესტრე-6, კაპუანო-5.5, პ. ლედესმა-6 (84. მორიმოტო), კარბონი-5.5 (78. იცკო), ბიაჯანტი-6, მარტინესი-6.5, მასკარა-6.5 (71. ბაიოკო), პაოლუჩი-5.

**გოლები:** 1:0 ბიანკი (82), 1:1 მარტინესი (85), 2:1 ნატალი (88)

**გაძევება:** სტოვინი (90. კატანია)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 13-27; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18-11 (4-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 18 000

### ჯენოა-იუვენტუსი 3:2

**ჯენოა:** რუბინიო-6, ბიავა-6.5, ფერარი-6.5, ბოკეტი-7, მესტო-6.5 (42. მ. როსი-6.5), ტიაგო მოტა-8, იურიჩი-7, კრიშიტო-6.5, სკული-7.5 (79. პაპასტატოპულოსი), იანკოვიჩი-6 (79. ოლივერა-6), პალადინო-7.5.

**იუვენტუსი:** ბუფონი-7.5, ზებინა-4.5 (74. გრიგერა-5), ლეგროტალიე-6 (74. მარკიონი-5.5), კიელინი-6, მოლინარო-6, კამორანეზი-4, მარკიზიო-5, პოულსენი-4.5, ნედვედი-5, იაკვინტა-6, დელ პიერო-6.

**გოლები:** 1:0 ტიაგო მოტა (28), 1:1 დელ პიერო (45-პენ), 2:1 ტიაგო მოტა (49), 2:2 იაკვინტა (83), 3:2 პალადინო (87)

**გაძევება:** კამორანეზი (65. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 32 744

### რეჯინა-უდინეზე 0:2

**რეჯინა:** პუჯონი-6, ლანძარო-4.5, კ. ვალდესი-5, სანტოსი-6, კოსტა-6, სესტუ-6.5, ბარეტო-5, ჰალფრედსონი-4.5 (77. ვიჯანი-6), ბარილა-5, ბრიენცა-5.5 (90. სტუანი), ჩერავოლო-5.5 (65. დი ჯენარო-5.5).

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, ისლა-6 (64. კვალიარელა-6), ფელიპე-5.5, დომიცი-5.5, ლუკოვიჩი-6, ობოდო-6, ციმლინგი-5.5, ასამოა-5.5 (46. ინლერი-6.5), სანჩესი-6 (58. პასკუალე-6), ფლორო ფლორესი-6.5, იგალო-5.5.

**გოლები:** 0:1 ფლორო ფლორესი (85), 0:2 ფლორო ფლორესი (90)

*56-ე წუთზე დომიციმ ვერ გაიტანა პენალტი (მიზანს მილმა)*

*82-ე წუთზე ბრიენცამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** ლანძარო (55. რეჯინა), ბარილა (62. რეჯინა)

**გაფრთხილება:** 6-2; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 25-26 (8-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 31 | 22 | 7 | 2 | 57-23 | 73 |
| 2. იუვენტუსი | 31 | 19 | 6 | 6 | 56-29 | 63 |
| 3. მილანი | 31 | 18 | 7 | 5 | 54-28 | 61 |
| 4. ჯენოა | 31 | 16 | 9 | 6 | 43-29 | 57 |
| 5. ფიორენტინა | 31 | 17 | 4 | 10 | 43-31 | 55 |
| 6. რომა | 31 | 14 | 7 | 10 | 48-46 | 49 |
| 7. პალერმო | 31 | 14 | 4 | 13 | 42-40 | 46 |
| 8. კალიარი | 31 | 13 | 6 | 12 | 36-31 | 45 |
| 9. ლაციო | 31 | 13 | 5 | 13 | 43-45 | 44 |
| 10. ატალანტა | 31 | 12 | 5 | 14 | 36-35 | 41 |
| 11. სამპდორია | 31 | 10 | 10 | 11 | 36-39 | 40 |
| 12. ნაპოლი | 31 | 10 | 9 | 12 | 35-35 | 39 |
| 13. უდინეზე | 31 | 10 | 9 | 12 | 40-42 | 39 |
| 14. სიენა | 31 | 10 | 7 | 14 | 29-33 | 37 |
| 15. კატანია | 31 | 10 | 7 | 13 | 31-37 | 37 |
| 16. კიევო | 31 | 7 | 10 | 14 | 28-40 | 31 |
| 17. ტორინო | 31 | 6 | 9 | 16 | 28-47 | 27 |
| 18. ბოლონია | 31 | 6 | 8 | 17 | 33-53 | 26 |
| 19. ლეჩე | 31 | 4 | 12 | 15 | 27-53 | 24 |
| 20. რეჯინა | 31 | 3 | 11 | 16 | 22-51 | 20 |

**ბომბარდირები:** 20 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 16 - ჯილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 14 - პატო (მილანი); 13 - მუტუ (ფიორენტინა); 12 - ამაური (იუვენტუსი), კავანი (პალერმო), დი ნატალე (უდინეზე), ფლოკარი (ატალანტა); 11 - კაკა (მილანი), სარატე (ლაციო).

### სერია B

*ყველა მატჩი გადაიდო და გაიმართება 21 აპრილს*

### ლეგა პრო 1/A

#### XXIX ტური

კრემონეზე-პადოვა 0:1, ლეკო-ლუმეცანე 1:2, ლენიანო-რეჯანა 1:1, მონცა-ჩეზენა 2:0, ნოვარა-ვერონა 1:1, პრო პატრია-სპალ 3:1, პრო სესტო-სამბენედეტეზე 2:1, რავენა-პორტოგრუარო 2:2, ვენეცია-პერგოკრემა 1:0.

### ლეგა პრო 1/B

#### XXIX ტური

ბენევენტო-ფოჯა 1:1, კავეზე-ფოლინიო 2:1, კროტონე-პაგანეზე 1:1, რეალ მარჩანიზე-იუვე სტაბია 2:0, პერუჯა-პისტოიეზე 3:2, სორენტო-გალიპოლი 1:0, ტერნანა-პოტენცა 1:0, ლანჩანო-ტარანტო გადაიდო, პესკარა-არეცო გადაიდო.

**ინგლისი.** პრემიერლიგა. XXXII ტური

# მაკედას ოქრო

„მანჩესტერ იუნაიტედმა" გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო „სანდერლენდთან" შეხვედრის მოგება. თამაშის გმირი 17 წლის იტალიელი **ფედერიკო მაკედა** გახდა, ვინც „ეშმაკებს" წინა ტურის მსგავსად გამარჯვება მოაპოვებინა. მართალია, „მანიუმ" პრემიერლიგაში ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ეს კრიზისის დასასრულს ნაკლებად ჰგავს - თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს.

შეხვედრა მასპინძელთა კართან შექმნილი ხიფათით დაიწყო - **უეინ რუნის** რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა, საჯარიმოს ხაზიდან შორეულ „ცხრიანში" რომ გაეტანა. მე-8 წუთზე **ჯიბრილ სისესთან** დუელი წააგო **ბენ ფოსტერმა**. ფრანგს დარტყმა არ გამოუვიდა, მეკარე კი ნელა მოძრავ ბურთს დაეწია და თავისი კარი გოლისგან იხსნა. ანგარიშის გახსნა **ნემანია ვიდიჩსაც** შეეძლო - სერბის დარტყმულს **დენი კოლინზი** გადაელობა. მე-19 წუთზე პირველი გოლი მარტივი კომბინაციის წყალობით გავიდა: რუნის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს **პოლ სქოულზმა** თავი დაუხვედრა 0:1. ძველი, კრიზისამდელი „მანჩესტერი" ასეთ თამაშს უპრობლემოდ მიიყვანდა გამარჯვებამდე, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა. 32-ეზე **კენუაინ ჯონსს** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ **ბერდსლის** გადაცემის შემდეგ მიზანმა უმტყუნა. 37-ეზე ფოსტერმა სისეს აულო ურთულესი დარტყმა. ორიოდე წუთში **დიმიტარ ბერბატოვის** ფეხიდან ასხლეტილი ბურთი მოხვდა „მანიუს" ხარიხას. 56-ე წუთზე ფოსტერმა უხეში შეცდომა დაუშვა: **ტეემუ ტაინიოს** ჩაწოდებაზე ის უაზროდ გამოვიდა, ბურთს ასცდა და ჯონსს ბურთის ცარიელ კარში შეგორების გარდა არაფერი დარჩენოდა. ამას სტუმართა გააქტიურება მოჰყვა. მომენტები გაანიავეს სქოულზმა და **კარლოს ტევესმა**. 76-ე წუთზე ფედერიკო მაკედამ თქვა თავისი სიტყვა - მან **ქერიკის** დარტყმას დროულად დაუხვედრა ფეხი, **კრეიგ გორდონს** გუნდის გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ამის შემდეგ შეხვედრაში უკვე არაფერი შეცვლილა.

1989 წლის 15 აპრილს „ლივერპულისა" და „ნოტინგემ ფორესტის" შეხვედრისას წარმოქმნილი ჭყლეტის დროს 96 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა 766. ამ მოვლენის აღსანიშნავად ლივერპულში შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო. თამაშის წინა დღეს **სემ ელერდაისი** იქადნებოდა, **რაფაელ ბენიტესს** ტირილის საფუძველს მივცემთო, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ესპანელმა სპეციალისტმა ვერ გარისკა - ძირითადში არ იყო ტრავმირებული **სტივ ჯერარდი**. ამით „წითლებმა" დაამტკიცეს, რომ „ლივერპული" მხოლოდ სტივი ჯი არ არის. მე-5 წუთზე **ფერნანდო ტორესმა** კაპიტან **ჯეიმი კარაგერის** გრძელი პასის წყალობით მოახერხა ანგარიშის გახსნა, პირენეელმა სუპერფორვარდმა კარისკენ ზურგით მდგომმა დაამუშავა ბურთი, შემოტრიალდა და **პოლ რობინსონს** აუღებელი დაურტყა 1:0. „ელ ნინიო" 33-ე წუთზე უკვე **ჩაბი ალონსოს** საჯარიმოს გამოეხმაურა 2:0. სტუმრებს ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდათ, **კრისტოფერ სამბას** ძლიერ დარტყმას **ხოსე რეინა** ადგილზე დახვდა. სხვათა შორის, ესპანელმა კარის დარაჯმა „ლივერპულის" მაისურით მე-200 შეხვედრა ჩაატარა. მერსისაიდელებმა ტოტალური უპირატესობა სრულად გამოიყენეს - ჯერ **დანიელ აგერმა** გაისროლა ყუმბარისებურად, შეხვედრას კი წერტილი **დავიდ ნგოგმა** დაუსვა.

„სტემფორდ ბრიჯზე" ნამდვილი თრილერი შედგა. 70-ედან მოყოლებული, რვა წუთის განმავლობაში, სტუმრები ლამის „მკვდრეთით აღდგნენ", როცა გამანადგურებელი სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. თამაშამდე საეჭვო იყო **ჯონ ტერის** ასპარეზობა, მაგრამ კაპიტანმა მატჩი ძირითადში დაიწყო. სტუმრებმა შეხვედრა უკეთ დაიწყეს და უკეთვე დაასრულეს, ამათ შორის კი „არისტოკრატთა" კლასთან ვერაფერი გააწყვეს. **პეტრ ჩეხს** დებიუტშივე მოუხდა **მეტიუ ტეილორისა** და **კევინ დევისის** დარტყმებთან გამკლავება. „მაწანწალებს" მასპინძლებმა **დროგბასა** და **ლემპარდის** დარტყმებით უპასუხეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში კარგად გაისარჯა **იუსი იაასკელაინენი**. 35-ე წუთზე ანგარიში **მიხაელ ბალაკმა** გახსნა. მან მარტივად გაითამაშა კედელი **სალომონ კალუსთან**, გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და დიდი ხნის ფიქრის გარეშე დასცხო 1:0. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა თანაგუნდელის საჯარიმოს დროგბა გამოეხმაურა და ანგარიში გაზარდა 2:0. მე-60 წუთზე არბიტრმა **პიტერ უოლტონმა გრეტარ სტეინსონს** საჯარიმოში წესების მეორედ დარღვევა აღარ აპატია (პირველ ტაიმში მან რატომღაც თვალი დახუჭა მის მიერ **ეშლი კოულის** წაქცევაზე) და პენალტი დანიშნა. ლემპარდმა დარტყმა აუღელვებლად შეასრულა 3:0. სამიოდე წუთში „ლივერპულთან" თამაშის გმირმა **ივანოვიჩმა მალუდას** კუთხურს შეაგება თავი, დროგბა ცარიელ კართან დარჩა, ივუარელს მეტრიდან გოლის გატანა აღარ გასჭირვებია 4:0. და აი, აქ დაიწყო, რაც დაიწყო. **გუუს ჰიდინკის** შეგირდებმა მიიჩნიეს, რომ სამი ქულა უკვე ჯიბეში ედოთ. მასპინძელთა შორის საკუთარი ძალმოსილების ზედმეტმა რწმენამ „ჩელსის" გულშემატკივარი საგონებელში ჩააგდო, ნეიტრალურ მაყურებელს კი დაუვიწყარი სანახაობა აჩუქა. სულ რაღაც რვა წუთში **ენდრიუ ობრაიენმა**, **კრის ბეშემმა (გარი მეგსონის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს ორი ფეხბურთელი შეცვლაზე შეუშვა) და კევინ დევისმა ინტრიგა აალორძინეს. მადაზე მოსული „ბოლტონი" შეხვედრის ბოლომდე ფლობდა უპირატესობას... თუმცა სასწაული მაინც არ მოხდა. ლონდონელები გონს მოეგნენ და იმდენი კი მოახერხეს, რომ სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება აღარ მისცეს.

„უიგანის" თავკაცმა **სტივ ბრუსმა** სიტყვა შეასრულა და უდისციპლინობის გამო განაცხადს მიღმა დატოვა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **ამრ ზაკი**. მის ნაცვლად თავდასხმაში **როდალიეგა** გამოჩნდა. „არსენალმა" თამაში შესუსტებული შემადგენლობით დაიწყო. კარს **ლუკაშ ფაბიანსკი** იცავდა, სასტარტოს მიღმა აღმოჩნდნენ **ვან პერსი** და **ადებაიორი**. სტუმრებმა მალევე მოახერხეს მასპინძელთა კარზე კონტროლის დაწესება, პირველი სახიფათო მომენტიც მათ ანგარიშზე ჩაიწერა - საჯარიმოს გარედან **ფაბრეგასის** ძლიერი დარტყმა ხარიხას მცირედით ასცდა. ანგარიში მე-18 წუთზე გაიხსნა. კუთხურს „არსენალის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, **ბაკარი სანიამ** ვერ შეძლო ბურთის შორს მოგერიება, ის **მიდოს** მიუგორდა - ეგვიპტელმა ლამაზი დარტყმით პოლონელ კარის დარაჯს შანსი არ დაუტოვა. ხუთიოდე წუთში ანგარიშის გათანაბრება **კირან გიბსის** პასის შემდეგ **ნიკლას ბენდტნერს** შეეძლო, თუმცა დანიელს მიზანმა უმტყუნა. 35-ე წუთზე „არსენალი" მძიმე ვითარებაში ჩავარდა, მძიმე ტრავმა მიიღო"მეთოფეთა" ცენტრალურმა მცველმა **იოჰან ჯურუმ**. მის ნაცვლად მინდორზე ადგილი **მიკაელ სილვესტრმა** დაიკავა. ფრანგი პრემიერლიგას თითქმის 4,5-თვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. 42-ე წუთზე სწორედ მას მიეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ... სტუმრებს ეს სიხარული მეორე ტაიმამდე არ ელირსათ. მეტიც, ანგარიშის გათანაბრების შესანიშნავი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ. გიბსმა **ანტონიო ვალენსია** მოცელა, ფეხბურთელმა **ალან ვაილისგან** ალალი წითლის ნაცვლად მხოლოდ ყვითელი ბარათი დაიმსახურა. **ბენ უოტსონმა** საჯარიმო კარგად დაატრიალა, მაგრამ ფაბიანსკის მაგივრად ბურთს წინ ძელი გადაეღობა.

მეორე ტაიმში „არსენალმა" მოახერხა ბურთის ხელში ჩაგდება და თამაშზე კონტროლის დაწესება, თუმცა საგოლე მომენტების შექმნას მაინც ვერ ახერხებდა. 61-ე წუთზე შესანიშნავად ითამაშა **არშავინმა** - სამი მეტოქის გარემოცვაში მდგომმა რუსმა **უოლკოტს** შესანიშნავი პასი გაუკეთა, ამ უკანასკნელს გოლის გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა. ვენგერმა თამაშში მარქაფა ვან პერსი ჩართო, ვისაც მალე ადებაიორი შეაშველა. სტუმართა იერიშები ერთიორად გამწვავდა. 71-ე წუთზე ფაბრეგასის ფლანგურ, გასწვრივ პასს სილვესტრი გამოეხმაურა 1:2. შეხვედრის ბოლოს კი შეტევებით გართულ უიგანელებს ორი მწვავე ჩხვლეტა გამოეპარათ.

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

18 აპრილი. **ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, მიდლსბრო-ფულჰემი, პორტსმუთი-ბოლტონი, სტოკ სიტი-ბლექბერნი, სანდერლენდი-ჰალ სიტი.** 19 აპრილი. **ტოტენჰემი-ნიუკასლი, მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი.**




### ლივერპული-ბლექბერნი 4:0

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, ინსუა, არბელოა, ჩაბი ალონსო (87. ლუკასი), მასკერანო, რიერა, ბენაიუნი, ტორესი (74. ელ ზარი), კუიტი (85. ნგოგი)

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, ოოიერი, ჟივე, ენდრიუსი, თუგაი (67. გრელა), მოკოენა (46. დორანი), დაფი (60. ვილიანუევა), უორნოკი, ტრისი, სამბა.

**გოლები:** 1:0 ტორესი (5), 2:0 ტორესი (33), 3:0 აგერი (83), 4:0 ნგოგი (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 23(10)-11(6); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 43 466

### ჩელსი-ბოლტონი 4:3

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, კარვალიო, ეშლი კოული, ივანოვიჩი, ობი მიკელი, ლემპარდი (66. დეკუ), ბალაკი, მალუდა, დროგბა (66. ანელკა), კალუ.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, შიტუ (46. ენდრიუ ობრაიენი), გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მაკენი (83. კოენი), რიკარდო გარდნერი, მუამბა, მეტიუ ტეილორი, ელმანდერი (67. ბეშემი), კევინ დევისი.

**გოლები:** 1:0 ბალაკი (40), 2:0 დროგბა (48), 3:0 ლემპარდი (60-პენ), 4:0 დროგბა (63), 4:1 ენდრიუ ობრაიენი (70), 4:2 ბეშემი (74), 4:3 მეტიუ ტეილორი (78).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 26(11)-17(5); **ჯარიმა:** 11-18; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 41 096

### მიდლსბრო-ჰალ სიტი 3:1

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, ჰუთი, ვიტერი, ბეიტსი, ენდრიუ ტეილორი, მაკმაჰონი, თუნჯაი, დაუნინგი, ალიადიერი (90. ემნესი), აფონსო ალვეში (77. ადამ ჯონსონი), მარლონ კინგი.

**ჰალი:** დიუკი, ტერნერი, ჰაიათი, დოსონი, რიკეტსი, ბარმბი (62. ფოლანი), ეშბი, ჯოვანი, მენდი (46. მარნი), ფეგანი (72. ჯორჯ ბოატენგი), მანუჩო.

**გოლები:** 1:0 თუნჯაი (3), 1:1 მანუჩო (9), 2:1 ბეიტსი (29), 3:1 მარლონ კინგი (90).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 17(8)-14(3); **ჯარიმა:** 15-18; **კუთხური:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 32 255

### პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი 2:2

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, სოლ კემპბელი, პრეიდარსონი, კაბული, რიჩარდ ჰიუზი, მულინსი, კრანჩარი, ნაჯენტი (64. ბელჰაჯი), პენანტი (90. გეკასი), კრაუჩი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, მეიტე, პოლ რობინსონი, ზუივერლოონი (78. ჰოფკენსი), დორენსი, კორენი, მორისონი (75. ვუდსი), გრინინგი, ბრანტი (81. მულუმბუ), მარკ-ანტუან ფორჩუნი.

**გოლები:** 1:0 კაბული (33), 1:1 გრინინგი (48), 2:1 კრანჩარი (65), 2:2 ბრანტი (62).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 13(4)-12(7); **ჯარიმა:** 16-12; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 376

### სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ. 1:2

**სანდერლენდი:** გორდონი, ანტონ ფერდინანდი, დევენპორტი (73. მაკშეინი), კოლინსი, ბერდსლი, ტაინიო (85. იორკი), ლიდბიტერი, რიდი (80. დერილ მერფი), ედვარდსი, ჯიბრილ სისე, კენვინ ჯოუნსი.

**მანჩესტერ იუნ:** ფოსტერი, ევანსი, ვიდიჩი, ოში, გარი ნევილი, ქერიკი, სქოულზი, პარკი (69. კრისტიანო რონალდო), რუნი, ბერბატოვი (75. მაკედა), ტევესი (82. ანდერსონი).

**გოლები:** 0:1 სქოულზი (19), 1:1 კენვინ ჯოუნსი (55), 1:2 მაკედა (76).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19(4)-20(3); **ჯარიმა:** 7-6; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 45 408

### ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 1:0

**ტოტენჰემი:** გომესი, ლედლი კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა, ჯენასი (46. ზოკორა), ჰადლსტონი, მოდრიჩი, ლენონი, დარენ ბენტი (57. პავლიუჩენკო), რობი კინი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ტომკინსი (81. ნსერეკო), ნობლი, ნილი, სტანისლასი, ბოა მორტე (72. დაიერი), დი მიკელე, დიეგო ტრისტანი (85. სიერსი).

**გოლები:** 1:0 პავლიუჩენკო (65).

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 18(7)-8(3); **ჯარიმა:** 10-16; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 35 969

### უიგანი-არსენალი 1:4

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, მაიკლ ბრაუნი (78. დე რიდერი), უოტსონი (85. კუმასი), შარნერი, როდალიეგა, ვალენსია, მიდო (58. კაპო).

**არსენალი:** ფაბიანსკი, ჯურუ (35. სილვესტრი), კოლო ტურე, გიბსი, სანია, სონგი, დენილსონი (63. ვან პერსი), ბენდტნერი, ფაბრეგასი, არშავინი, უოლკოტი (68. ადებაიორი).

**გოლები:** 1:0 მიდო (18), 1:1 უოლკოტი (61), 1:2 სილვესტრი (71), 1:3 არშავინი (90), 1:4 სონგი (90).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 15(2)-17(5); **ჯარიმა:** 15-18; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 954

### სტოკ სიტი-ნიუკასლი 1:1

**სტოკი:** სორენსენი, აბდულა ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, უილკინსონი (90. კელი), ველანი, დელაპი, ეთერინგტონი (80. პიუ), ლორენსი, ბიტი (73. კრესველი), ფულერი.

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ედგარი, ბასონგი, ბეიე, დაფი, რაიან ტეილორი, ბატი, გუტრი (63. ხონას გუტიერესი), ნოლანი, ამეობი (70. ქეროლი), ოუენი.

**გოლები:** 1:0 აბდულა ფაიე (33), 1:1 ქეროლი (81).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 21(5)-10(2); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 27 500

### ასტონ ვილა-ევერტონი 3:3

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კ. დევისი, ნაითი, შორი, ლ. იანგი, ბერი, ს. პეტროვი, ა. იანგი, მილნერი, აგბონლაორი (55. დელფონზო), კარიუ.

ევერტონი: ჰოვარდი, ლესკოტი, ჟაგიელკა, ბაინსი, ჰიბერტი (65. იაკობსენი), ტ. კეჰილი, ფ. ნევილი, პიენაარი, ოსმანი, ჟო (81. საა), ფელაინი.

**გოლები:** 0:1 ფელაინი (19), 0:2 ტ. კეჰილი (23), 1:2 კარიუ (33), 1:3 პიენაარი (53), 2:3 მილნერი (55), 3:3 ბერი (67 პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 17(6)-10(5); **ჯარიმა:** 10-19; **კუთხური:** 11-7; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 40 188

### მანჩესტერ სიტი-ფულჰემი 1:3

მანჩესტერ სიტი: გივენი, ონუოჰა, რ. დანი, გარიდო, მ. რიჩარდსი, საბალეტა, დე იონგი, ბოჟინოვი (56. ევანსი), აირლანდი, მ. პეტროვი (64. რობინიო), კ. ეტუჰუ (64. სტარიჯი).

ფულჰემი: შვარცერი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, პენცილი, მერფი (89. დავური), ეტუჰუ, დემპსი (86. გერა), ს. დევისი, ზამორა (86. დ. კამარა), ე. ჯონსონი.

**გოლები:** 1:0 აირლანდი (28), 1:1 დემპსი (50), 1:2 ეტუჰუ (59), 1:3 დემპსი (83)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(5)-16(6); **ჯარიმა:** 10-8; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 39 841

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 31 | 22 | 5 | 4 | 54-21 | 71 |
| 2. ლივერპული | 32 | 20 | 10 | 2 | 59-21 | 70 |
| 3. ჩელსი | 32 | 20 | 7 | 5 | 55-20 | 67 |
| 4. არსენალი | 32 | 17 | 10 | 5 | 54-28 | 61 |
| 5. ასტონ ვილა | 32 | 15 | 8 | 9 | 48-42 | 53 |
| 6. ევერტონი | 32 | 14 | 10 | 8 | 47-34 | 52 |
| 7. ვესტ ჰემი | 32 | 12 | 8 | 12 | 37-36 | 44 |
| 8. ფულჰემი | 32 | 11 | 10 | 11 | 33-28 | 43 |
| 9. ტოტენჰემი | 32 | 11 | 8 | 13 | 38-36 | 41 |
| 10. უიგანი | 32 | 11 | 8 | 13 | 31-36 | 41 |
| 11. მანჩესტერ სიტი | 32 | 11 | 5 | 16 | 47-42 | 38 |
| 12. ბოლტონი | 32 | 11 | 4 | 17 | 39-49 | 37 |
| 13. სტოკ სიტი | 32 | 9 | 9 | 14 | 32-48 | 36 |
| 14. პორტსმუთი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-48 | 34 |
| 15. ჰალ სიტი | 32 | 8 | 10 | 14 | 36-55 | 34 |
| 16. ბლექბერნი | 32 | 8 | 10 | 14 | 35-54 | 34 |
| 17. სანდერლენდი | 32 | 8 | 8 | 16 | 30-43 | 32 |
| 18. ნიუკასლი | 32 | 6 | 12 | 14 | 37-52 | 30 |
| 19. მიდლსბრო | 32 | 7 | 9 | 16 | 25-47 | 30 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 6 | 7 | 19 | 28-59 | 25 |

**ბომბარდირები:** 15 – ანელკა (ჩელსი), რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი); 13 – ჯერარდი (ლივერპული); 12 – ლემპარდი (ჩელსი); 11 – რობინიო (მანჩესტერ სიტი), ტორესი (ლივერპული), კევინ დევისი (ბოლტონი), აგბონლაორი (ასტონ ვილა); 10 – დარენ ბენტი (ტოტენჰემი), ზაქი (უიგანი), დეფო (პორტსმუთი), მეტიუ ტეილორი (ბოლტონი), კრაუჩი (პორტსმუთი), ადებაიორი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი. XLII ტური

**ვულვერჰემპ.-საუთჰემპ.** 3:0

**გოლები:** 1:0 ვოუკსი (1), 2:0 კრედოკი (6), 3:0 დ.ჯოუნსი (19-პენ)

**რედინგი-შეფილდ იუნ.** 0:1

**გოლი:** 0:1 ჰოვარდი (59)

**პრესტონი-ბლექპული** 0:1

**გოლი:** 0:1 ადამი (43)

**ბარნლი-ქუინზ პარკი** 1:0

**გოლი:** 1:0 კარლაისლი (49)

**ჩარლტონი-ბირმინგემი** 0:0

**კრ.პალასი-კარდიფი** 0:2

**გოლები:** 0:1 მაკორმაკი (22-პენ), 0:2 მაკორმაკი (90)

**იფსვიჩი-დონკასტერი** 1:3

**გოლები:** 0:1 რობერტსი (9), 1:1 გარვანი (12), 1:2 ჰეფერნანი (74), 1:3 ჰეიტერი (85)

**ნოტინგემი-ბრისტოლი** 3:2

**გოლები:** 0:1 სპროული (13), 1:1 ერნშო (32), 1:2 ადებოლა (78), 2:2 გარნერი (83), 3:2 ბლექსტოკი (90)

**პლიმუთი-ქოვენთრი** 4:0

**გოლები:** 1:0 ბარნესი (15), 2:0 მაკი (26), 3:0 ჯაჯი (27), 4:0 სიეპი (37)

**შეფილდ უენ.-დერბი** 0:1

**გოლი:** 0:1 ოკონორი (45)

**სუონსი-ნორვიჩი** 2:1

**გოლები:** 1:0 სკოტლანდი (29), 1:1 ლი (33), 2:1 სკოტლანდი (50-პენ)

**უოტფორდი-ბარნსლი** 1:1

**გოლები:** 0:1 მაკენი (67), 1:1 სმიტი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპ. | 42 | 24 | 8 | 10 | 74-49 | 80 |
| 2. ბირმინგემი | 42 | 21 | 13 | 8 | 49-33 | 76 |
| 3. შეფილდ იუნ. | 42 | 21 | 12 | 9 | 63-38 | 75 |
| 4. კარდიფი | 41 | 18 | 16 | 7 | 60-40 | 70 |
| 5. რედინგი | 41 | 19 | 12 | 10 | 65-36 | 69 |
| 6. ბარნლი | 42 | 19 | 12 | 11 | 64-55 | 69 |
| 7. სუონსი | 42 | 14 | 20 | 8 | 59-47 | 62 |
| 8. პრესტონი | 42 | 17 | 11 | 14 | 54-52 | 62 |
| 9. ბრისტოლი | 42 | 15 | 14 | 13 | 52-47 | 59 |
| 10. ქუინზ პარკი | 42 | 14 | 15 | 13 | 38-39 | 57 |
| 11. იფსვიჩი | 42 | 14 | 14 | 14 | 53-49 | 56 |
| 12. შეფილდ უენ. | 42 | 14 | 12 | 16 | 45-54 | 54 |
| 13. კრ.პალასი | 42 | 14 | 11 | 17 | 51-52 | 53 |
| 14. უოტფორდი | 42 | 14 | 10 | 18 | 62-66 | 52 |
| 15. ქოვენთრი | 41 | 13 | 13 | 15 | 43-51 | 52 |
| 16. დონკასტერი | 42 | 15 | 7 | 20 | 37-50 | 52 |
| 17. დერბი | 41 | 13 | 12 | 16 | 51-58 | 51 |
| 18. ბლექპული | 42 | 12 | 14 | 16 | 41-53 | 50 |
| 19. პლიმუთი | 42 | 13 | 10 | 19 | 42-51 | 49 |
| 20. ბარნსლი | 41 | 12 | 10 | 19 | 40-52 | 46 |
| 21. ნოტინგემი | 42 | 11 | 12 | 19 | 45-63 | 45 |
| 22. ნორვიჩი | 42 | 11 | 10 | 21 | 51-61 | 43 |
| 23. საუთჰემპ. | 42 | 9 | 14 | 19 | 42-62 | 41 |
| 24. ჩარლტონი | 41 | 7 | 12 | 22 | 44-67 | 33 |

### I ლიგა

საუთენდი-მილტონი 0:2, ბრისტოლი-ნორთჰემპტონი 1:0, კარლაისლი-ოლდჰემი 1:1, პიტერბორო-ჩელტენჰემი 1:1, იოვილი-მილუოლი 2:0, სკანთორპი-ჰადერსფილდი 1:2, ბრაიტონი-სვინდონი 2:3, ქრუ-ჰარტლპული 0:0, ჰერეფორდი-ლესტერი 1:3, ლიდსი-სტოკპორტი 1:0, ლეიტონი-კოლჩესტერი 2:1, უოლსოლი-ტრანმერი 0:1.

### II ლიგა

ბერი-შრუსბერი 2:1, მორკომბი-ბრედფორდი 2:1, ბარნეტი-ბორნმუთი 1:0, ბრენტფორდი-ექსეტერი 1:1, ჩესტერი-მაკლსფილდი 0:2, ჩესტერფილდი-დარლინგტონი 0:0, დაგენჰემი-ოლდერშოტი 3:1, გრიმსბი-აქრინგტონი 0:1, ლინკოლნი-ლუტონი 0:0, როჩდეილი-პორტ ვეილი 1:0, როტერჰემი-ნოთს ქაუნთი 2:1, ვიკომბი-ჯილინგემი 1:0.

### კონფერენსი

ოლტრინჩემი-კიდერმინსტერი 2:2, ბარტონი-ჰისტონი 3:1, კემბრიჯი-ისტბორნი 2:1, ფორესტ გრინი-უოქინგი 0:2, გრეისი-სელისბერი 3:1, ლიუისი-ვიმუთი 1:0, მანსფილდი-ბეროუ 2:2, ოქსფორდი-რექსჰემი 1:0, რაშდენი-კეტერინგი 1:0, სტივენიჯი-ებსფლიტი 1:0, ტორკი-ქროული 0:2, იორკი-ნორვიჩი 1:2.

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXXI ტური

**ოსერი-ბორდო 0:2**

**ოსერი:** სორენი, დუდკა, ა. კულიბალი, მინო, გრიშტინგი, ნარი (72. ნიკულაე), პედრეტი, ბიისა, კალენბერგი, შაფნი, იელენი.
**ბორდო:** რამე, შალმე, პლანუსი, ს. დიავარა, ტრემულინა, ა. დიარა, ფერნანდო, ვენდელი, გურკუფი, შამახი, გურანი (88. აბ. ტრაორე).
**გოლები:** 0:1 ფერნანდო (33), 0:2 ვენდელი (79)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 20 002

**ჰავრი-კაენი 1:2**

**ჰავრი:** რევო, ბაკა, სამბუ, ფრანკარი, ტისიერი, დიოზი, ანენი, ნორო (83. ლესაჟი), ალა (70. ბენ იდირი), დავიდა (87. დიალო), ალასანი.
**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, რ. გომისი, სორბონი, ლემაეტრი, სეობი, ნივე, ბენ ხალფალა (68. ელუჩანსი), იატაბარე (57. ტუდიჩი), დერუანი (83. ნაბაბი), სავიდანი.
**გოლები:** 0:1 სავიდანი (19), 1:1 ალასანი (41), 1:2 ლემაეტრი (87)
**გაფრთხილება:** 3-2
**მაყურებელი:** 14 382

**ლე მანი-სოშო 2:0**

**ლე მანი:** პელე, იბ. კამარა, გედერი, სედრანი, კორჩია (68. ბუპურსი), გულონი (63. პაულო ანდრე), ფ. ტომასი, კუტადორი, ჟერვინიო, მაეგა, ლამა (72. ლე ტალეკი).
**სოშო:** რიშერი, ჟ. ფატი, აფოლაბი, პერკისი, მიკარი, კარლაო (57. ისაბეი), პიტო (67. მა. მარტინი), ს. დალმა, ბუდებუ (75. ტულასნი), სვერკოსი, ერდინგი.
**გოლები:** 1:0 ლამა (35), 2:0 მაეგა (86)
**გაფრთხილება:** 2-1
**მაყურებელი:** 12 131

**ნანსი-ვალანსი 2:0**

**ნანსი:** გრეგორინი, შრეტიენი, მაკალუსო, უადუ (62. ანდრე ლუისი), ბრისონი, ა. ნ'დიაიე (85. ზერკა), ნ'გემო, გავანონი, ფერე (78. აჯე), ჰაჯი, დია.
**ვალანსი:** პენეტო, დუკურტიუ, ბიშევაცი, აბარდონადო, მატერი (78. მ. ტრაორე), ჟეოვანიო, საესი (69. დანიკი), სანჩესი, ბანგურა, დარშევილი (90. სებო), ოდელი.
**გოლები:** 1:0 მაკალუსო (89), 2:0 ჰაჯი (90+1-პენ)
**გაფრთხილება:** 2-4
**მაყურებელი:** 18 213

**ნიცა-ლორიანი 2:0**

**ნიცა:** ოსპინა, კ. კულიბალი, აპამი, კანტე, სიდი, ეშუაფნი (76. საბლე), ფაე, ელებუიკი, რემი, ადეილსონი (74. მა. ტრაორე), მულუნგი (46. ბენ საადა).
**ლორიანი:** ოდარი, კალვე, ჟალე, ჟენტონი, ლე ლანი (80. ობერტანი), ამალფიტანო, მანსური, მორელი, გამეირო, საიფი (70. ჟუფრე), ვაირუა (70. აიევი).
**გოლები:** 1:0 რემი (58), 2:0 რემი (60)
**გაფრთხილება:** 2-0
**მაყურებელი:** 8 684

**რენი-სტ. ეტიენი 1:0**

**რენი:** დუშე, ფანი, ჰანსონი, ობეი, ბოკანეგრა, ლემუანი, მბია, დანზე, ჟ. ლერუა, სოვე (77. გიანი), ტომერტი.
**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, ტაველარიდისი, ბეიალი, ანდრეუ (77. მაცუი), მატუიდი, ლანდერნი, მაჩადო, მ. დაბო, ილანი (77. გრაქსი), მირალა (84. ბ. გომისი).
**გოლი:** 1:0 დანზე (50)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 25 000

**ტულუზა-ნანტი 1:0**

**ტულუზა:** კარასო, ებონდო, სეტო, ფოფანა, მატიო, ე. კაპუე, მუ. სისოკო, ე. დიდო (90. სირიეი), ბერგუნუ (46. მანსარე), ბრაატენი, ჟინიაკი.
**ნანტი:** ალონზო, ტალი, პიერი, პულარი, მარევალი, ნ'დავი, ვენკორი (77. ბეკამენგა), და როშა, ბაბოვიჩი (68. ა. კაპუე), კლასნიჩი (81. აბდუნი), ბაგაიოკო.
**გოლი:** 1:0 ჟინიაკი (53)
**გაფრთხილება:** 0-2
**მაყურებელი:** 22 526

**მარსელი-გრენობლი 4:1**

**მარსელი:** მანდანდა, მეარსი (46. კანა), ჰილტონი, როდრიგესი, ტაივო, კაბორე, ბე. შეირუ (57. მ'ბამი), ვალბუენა, ბენ არფა, ნიანგი (46. ვილტორი), ბრანდაო.
**გრენობლი:** ვიმბე, ჟემალი, პეიო, სესარი, რობენი, რომაო, ბატლი, კურტუა, მორეირა (60. ბუა), აკრური (68. დიმიტრიევიჩი), ფეგული (53. ლ. ტურე).
**გოლები:** 1:0 ტაივო (52-პენ), 2:0 ჰილტონი (59), 3:0 ტაივო (65), 4:0 ბრანდაო (89), 4:1 კურტუა (90+3)
**გაფრთხილება:** 0-3
**მაყურებელი:** 60 000

**ლილი-პსჟ 0:0**

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, ემერსონი, რამი, ბალმონი, ობრანიაკი (66. ფრო), შეჯუ, მავუბა, მიშელ ბასტოსი, ჰაზარი (82. ტაფორო), ვიტეკი (82. ფოვერგი).
**პსჟ:** ლანდრო, ზ. კამარა, ს. ტრაორე, სეარა, ჟიული (66. ლუინდულა), როტენი (86. შანტომი), მაკელელე, კლემანი, სესენონი, მაკონდა, ოარო.
**გაფრთხილება:** 0-3
**მაყურებელი:** 27 000

**ლიონი-მონაკო 2:2**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, ბუმსონგი, კრისი, გროსო (70. მუნიე), კალსტრიომი, მაკუნი, ედერსონი (55. პიკიონი), ჟუნინიო, ბენზემა, კ. კეიტა (80. ბოდმერი).
**მონაკო:** რუფიე, მოდესტო, ლოლო (71. მიულერი), ლეკო, პარკი, მონგონგუ, გოსო, ნკულუ ნდუბენა, მოლო (90. პოკრივაცი), პერესი, პინო.
**გოლები:** 0:1 ლეკო (33), 1:1 კრისი (66), 1:2 პინო (67), 2:2 პიკიონი (81)
**გაფრთხილება:** 1-4
**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 31 | 17 | 10 | 4 | 52-27 | 61 |
| 2. ლიონი | 31 | 17 | 9 | 5 | 43-24 | 60 |
| 3. ბორდო | 31 | 17 | 8 | 6 | 50-29 | 59 |
| 4. ტულუზა | 31 | 15 | 11 | 5 | 38-21 | 56 |
| 5. ლილი | 31 | 15 | 11 | 5 | 43-29 | 56 |
| 6. პსჟ | 31 | 17 | 5 | 9 | 43-33 | 56 |
| 7. რენი | 31 | 12 | 15 | 4 | 33-22 | 51 |
| 8. ნიცა | 31 | 12 | 8 | 11 | 36-33 | 44 |
| 9. ლორიანი | 31 | 9 | 11 | 11 | 37-36 | 38 |
| 10. მონაკო | 31 | 9 | 10 | 12 | 36-38 | 37 |
| 11. ოსერი | 31 | 10 | 7 | 14 | 25-31 | 37 |
| 12. ვალანსი | 31 | 8 | 12 | 11 | 28-31 | 36 |
| 13. ლე მანი | 31 | 9 | 8 | 14 | 36-44 | 35 |
| 14. გრენობლი | 31 | 8 | 11 | 12 | 21-33 | 35 |
| 15. ნანსი | 31 | 8 | 9 | 14 | 29-39 | 33 |
| 16. სოშო | 31 | 7 | 11 | 13 | 33-40 | 32 |
| 17. კაენი | 31 | 6 | 13 | 12 | 34-39 | 31 |
| 18. ნანტი | 31 | 7 | 9 | 15 | 26-43 | 30 |
| 19. სტ. ეტიენი | 31 | 8 | 5 | 18 | 27-47 | 29 |
| 20. ჰავრი | 31 | 6 | 3 | 22 | 25-56 | 21 |

**ბომბარდირები:** 19 - ჟინიაკი (ტულუზა); 16 - ოარო (პსჟ); 14 - ბენზემა (ლიონი); 13 - კავენაგი (ბორდო), ბასტოსი (ლილი); 11 - სავიდანი (კაენი), რემი (ნიცა); 10 - შამახი (ბორდო), ალასანი (ჰავრი).

### II დივიზიონი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-ტური | 0:2 |
| ანჟერსი-გინგამი | 0:1 |
| ბრესტი-დიჟონი | 1:2 |
| შატორუ-რეიმსი | 0:0 |
| კლერმონი-ბულონი | 2:3 |
| ნიმი-მონპელიე | 2:1 |
| სედანი-ბასტია | 1:1 |
| ტრუა-ამიენი | 0:1 |
| ვანი-მეცი | 1:1 |
| ლანსი-სტრასბური | დღეს |

## მექსიკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-სანტოსი | 0:2 |
| სან ლუისი-ტეკოსი | 3:3 |
| მორელია-კრუს ასული | 1:1 |
| პაჩუკა-ტოლუკა | 3:1 |
| ტიგრესი-მონტერეი | 0:0 |
| ატლასი-ნეკაქსა | 4:1 |
| ატლანტე-ჩივასი | 2:2 |
| პუმასი-პუებლა | 3:1 |
| ამერიკა-ინდიოსი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

V ტური

| | |
|---|---|
| ოიტა-იამაგატა | 0:1 |
| იოკოჰამა-კობე | 5:0 |
| ჯეფ იუნაიტედი-ივატა | 1:1 |
| კიოტო-ნიიგატა | 1:0 |
| ჰიროშიმა-კაშივა | 4:1 |
| ტოკიო-კაშიმა | 1:2 |
| შიმიცუ-კავასაკი | 1:0 |
| ნაგოია-ურავა | 0:1 |
| ომიია-გამბა | 3:2 |

## უელსი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| პორტ ტელბოტი-ეირბასი | 2:1 |
| პორტმედოგი-ჰავერფორდვესტი | 2:1 |
| ლანელი-რილი | 0:1 |

## სლოვენია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| პრიმორიე-დომჟალე | 0:0 |
| დრავა-ნაფტა | 4:1 |
| ინტერბლოკი-გორიცა | 1:2 |
| კოპერი-მარიბორი | 0:0 |
| რუდარი-ლიუბლიანა | 0:1 |

## საბერძნეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| აეკ-არისი | 0:1 |
| ირაკლისი-ასტერასი | 2:1 |
| ოფი-ერგოტელისი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ლარისა | 0:1 |
| პანიონიოსი-ტრასივულოსი | 4:1 |
| პანსერაიკოსი-პანათინაიკოსი | 0:0 |
| პანთრაკიკოსი-ლევადია | 1:3 |
| ქსანთი-პაოკი | 1:2 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ატრომიტოსი-აპოლონი 2:1; აგროტიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) 3:1; ანაგენისი-ეთნიკოსი (ა) 1:0; ეთნიკოსი-კალითეა 0:0; იონიკოსი-დიაგორასი 1:0; კერკირა-კასტორია 1:2; პიერიკოსი-კალამატა 1:2; ვერია-ილისიაკოსი 0:0 შეწყდა; კავალა-იანინა დღეს.

## თურქეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ქოჯაელი-ბეშიქთაში | 1:3 |
| ბურსა-ანკარაგიუჯუ | 2:0 |
| ბუიუქშეჰირი-გაზიანთეფი | 1:1 |
| სივასი-ანთალია | 1:0 |
| ჰაჯეთეპე-ტრაბზონი | 1:4 |
| ესქიშეჰირი-ანკარა | 2:0 |
| გენჩლერი-კონია | 1:0 |
| კაისერი-დენიზლი | 2:0 |
| გალათასარაი-ფენერბაჩე | 0:0 |

### II დივიზიონი

XXX ტური

მანისა-გირესუნი 3:1; ალთაი-ქასიმფაშა 1:0; რიზე-ადანა 0:0; ბოლუში-ერჩიესი 2:0; გიუნგორენი-ქარსიაქა 2:2; ქარაბუქი-ბბ გაზიანთეფი 2:0; მალათია-საქარია 1:3; ორდუ-ქართალი 1:0; სამსუნი-დიარბაქირი დღეს.

## ჰოლანდია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბრედა-ალკმაარი | 0:1 |
| გრააფშხაპი-ნიიმეგენი | 2:2 |
| დენ ჰააგი-სპარტა | 1:2 |
| ეინდჰოვენი-უტრეხტი | 2:0 |
| ტვენტე-როდა | 4:2 |
| გრონინგენი-ვიტესი | 2:3 |
| ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 5:1 |
| ჰეერენვეენი-ვოლენდამი | 1:0 |
| აიაქსი-ვილემი | 7:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 30 | 24 | 4 | 2 | 61-15 | 76 |
| 2. ტვენტე | 30 | 19 | 8 | 3 | 58-28 | 65 |
| 3. აიაქსი | 30 | 20 | 4 | 6 | 70-30 | 64 |
| 4. ჰეერენვეენი | 30 | 17 | 7 | 6 | 61-49 | 58 |
| 5. ეინდჰოვენი | 30 | 16 | 7 | 7 | 59-30 | 55 |
| 6. გრონინგენი | 30 | 14 | 4 | 12 | 50-36 | 46 |
| 7. ბრედა | 30 | 12 | 6 | 12 | 41-46 | 42 |
| 8. ნიიმეგენი | 30 | 9 | 12 | 9 | 36-34 | 39 |
| 9. უტრეხტი | 30 | 10 | 9 | 11 | 35-34 | 39 |
| 10. ფეიენოორდი | 30 | 10 | 8 | 12 | 46-39 | 38 |
| 11. ვიტესი | 30 | 8 | 10 | 12 | 31-43 | 34 |
| 12. ვილემი | 30 | 9 | 5 | 16 | 31-52 | 32 |
| 13. სპარტა | 30 | 8 | 6 | 16 | 41-62 | 30 |
| 14. ჰერაკლესი | 30 | 6 | 10 | 14 | 30-49 | 28 |
| 15. დენ ჰააგი | 30 | 7 | 6 | 17 | 31-49 | 27 |
| 16. როდა | 30 | 6 | 7 | 17 | 33-53 | 25 |
| 17. გრააფშხაპი | 30 | 6 | 7 | 17 | 21-55 | 25 |
| 18. ვოლენდამი | 30 | 6 | 6 | 18 | 32-63 | 24 |

### II დივიზიონი

XXXIV ტური

მაასტრიხტი-როსენდალი 4:1; კამბური-ჰელმონდი 2:0; ექსელსიორი-ემენი 0:2; ომნივორლდი-აპელდორნი 0:3; ეინდჰოვენი A-იგლზი 1:1; ჰაარლემი-ფორტუნა 2:0; ცვოლე-ტოპ ოსი 0:0; ვეენდამი-დორდრეხტი 0:4; დენ ბოში-ვენლო 0:5; ვაალვიკი-ტელსტარი 3:0.

## ავსტრია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ალტახი | 5:4 |
| კაპფენბერგი-ზალცბურგი | 0:2 |
| რიდი-აუსტრია (ვ) | 0:0 |
| აუსტრია (კ)-ლინცი | 0:1 |
| რაპიდი-შტურმი | 0:1 |

### II დივიზიონი

XXV ტური

აუსტრია A-სტ. პოლტენი 1:1; ლუშტენაუ-ადმირა 3:0; გრატკორნი-აუსტრია (ლ) 1:7; ზალცბურგი A-ლეობენი 4:0; ფოკლაბრუკი-გრიოდიგი 2:3; ტიროლი-ვინერი 1:3.

## კვიპროსი

### საჩემპიონო ჯგუფი

III ტური

| | |
|---|---|
| აელ-ომონია | 2:3 |
| აპოელ-ანორთოსისი | 2:0 |

### ინტერტოტოს ჯგუფი

III ტური

| | |
|---|---|
| აპოლონი-ეთნიკოსი | 2:0 |
| დოხა-აპოპ | 3:2 |

### გასავარდნი ჯგუფი

III ტური

| | |
|---|---|
| აეპ-აპეპ | 1:1 |
| ალკი-ენოსისი | 1:2 |

## ირლანდია

VII ტური

| | |
|---|---|
| დროგედა-გალვეი | 0:1 |
| ბრეი-დანდალკი | 1:1 |
| დერი-სლაიგო | 1:2 |
| შემროკი-კორკი | 1:1 |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 3:0 |

## შვედეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1:1 |
| ბრომაპოიკარნა-ჰაკენი | 2:0 |
| ერებრო-ელფსბორგი | 0:1 |
| გიოტებორგი-იურგორდენი | 6:0 |
| ჰამარბიუ-გეფლე | 1:2 |
| გაის-ჰელსინგბორგი | დღეს |
| მალმიო-იორგრიტე | დღეს |
| კალმარი-აიკ | დღეს |

### II დივიზიონი

I ტური

ასირისკა-ნორჩოპინგი 3:0; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

## არგენტინა

IX ტური

| | |
|---|---|
| არგ. ხუნიორსი-ლანუსი | 2:1 |
| ტიგრე-ნიუელსი | 1:1 |
| გოდოი-ხიმნასია (ხ) | 2:2 |
| კოლონი-არსენალი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ურაკანი | 2:1 |
| ბანფილდი-სან მარტინი | 0:0 |
| სან ლორენსო-ველესი | 0:1 |
| ესტუდიანტესი-ბოკა | 1:0 |
| როსარიო-რასინგი | 0:1 |
| რივერი-ხიმნასია (ლ) | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

### პაულისტა A1

პლეიოფი

| | |
|---|---|
| სანტოსი-პალმეირასი | 2:1 |
| კორინთიანსი-სან პაულო | 2:1 |

## ბელგია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| რუზელარე-გენკი | 1:0 |
| სერკლი-ტუბიზე | 4:1 |
| შარლერუა-მუსკრონი | 1:0 |
| ბევერსხოტი-ვარეგემი | 1:2 |
| კორტრიიკი-დენდერი | 1:2 |
| მონსი-მეხელენი | 0:1 |
| სტანდარტი-ლოკერენი | 1:0 |
| გენტი-ვესტერლო | 2:0 |
| ანდერლეხტი-ბრიუგე | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 29 | 20 | 4 | 5 | 64-28 | 64 |
| 2. სტანდარდი | 29 | 20 | 4 | 5 | 56-25 | 64 |
| 3. ბრიუგე | 29 | 16 | 5 | 8 | 50-40 | 53 |
| 4. გენტი | 29 | 14 | 7 | 8 | 58-37 | 49 |
| 5. ვესტერლო | 29 | 13 | 7 | 9 | 37-32 | 46 |
| 6. გენკი | 29 | 14 | 4 | 11 | 44-42 | 46 |
| 7. ვარეგემი | 29 | 13 | 6 | 10 | 45-34 | 45 |
| 8. ლოკერენი | 29 | 10 | 12 | 7 | 33-25 | 42 |
| 9. მუსკრონი | 29 | 11 | 8 | 10 | 38-36 | 41 |
| 10. მეხელენი | 29 | 10 | 10 | 9 | 39-43 | 40 |
| 11. სერკლი | 29 | 11 | 5 | 13 | 41-47 | 38 |
| 12. ბევერსხოტი | 29 | 9 | 9 | 11 | 38-36 | 36 |
| 13. შარლერუა | 29 | 9 | 7 | 13 | 35-42 | 34 |
| 14. კორტრიიკი | 29 | 7 | 10 | 12 | 30-45 | 31 |
| 15. რუზელარე | 29 | 8 | 6 | 15 | 29-47 | 30 |
| 16. დენდერი | 29 | 7 | 7 | 15 | 38-51 | 28 |
| 17. ტუბიზე | 29 | 5 | 3 | 21 | 27-72 | 18 |
| 18. მონსი | 29 | 3 | 8 | 18 | 28-48 | 17 |

### II დივიზიონი

XXXIII ტური

ლიერსი-ბევერენი 3:2; დაინცეპევერლე 1:1; ეუპენი-ბრიუსელი 1:0; ლომელი-ვირტონი 3:0; რონსე-სტ. ტრუიდენი 1:5; ტურნე-ჰამე 4:1; ვაასლანდი-ლიეჟი 2:1; ტინენი-ოლ. შარლერუა 0:0; ნამენი-ანტვერპენი 0:3.

## შვეიცარია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-ქსამაქსი | 3:0 |
| ლუცერნი-ვადუცი | 3:1 |
| სიონი-ციურიხი | 0:1 |
| არაუ-ბელინცონა | 0:0 |
| გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი | 3:3 |

### ჩელენჯლიგა

XXII ტური

შო დე ფონი-გოსაუ 3:1; სერვეტი-ვილი 1:1; თუნი-ვოლენი 1:2; ივერდონი-ვინტერტური 0:4; კონკორდია-ნიონე 2:1; ბილი-ლუგანო 0:3; ლოკარნო-ლოზანა 0:3; სტ. გალენი-შაფჰაუზენი დღეს.

## ბულგარეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ვიხრენი-ბელასიცა | 4:1 |
| მინიორი-ცსკა | 0:1 |
| ლევსკი-ლოკომოტივი (ს) | 0:3 |
| ბოტევი-ლოკომოტივი (მ) | 3:1 |
| სლავია-სპარტაკი | 1:2 |
| პირინი-სლივენი | 3:1 |
| ჩერნომორეცი-ლიტექსი | 3:1 |
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | დღეს |

## ხორვატია

XXV ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ინკერი | 1:0 |
| ჰაიდუკი-ციბალია | 2:0 |
| რიეკა-ვარტექსი | 4:1 |
| ზაგრები-ოსიეკი | 1:0 |
| სლავენი-კროატია | 5:1 |
| შიბენიკი-ზადარი | 0:0 |

## ჩეხეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-ბოლესლავი | 1:1 |
| ვიქტორია-სიგმა | 1:2 |
| პლზენი-ზლინი | 5:0 |
| ბრნო-იაბლონეცი | 1:0 |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 3:0 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 1:0 |
| ლიბერეცი-ბანიკი | 0:0 |
| სლავია-სპარტა | დღეს |

### II დივიზიონი

XXII ტური

დუკლა-იჰლავა 2:1; სოკოლოვი-ფულნეკი 4:0; სპარტა II-ბოჰემიანსი 0:0; ტრშინეცი-ჰრადეცი 1:1; ვიტკოვიცე-სლოვაცკო 1:1; ჩასლავი-კარვინა 0:0; ოლომოუცი-უსტი 2:3; მოსტი-ოპავა 1:1.

## კოლუმბია

XI ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კალი-კუკუტა | 0:0 |
| ატ. უილა-ონსე კალდასი | 0:0 |
| ჩიკო-ტოლიმა | გვ. დასრულდა |
| დ. პასტო-ატ. ნასიონალ | გვ. დასრულდა |
| დ. პერეირა-ეკვიდადი | გვ. დასრულდა |
| ინდეპენდ.-ამ. დე კალი | გვ. დასრულდა |
| რეალი-მილიონარიოსი | გვ. დასრულდა |
| სანტა ფე-დეპ. კინდიო | გვ. დასრულდა |
| ენვიგადო-ატ. ხუნიორი | გადაიდო |

## აშშ

IV ტური

| | |
|---|---|
| სან ხოსე-ჩიკაგო | 3:3 |
| ტორონტო-დალასი | 1:1 |
| სოლტ ლეიკი-დი სი იუნაიტედი | 2:1 |
| კოლამბუსი-კოლორადო | 1:1 |
| ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 0:0 |
| ლოს ანჯელესი-ჩივასი | 0:0 |
| სიეტლი-კანზასი | 0:1 |

## პორტუგალია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბრაგა-მარიტიმუ | 1:1 |
| ფერეირა-გიმარაეში | 1:1 |
| ლეიქსოეში-რიუ ავე | 1:0 |
| ბელენენსეში-სეტუბალი | 2:1 |
| სპორტინგი-ნავალი | 3:1 |
| ბენფიკა-აკადემიკა | 0:1 |
| პორტუ-ამადორა | 3:0 |
| ტროფენსე-ნასიონალი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 24 | 16 | 6 | 2 | 47-16 | 54 |
| 2. სპორტინგი | 24 | 15 | 5 | 4 | 34-15 | 50 |
| 3. ბენფიკა | 24 | 13 | 7 | 4 | 38-23 | 46 |
| 4. ბრაგა | 24 | 11 | 8 | 5 | 29-16 | 41 |
| 5. ნასიონალი | 23 | 11 | 6 | 6 | 37-24 | 39 |
| 6. ლეიქსოეში | 24 | 10 | 8 | 6 | 25-25 | 38 |
| 7. მარიტიმუ | 24 | 9 | 9 | 6 | 30-24 | 36 |
| 8. გიმარაეში | 24 | 8 | 7 | 9 | 25-28 | 31 |
| 9. აკადემიკა | 24 | 8 | 7 | 9 | 21-24 | 31 |
| 10. ამადორა | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 11. ფერეირა | 24 | 6 | 6 | 12 | 30-37 | 24 |
| 12. ნავალი | 24 | 6 | 6 | 12 | 21-32 | 24 |
| 13. სეტუბალი | 24 | 6 | 4 | 14 | 16-34 | 22 |
| 14. ბელენენსეში | 24 | 4 | 8 | 12 | 23-39 | 20 |
| 15. ტროფენსე | 23 | 4 | 7 | 12 | 18-29 | 19 |
| 16. რიუ ავე | 24 | 4 | 5 | 15 | 14-32 | 17 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ავეში-ბეირა მარი 1:0; ვიზელა-სანტა კლარა 1:2; ბოავიშტა-ფრეამუნდე 2:1; ეშტორილი-ჟილ ვისენტე 2:1; ოლანენსე-ფეირენსე 2:1; ოლივეირენსე-პორტიმონენსე 0:0; კოვილია-გონდომარი 1:3; ვარზიმი-ლეირია 0:2.

## უნგრეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| დიორი-მტკ | 3:1 |
| ჰალადაში-დებრეცენი | 1:2 |
| შიოფოკი-კეჩკემეტი | 2:0 |
| ფეჰერვარი-ჰონვედი | 0:2 |
| ნირეძიხაზა-კაპოშვარი | 0:1 |
| პაკსი-ვაშაში | 3:0 |
| უიპეშტი-რეაკი | 3:0 |
| ზალაეგერსეგი-დიოშდიორი | 1:0 |

## ისრაელი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბნეი სახნინი-მაკაბი (თ-ა) | 0:3 |
| ჰაკოახი-ჰაპოელი (ქ-შ) | 1:0 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 2:1 |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (ფ-თ) | 1:2 |
| ჰაპოელი (თ-ა)-აშდოდი | 1:0 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | დღეს |

## პოლონეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-ოდრა | 1:1 |
| ლკს-არკა | 3:0 |
| შლიონსკი-გურნიკი | 1:1 |
| ლეხია-ბელხატოვი | 1:2 |
| რუხი-პოლონია (ვ) | 1:3 |
| ვისლა-იაგელონია | 1:0 |
| პიასტი-ლეხი | 1:2 |
| ლეგია-კრაკოვია | 4:0 |

## რუმინეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| კლუჟი-გლორია (ბის) | 2:2 |
| სტიაუა-ფარული | 1:1 |
| უნირეა-რაპიდი | 1:1 |
| პანდური-გაზ მეთანი | 1:0 |
| ტიმიშოარა-უნივერსიტატეა | 1:0 |
| დინამო-ვასლუი | 4:1 |
| არჯეში-ოტოპენი | 1:1 |
| ოცელული-პოლიტეხნიკა | 3:2 |
| ბრაშოვი-გლორია (ბუზ) | 4:0 |

## რუსეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| კრილია-ხიმკი | 3:0 |
| მოსკოვი-სპარტაკი | 3:1 |
| ტერეკი-რუბინი | 1:2 |
| დინამო-როსტოვი | 1:0 |
| კუბანი-ტომი | 0:0 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 4:1 |
| ზენიტი-ამკარი | 0:0 |
| ნალჩიკი-სატურნი | 1:1 |

### II დივიზიონი

IV ტური

ჩიტა-მეტალურგი 1:0; კრასნოდარი-ვიტიაზი 1:1; ურალი-ლ. ენერგია 2:1; ანჟი-ბალტიკა 2:0; გაზპრომი-შინიკი 0:0; მვდ-სალუტი 0:1; სიბირი-სკა ენერგია 0:0; ჩერნომორეცი-ნოსტა 2:2; ვოლგა-ალანია 0:3; კამაზ-ნიჟნი ნოვგოროდი 3:0.

## სერბეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ნაპრედაკი | 1:2 |
| ჰაიდუკი-იაგოდინა | 1:0 |
| ჯავორი-ჩუკარიჩკი | 2:0 |
| ოფკ-რად | 0:2 |
| ცრ. ზვეზდა-ბანატი | 3:0 |
| ვოივოდინა-პარტიზანი | 0:2 |

## სლოვაკეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| დუბნიცა-სლოვანი | 0:1 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 0:0 |
| დ. სტრედა-ტრნავა | 1:4 |
| ტატრანი-რუჟომბეროკი | 2:2 |
| არტმედია-ჟილინა | 0:0 |
| მორავცე-ნიტრა | 1:0 |

## შოტლანდია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ჰარტსი-სელტიკი | 1:1 |
| აბერდინი-ინვერნესი | 1:0 |
| ჰამილტონი-დანდი იუნ | 0:1 |
| კილმარნოკი-ფალკირკი | 3:0 |
| რეინჯერსი-მოზერველი | 3:1 |
| სტ. მირენი-ჰიბერნიანი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 32 | 21 | 8 | 3 | 73-30 | 71 |
| 2. რეინჯერსი | 32 | 21 | 7 | 4 | 65-24 | 70 |
| 3. ჰარტსი | 32 | 15 | 8 | 9 | 37-34 | 53 |
| 4. აბერდინი | 32 | 13 | 9 | 10 | 36-31 | 48 |
| 5. დანდი იუნ | 32 | 12 | 12 | 8 | 43-40 | 48 |
| 6. ჰიბერნიანი | 31 | 10 | 11 | 10 | 35-37 | 41 |
| 7. მოზერველი | 32 | 11 | 8 | 13 | 36-42 | 41 |
| 8. კილმარნოკი | 32 | 9 | 6 | 17 | 31-43 | 33 |
| 9. ჰამილტონი | 32 | 10 | 3 | 19 | 25-46 | 33 |
| 10. ინვერნესი | 32 | 9 | 4 | 19 | 31-51 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 31 | 7 | 9 | 15 | 25-43 | 30 |
| 12. ფალკირკი | 32 | 6 | 9 | 17 | 32-48 | 27 |

### I დივიზიონი

XXXII ტური

დანფერმლაინი-სტ. ჯონსტონი 1:3; დანდი-ეირდრი 0:1; ლივინგსტონი-მორტონი 0:2; პარტიკი-ქუინი 0:2; როსი-კლაიდი 0:0.

### II დივიზიონი

XXXII ტური

არბროა-ეირი 1:3; პიტერჰედი-ბრეჩინი 0:1; ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი 3:1; რეითი-ალოა 3:1; სტირლინგი-სტრანრარი 1:2.

### III დივიზიონი

XXXII ტური

ალბიონი-კოუდენბითი 0:0; დამბარტონი-ბირუიკი 2:0; ისტ სტირლინგი-ანენი 1:1; ელჯინი-ფორფარი 1:4; მონროუზი-სტენჰაუზმური 5:3.

## უკრაინა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ზორია-ხარკოვი | 2:0 |
| ლვოვი-მეტალურგი (დ) | 0:1 |
| ტავრია-კრივბასი | 0:1 |
| დნეპრო-ვორსკლა | 2:1 |
| ილიჩოვეცი-მეტალურგი (ზ) | 1:1 |
| მეტალისტი-კარპატი | 1:1 |
| შახტარი-არსენალი | 3:0 |
| დინამო-ჩერნომორეცი | 3:1 |

## ჩრ. ირლანდია

### საჩემპიონო ზონა

I ტური

| | |
|---|---|
| გლენტორანი-ლინფილდი | 1:1 |
| კლიფტონვილი-კოლრეინი | 0:0 |
| კრუზეიდერსი-ლისბურნი | 1:1 |

### გასავარდნი ზონა

I ტური

| | |
|---|---|
| ბალიმენა-ინსტიტუტი | 1:0 |
| ბანგორი-გლენავონი | 1:1 |
| ნიური-დუნგანონი | 2:2 |

## დანია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ოდენსე | 0:1 |
| ჰორსენსი-ბრონდბიუ | 3:0 |
| მიდტიულანდი-აგფ ორჰუსი | დღეს |
| რანდერსი-სიონდერილი | დღეს |
| კოპენჰაგენი-ვეილე | დღეს |

### II დივიზიონი

XX ტური

ფრემი-ლუნგბიუ 1:1; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

## ჩილე

XII ტური

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| უნ. კონსეპსიონი-კობრესალი | 3:1 |
| უნ. ჩილე-ს. მორნინგი | 1:3 |
| ნუბლენსე-კოლო კოლო | 2:0 |
| კურიკო-კობრელოა | 2:0 |
| მუნისიპალ-რეინჯერსი | 1:1 |
| აუდაქსი-ლა სერენა | გვ. დასრულდა |
| უნ. კატოლ-პალესტინ | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

X ტური

| | |
|---|---|
| ესპოლი-პორტოვიეხო | 2:0 |
| მანტა-დეპ. კუენკა | 2:0 |
| მაკარა-ემელეკი | 1:2 |
| ოლმედო-ტექ. უნივერსიტარიო | 0:1 |
| ბარსელონ-ლ. დე კიტო | გვ. დასრულდა |

## პერუ

VIII ტური

| | |
|---|---|
| ს. კრისტალი-ბოლოგნესი | 5:0 |
| ალ. ლიმა-სესიანო | 2:0 |
| ტოტალ ჩალაკო-ალ. ატლეტიკო | 1:1 |
| კოლეგიო-ინტი გასი | 0:0 |
| სპორტი-მელგარი | 2:0 |
| ხუან აურიჩი-უნ. პერუ | 2:0 |
| სპორტ ანკაში-სან მარტინი | 1:1 |
| ხ. გალვესი-ს. ვალეხო | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

VII ტური

| | |
|---|---|
| ბელა ვისტა-რასინგი | 1:1 |
| ლივერპული-სერო | 2:0 |
| პენიაროლი-ხუვენტუდი | 4:1 |
| დანუბიო-რამპლა | 2:0 |
| ნასიონალი-მონტევიდეო | 2:2 |
| სენტრალი-დეფენსორი | 0:1 |
| რივერი-ტაკუარემბო | 1:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორის სვეტი

# ლელო 75 წლისაა

ამ თარიღმაც მოაღწია, „ლელო“ 75 წლის გახდა. დღეს ჩვენი გაზეთის დაბადების დღეა. ყველა შემთხვევაში, გვირგვინად გაწეული ღვაწლი ადგას ღირსეულ საიუბილეო თარიღს. თუ რა მოკიაფე ღირსებებითაა მოოჭვილი 75 წლის „ლელოს“ საიუბილეო გვირგვინი, ყველამ კარგად უწყის.

საქართველოს XX საუკუნის სახელოვანი სპორტული ისტორია, რომლითაც ჩვენი ქვეყანა და ხალხი მადლიერების გრძნობით ამაყობს, შთამომავლობას სამარადჟამოდ „ლელოს“ ფურცლებმა შემოუნახა. მაგრამ მხოლოდ მემატიანის ფუნქცია როდი დააკისრა ჩვენს გაზეთს განგებამ. იმთავითვე „ლელო“ არა მარტო კვალში ჩაუდგა ქართულ სპორტს, არამედ მისი მამოძრავებელი ენერგიის, მუხტის ფუნქციაც იტვირთა, რისი ერთგულიც სამუდამოდ დარჩა. მოწიწებით ვიხსენებთ უფროსი თაობის ლელოელებს, რომელთა უმრავლესობა დღეს ამქვეყნად აღარ არის, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული სპორტისა და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

„ლელო“ და ქართული სპორტული ჟურნალისტიკა, „ლელო“ და ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწა, ახალგაზრდა ჟურნალისტთა თაობების აღზრდაში, სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენა-დამკვიდრებაში, სპორტის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილი — ეს არის გაზეთის ღვაწლის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი.

სიამოვნებით ვიტყვით იმასაც, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, „ლელომ“ უდიდესი რისკის შემცველი ნაბიჯი გადადგა, როცა სათავეში ჩაუდგა საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბებას და ბოლომდე მიიყვანა ჩანაფიქრი. მეტიც, სეოკ-მა დაფუძნების შემდეგაც ამ გაზეთის კედლებში იმუშავა კარგა ხანს.

პირველი ქართული სპორტული გაზეთი ხალხის საყვარელ გამოცემად იქცა. „ლელოსთან“ ასოცირდება თაობათა ურთიერთობა სპორტთან, გულშემატკივართა გემოვნების ფორმირებაც. და თუ დღეს ამბობენ, რომ საზოგადოებრივმა აზროვნებამ სპორტზე საქართველოში თვით სპორტს გაუსწრო, ამაში უდავოდ უძევს ლომის წილი „ლელოს“.

მკითხველის სიყვარულმა გამოატარა გაზეთი ახლო წარსულის დამღუპველ ქარტეხილებს. გამოცემა არასდროს შეწყვეტილა. მადლობა მათ, ვინც გვედგა მხარში და მათაც, ვინც დღეს ზრუნავს, რომ „ლელო“ კვლავ დარჩეს ყველასათვის საყვარელ, კვლავინდებურად ეროვნული სულის მატარებელ სახალხო გაზეთად.



საფეხბურთო თემაზე სუვენირების შექმნის ოსტატმა, ოჩამჩირელმა ზურაბ მიქავამ თავისი 120-ე ნამუშევარი „ლელოს“ 75 წლის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა.

ძიუდო

# ევროპამ თბილისს მწვანე აუნთო




ევროპის ძიუდოს კავშირმა (EJU) ყველა ფედერაციას დაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისში ევროპის ჩემპიონატზე სპორტსმენთა და მაყურებელთა უსაფრთხოება დაცული იქნება. ასე რომ, EJU-მ ევროპის ჩემპიონატის სპორტის სასახლეში ჩატარებას მწვანე აუნთო. შეგახსენებთ, რომ ევროპული პირველობა თბილისში 24-26 აპრილს გაიმართება.

აი, რა თქვა EJU-ს პრეზიდენტმა, რუსმა **სერგეი სოლოვეიჩიკმა**: „ჩვენ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტთან, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან ერთად მუდმივად ვმუშაობთ. გარკვეული, ტექნიკური ხასიათის პრობლემები არსებობს, რადგან საქართველოს ასეთი მასშტაბის ტურნირისთვის ჯერ არ უმასპინძლია. მაგრამ, ყველა ამ პრობლემას მოევლება. გუშინ ვესაუბრე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ გადაულახავი პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება კონკრეტულად რუსეთს, ვიმედოვნებ, რომ ეს ტურნირი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის კომპრომისის მიღწევას. სპორტი ყოველთვის უნდა რჩებოდეს პოლიტიკის მიღმა. სპორტული სამყარო დაინახავს, თუ როგორი პატივისცემა გვაქვს ერთმანეთისადმი. თბილისში ყოფნისას, ერთხელაც არ მიგრძვნია ჩემ მიმართ მტრული დამოკიდებულება. რაც შეეხება უსაფრთხოებას, არის საშიშროებები, თუმცა ჩვენ მათ გავანეიტრალებთ. რუსი სპორტსმენისთვის ვიზების პრობლემა მოხსნილია, მათზე პირდაპირ თბილისის აეროპორტში გასცემენ ვიზებს. ვფიქრობ, სიმბოლურიცაა, ევროპის ჩემპიონატს საქართველო რომ მასპინძლობს - ძიუდოს სამყაროში პრობლემები არ არსებობს. სპორტსმენები ერთად ღვრიან ოფლს, იბრძვიან, მეგობრობენ. იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატი რაღაც დონეზე მაინც დაეხმარება საქართველოსა და რუსეთს, იპოვნონ საერთო ენა“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძალოსნობა

ევროპის ჩემპიონატი

# მაჭავარიანი მეექვსეა




გუშინ ბუქარესტში დასრულდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. ქართველთათვის ეს ტურნირი ერთი დღით ადრე დასრულდა - ბოლო ჩვენებურმა ფიცარნაგზე წინა დღით შეაბიჯა. საქართველოდან მხოლოდ ორმა ათლეტმა იასპარეზა. პირველ დღეს **ზვიად სამუკაშვილმა** (56კგ) საწყის მოძრაობაში ტრავმა გაიმიზეზა და შეჯიბრება ვეღარ გააგრძელა. ჩვენი მთავარი იმედი 105 კილოში მოასპარეზე **გიორგი მაჭავარიანი** (105) იყო. მისი მთავარ მწვრთნელსაც სჯეროდა, მით უფრო, რომ წლევანდელ ფორუმზე ყველა ფავორიტი არ გამოსულა. როგორც წესი, ევროპის ჩემპიონატზე თავის გამოჩენას ბევრი ერიდება. აღინიშნება სხვა ტენდენციაც: ოლიმპიადის შემდეგ შედეგები მკვეთრად იკლებს, რადგანაც ათლეტები თავს მოდუნების უფლებას აძლევენ, რაც ოთხწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ ბუნებრივადაც ჩანს. მართალია, მაჭავარიანი და ბევრიც სხვა ოლიმპიადაზე არ გამოსულან, მაგრამ თამაშებისთვის მზადებას ჩვეულად გადიოდნენ, ამიტომ გიორგისაც მოუწია დასვენებამ და ამის შემდეგ საევროპოდ მოემზადება. ოპტიმალურ ფორმაში შესვლა ვერ მოესწრო, მაგრამ არც სუსტად გამოიყურებოდა ვარჯიშებზე, რაც საბუქარესტოდ იმედს გვისახავდა.

მაჭავარიანი ჯგუფში 8 უძლიერესთან ერთად გამოდიოდა. მათგან ორის გარდა ყველა პოსტსაბჭოური სივრციდან იყო - რუსი(2), უკრაინელი, ლიტველი, სომეხი და ქართველი; ორიც თურქი და პოლონელი იყო. გიორგი უფრო ძლიერი აკვრაშია, მაგრამ გარკვეულ პროგრესს ატაცშიც მიაღწია. პირველი ცდა სამი მეტოქის შემდეგ შეასრულა - 180 კილოგრამი დაძლია. როგორც იცით, ძალოსნები შეჯიბრებამდე გარკვეულ განაცხადებს აკეთებენ - ანუ ორივე მოძრაობაში საწყის წონებს აფიქსირებენ. წონების შეცვლა შეიძლება, მაგრამ ამას ტაქტიკური მიზნებით მიმართავენ. მაჭავარიანმა პირველად 178 კილოგრამი დაუკვეთა, მაგრამ მეტოქეთა შემყურემ წონა გაზარდა და 180 -ზე შეჩერდა. პირველი მისვლა შედეგიანი აღმოჩნდა. მეორედ, ათიოდ წუთში, 184 კილოგრამს შეეჭიდა. ამ წონის დამორჩილების შემდეგ ლიდერებში გარევის დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზედმეტად მოინდომა და შტანგა ზურგს უკან გადაუვარდა, რაც მძლავრი ამოქაჩვის შედეგი იყო. მესამე ცდა იმავე წონაზე ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ორიოდ წუთი დაისვენა და როგორც ჩანს, ძალების აღდგენა ვერ მოასწრო - ამჯერად შტანგა თავს ზემოთ ვერ ასწია - წინ დარჩა და დაუვარდა კიდეც. ატაცში საუკეთესო შედეგი რუსმა **ვლადიმირ სმარჩკოვმა** აჩვენა - 190. მეორე შედეგი ასევე რუს **რომან კონსტანტინოვს** აღმოაჩნდა - 183; მესამეზე კი ლიტველი **რამუნას ვიშნიაუსკასი** გავიდა - 182. შევნიშნავთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე, ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, ცალკეულ მოძრაობაშიც თამაშდება მედლები, ისევე როგორც ორჭიდის ჯამში. მაჭავრიანმა რახან ატაცში მეორეადგილოსანთან მხოლოდ სამი კილო წააგო, აკვრაში და, შესაძლოა ორჭიდშიც, რომელიმე სინჯის მედლისთვის ბრძოლა რეალური გახდა. სამწუხაროდ, გიორგიმ პირველი წონა - 211 კილოგრამი ვერ დაძლია - თავს ზემოთ ვერ დაიჭირა შტანგა. რატომღაც თავბრუ დაეხვა, რაც შესაძლოა, წონის სწრაფად დაკლებამ გამოიწვია. ეს სიმპტომი ასეთ დროს ვლინდება. წესის თანახმად, ორ წუთში გამოვიდა იმავე წონაზე და ბედად, დაიმორჩილა, თუმცა თავბრუსხვევა კვლავ აღენიშნა, რაც შემდეგ წინსვლას საეჭვოს ხდიდა. ასეც მოხდა - კარგა ხნის მერე მოუწია მესამედ შტანგასთან შეჭიდებამ. ბოლო ცდაზე გიორგის 217 კილოგრამი უნდა დაემორჩილებინა. ამით მცირე შანსი რჩებოდა მესამე ადგილისათვის. მკერდზე კი აილო სიმძიმე, მაგრამ ბევრი ძალა შეალია და თავს ზემოთ ასაკრავად ღონე აღარ შერჩა. აკვრაშიც ერთი წარმატებული მისვლით დაკმაყოფილდა - 211 კილოგრამით დაასრულა ჩემპიონატი. ორჭიდის ჯამში კი 391 კილო დააგროვა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ქართველის მარაგი მეექვსე ადგილისთვის იყო საკმარისი. წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ მედლის იმედი გვქონდა, მაგრამ არც მეექვსე ადგილია ურიგო შედეგი. ეჭვი არაა, რომ შემოდგომისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი უკეთ გამოვა. სხვათა შორის, გიორგიმ საერთაშორისო ასპარეზზე 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ტაილანდში ჩატარდა, პირველად იასპარეზა. ტაილანდში მისი შედეგი მოკრძალებული იყო - 165 კილო ატაცში, 200 - აკვრაში. ამ ფონზე ბუქარესტში ნაჩვენები შედეგი დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად მოჩანს. თუკი გიორგის კარიერას უფრო ჩავეძიებით დავინახავთ, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეშვიდე ადგილი დაიკავა და დღევანდელზე ბევრად მძიმე შტანგა მოათვინიერა...

**ზვიად შათირიშვილი**

სამბო

ევროპის ჩემპიონატი

# ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში

ლიტვის ქალაქმა შაულიაიმ სამბოში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში. ტურნირი ოფიციალურად გუშინ დასრულდა, თუმცა ჩვენ მხოლოდ პირველი ნახევრის შედეგებს ვფლობთ, რომლის მიხედვითაც ჩვენს ახალგაზრდებს ოქრო და ბრინჯაო აქვთ მოპოვებული, ხოლო ჭაბუკებს - ვერცხლი და ბრინჯაო.

იუნიორთა შორის 48 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი გეჯაძემ** მესამე ადგილი დაიკავა. პირველზე რუსი **სერგეი ივანოვი** გავიდა, მეორეზე უკრაინელი **დმიტრო იარმოლენკო**. პირველ წრეში გეჯაძემ უკრაინელ სამბისტთან წააგო. 82 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა **ნოდარ კუდუხაშვილი**, რომელმაც ფინალში ბულგარელ **ილიან ემანუილოვს** აჯობა. პირველ წრეში მომავალმა ჩემპიონმა ბელარუსი **დმიტრი რაპოკი** დაამარცხა, აჯობა **კარენ ჯენოიანს** (სომხეთი) და ნახევარფინალში მასპინძელი **ერნესტას რაჩმანგულოვასი** ჩამოიშორა.

ჭაბუკებში **გივი ნადარეიშვილმა** (48 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, **გოჩა ვარძელაშვილი** (60) მეორეზე გავიდა, **თემურ ნიჟარაძე** (75 კგ) მეორე წრეში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციებისა და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული

კალათბურთი



დინამო-სასოფლო

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

# ისევ ავია და ენერჯი, ოღონდ ნახევარფინალში

**1/4 ფინალი**

11 აპრილი, რუსთავი

| დინამო-სასოფლო | 78:82 |
|---|---|

16:15, 14:26, 19:15, 29:26

დინამო: გ. ბაქრაძე (13ქ, 7პ), ნანიტაშვილი (3ქ, 4პ), სორდია (7ქ), ლაფანაშვილი (20ქ, 7მ), სიგუა (3ქ), ხიზანიშვილი (4ქ), გემაზაშვილი (1ქ), კორკოტაძე (6ქ), ქადარია (15ქ, 8მ), ხანიაშვილი (6ქ)

სასოფლო: გულისაბედაშვილი (7ქ, 6მ, 5პ, 5ჩ), ნივნივაძე (20ქ, 7ჩ, 6პ), მარხვაშვილი (2ქ), გ. ბარბაქაძე (16ქ), ათანელიშვილი (4ქ, 6მ, 3პ), ტყეშელაშვილი (9ქ), ყველაშვილი (12ქ), ჩაჩიბაია (14ქ, 7მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**სერია მოიგო "სასოფლომ" - 2:0**

| ნტდ-ავიამშენი | 90:102 |
|---|---|

17:25, 17:30, 21:24, 35:23

ნტდ-თბილისი: ჩიტაშვილი (3ქ), ფაშაევი (23ქ, 6მ, 3ჩ), სარიევი (6ქ), სუხიშვილი (2ქ), ათუაშვილი (13ქ, 10მ, 3დ), ტეტელაშვილი (2ქ), ნიფტალიევი (12ქ, 4პ, 5ჩ), დ. ბარბაქაძე (6ქ, 6მ), კოლუაშვილი (4ქ), ბახშიევი (19ქ), გლოველი

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (16ქ, 7პ, 3ჩ), ბოისა (12ქ, 6მ), ნიკოლაძე (12ქ), ნაცვლიშვილი (19ქ, 7მ, 5პ, 5ჩ), მათიაშვილი (10ქ, 11მ), დ. ბერიშვილი (13ქ, 5პ), ნინიაშვილი (4ქ), პირველაშვილი (6ქ, 3პ), კვიმსაძე (3პ), შერმადინი (10ქ, 3პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**სერია მოიგო "ავიამშენმა" 2:0**

| შსს-ენერჯი | 85:111 |
|---|---|

22:23, 16:33, 21:33, 26:22

შსს: შენგელია (23ქ, 6მ, 4პ), მიქაბერიძე (2ქ), ბერუაშვილი (15ქ, 8მ, 3ჩ), ტაველიშვილი (6ქ, 8მ, 5პ), ბ. ნოზაძე (2ქ), პატარაია (31ქ, 6პ, 3ჩ), ქვილითაია (3ქ), ფაიქრიძე (3ქ, 5პ)

ენერჯი: გამყრელიძე (2ქ, 5პ, 6მ), ბაბიაშვილი (11ქ), დვალიშვილი (11ქ), ლეჟავა (12ქ), დიდია (13ქ, 8მ, 4პ), აბაიშვილი (2ქ), ტულუში (16ქ, 3პ, 3ჩ), უგრეხელიძე (6ქ, 8მ), არნივიძე (5ქ), ხმელიძე (13ქ, 3პ), ტუჯანი (4ქ, 9მ), ჭოჭუა (16ქ, 6პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

**სერია მოგო "ენერჯიმ" - 2:0**

**1/4 ფინალის დარჩენილი მატჩები**

22 აპრილი

**თსუ-ბათუმი**

24 აპრილი

**ბათუმი-თსუ**

**1/2 ფინალი**

29 აპრილი

**ენერჯი-ავიამშენი**

**სასოფლო-თსუ ან ბათუმი**

30 აპრილი

**ენერჯი-ავიამშენი**

**სასოფლო-თსუ ან ბათუმი**

1 მაისი

**ავიამშენი-ენერჯი**

**თსუ ან ბათუმი-სასოფლო**

2 მაისი

**ავიამშენი-ენერჯი**

**თსუ ან ბათუმი-სასოფლო**

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო სამი ფინალის მონაწილენი წლეულს 29 აპრილს ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან – ერთმანეთის წინაშე წარდგებიან "ენერჯი" და "ავიამშენი". მეორე ნახევარფინალური დუეტი ჯერ არ გარკვეულა – "სასოფლო" "ბათუმი"-თსუ-ს მეოთხედფინალური დაპირისპირებების შედეგებს ელის.

შაბათს კი ჩემპიონობის ერთ-ერთი მაძიებელი პირველობისთვის ბრძოლას ჩამოშორდა - "ავიამშენთან" მეორედაც დამარცხდა "ნტდ-თბილისი" და სეზონი ნაადრევად დაასრულა. პარასკევს გამართული პირველი პაექრობის შემდეგ დავწერეთ – შაბათს განმეორებითი შეხვედრაც ისევე დაძაბული უნდა გამოვიდეს, როგორც პირველი და გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებმა უნდა გამოარკვიოსო... მაგრამ შევცდით. 1:0 დაწინაურების შემდეგ **ლევან მოსეშვილის** მიერ დამოძღვრილმა "ავიატორებმა" პირველი ტაიმი ალმაფრენით ჩაატარეს და 20-წუთიანი მონაკვეთი 55:34 მოიგეს.

მესამე რაუნდში "ავიამ" უპირატესობა 24 ქულამდე გაზარდა და მეოთხე პერიოდში თავს მოდუნების, ხოლო "ნტდ-თბილისს" 35 ქულის ჩაგდების უფლება მისცა. პარასკევის მატჩის მიმოხილვაში ისიც ვთქვით, "ავიამ" ცხვირი აწიაო. დღეს ამ ფრაზას გავაგრძელებთ: ცხვირი აწია, "ნტდ-თბილისს" გადაევლო (102:90) და უკვე ნახევარფინალში შეფრინდა.

"ავიატორთა" გამარჯვება, პირველ რიგში გამოცდილებამ განაპირობა. ლევან მოსეშვილს უკანა ხაზში ხომ ტყუპი **ბერიშვილები, ანატოლი ბოისა** და **გიორგი ნიკოლაძე** ჰყავს, ხოლო წინა ხაზში - საქართველოს ნაკრების ბომბარდირი **ვატო ნაცვლიშვილი.** მათ კარგად შეუწყვილდნენ ახალგაზრდები **რიჩარდ მათიაშვილი, გიორგი პირველაშვილი...** განმეორებით მატჩში კინაღამ ორმაგ დუბლს უწია ცენტრმა **სოსო შერმადინმა** – 10 ქულა 9 მოხსნა. მოკლედ, "ავიამ" ბრჭყალები როცა საჭირო იყო, მაშინ გამოაჩინა. ფრთაშესხმული "ავიატორების" ჩამოგდება ნახევარფინალში რუსთაველებისთვისაც არ იქნება იოლი. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოედნის უპირატესობა "ენერჯის" მხარესაა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა ხაზში ნტდ-ს **პლასიდე როდუმტა** აკლდა (იტალიაში შვილი შეეძინა), **ნუგზარ კანდელაკს** საქართველოს კვალობაზე მაინც ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ჰყავს – **ათუაშვილი, სუხიშვილი, კოლუაშვილი, ბახშიევი, დავით ბარბაქაძე.**

...თუმცა, შაბათის მატჩში "ავიამ" სწორედ ფარქვეშ დამაჯერებელი გარჯით მოიგო. ლევან მოსეშვილის შეგირდებმა ბურთი 46-ჯერ მოხსნეს ხოლო ნტდ-ელებმა – 38-ჯერ. "ავიამ" 55-დან 31 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო "ნტდ-თბილისმა" – 33-დან 15. ნუგზარ კანდელაკის მონაფეებმა თამაშის გადარჩენა სამქულიანებით სცადეს, 36 შორეული ტყორცნა შეასრულეს, მაგრამ მხოლოდ 12 ჩააგდეს. "ავიას" პერიმეტრიდან სროლები თითქმის არც დასჭირვებია, 18-დან 6 ჩააგდო.

შაბათს შედარებით დაძაბული "სასოფლო"-"დინამოს" დაპირისპირება გამოდგა. სასოფლოელებმა პირველი ტაიმი 11 ქულის სხვაობით მოიგეს. "დინამომ" მდგომარეობა მეორე ნახევარფინალში გამოასწორა, მეტოქეს ბოლომდე სდია, მაგრამ საფინალო სირენამ "სასოფლოს" ოთხქულიანი უპირატესობით გამარჯვება დააფიქსირა – 82:78.

მატჩის ბომბარდირობა **ბექა ნივნივაძემ** და **ლექსო ლაფანაშვილმა** გაიყვეს – 20-20 ქულა ჩააგდეს.

რუსთავის "ენერჯიმ" ჩემპიონატის ზედიზედ მეოცე მატჩი მოიგო – შსს ლამაზი ანგარიშით 111:85 დაამარცხა. მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებსაც მისცა, რომლებმაც ნამდვილად გაამართლეს. თუმცა, **დვალიშვილი, აბაიშვილი, ხმელიძე** თუ **მაჭავარიანი** რამდენად მზად არიან უმაღლეს დონეზე სათამაშოდ, ნახევარფინალურ სერიებში გამოჩნდება. შსს-სთვის სეზონის ბოლო მატჩი **შოთა პატარაიასთვის** საუკეთესო გამოდგა. მან 31 ქულა ჩააგდო და ერთი მატჩის შედეგების მიხედვით პლეი ოფის რეკორდსმენი გახდა.

ნახევარფინალები 29 აპრილს დაიწყება. მანამდე თსუ და "ბათუმი" ნახევარფინალის ერთი საგზურისთვის 22 და 24 აპრილს "იჭიდავებენ".

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში

# ზაზამ ზურგი იტკინა

"ინდიანა პეისერსთან" მატჩში "ატლანტამ" 122 ქულა ჩააგდო. მეტოქეს კი 118 ქულა დაანება. ამ მოგებით ატლანტელებმა ოფიციალურად გაინაღდეს აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილი. მათ 46 მოგება და 34 წაგება მოუგროვდათ და 5 მოგებით უსწრებენ მეხუთეადგილოსან "მაიამის". რეგულარული ეტაპის დასრულებამდე კი 2 მატჩია დარჩენილი. 14 აპრილს **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელები სწორედ "მაიამი ჰიტს" უმასპინძლებენ, ხოლო 15 აპრილს "მემფისს" ესტუმრებიან.

სათაურში ზაზას ზურგის ტრავმა ვახსენეთ. შეიძლება ვინმეს ეუცნაურა, აქამდე ქართველ კალათბურთელზე რომ არაფერი ვთქვით. დაგამშვიდებთ, ტრავმა სერიოზული არ არის. ზაზამ მეორე პერიოდის მეორე წუთზე ზურგი იტკინა და მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე გადაიყვანა. ამერიკული მასმედიის მტკიცებით, ფაჩულიამ მეორე ტაიმში ზურგის ტრავმის გამო არ ითამაშა. "ატლანტა ჰოქსის" ოფიციალურ ვებგვერდზე ზაზას ტრავმაზე ეს ამოვიკითხეთ: *"ქართველმა ცენტრმა პირველ ტაიმში ზურგი დაიზიანა და მეორეში აღარ უთამაშია. ექიმების ცნობით, ტრავმა სერიოზული არ არის და მწვრთნელმა იგი თავის დაზღვევის მიზნით დაასვენა".*

| ატლანტა-ინდიანა | 122:118 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 7 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 ფოლი, 2 შეცდომა

| I პერიოდი | |
|---|---|
| 05:17 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 04:37 | ფოლი: 1 |
| 03:49 | შეცდომა: 1 |
| 03:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:19 | შეცდომა: 2 |
| 00:46 | საჯარიმოები: 2/2 (34:32) |
| **II პერიოდი** | |
| 11:48 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:32 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

წყალხტომა

# შესაძლებლობები ბოლომდე რომ წარმოეჩინათ...

ქართველმა წყალმხტომელებმა — ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა იტალიის ქალაქ ტურინში ევროპის ჩემპიონატზე რომ იასპარეზეს, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ. უფროსებში სადებიუტო შეჯიბრებაზე სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში ჩვენმა დუეტმა მეცხრე ადგილი დაიკავა, ინდივიდუალურ ხტომებში კი ჭანტურია და კორახაშვილი შესაბამისად, მეცხრამეტე და მეოცე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

**ტურინში ქართველთა გამოსვლებზე შთაბეჭდილებებს გვიზიარებს საწყლოსნო სახეობების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია, რომელსაც ამ დონის ტურნირზე, როგორც არბიტრს, დებიუტი ჰქონდა:**

— ევროპის ჩემპიონატზე 20 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ვიცოდით, გამოცდილ წყალმხტომელებთან მოგვიწევდა გაპაექრება. მართალია, საპრიზო ადგილებს არ ვუმიზნებდით, მაგრამ, მსოფლიოს გრანპრის წინა ორი ეტაპის შედეგების გათვალისწინებით, ბევრად უკეთეს მონაგარს ველოდით.

ტურინში ჭანტურია რამდენიმე ნახტომის შემდეგ ლიდერთა შორის იყო. სამწუხაროდ, ბოლო ცდებში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინა და 322 ქულით მე-19 ადგილზე გავიდა. არადა, მისი რეიტინგიდან გამომდინარე, საუკეთესო ათეულში უნდა შესულიყო. ორიოდე თვის წინათ ჩინეთში მსოფლიოს გრანპრიზე ნაჩვენები შედეგი (406 ქულა) რომ გაემეორებინა, სულ სხვა სურათი გვექნებოდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ტურინისა და პეკინის ტურნირებზე მსაჯობა ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. იტალიაში არბიტრები, სამწუხაროდ, მიკერძოებას იჩენდნენ.

კორახაშვილი ასპარეზობის ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი მონაწილე გახლდათ. ამის მიუხედავად, მისგანაც მეტს მოველოდით. ჭანტურიას მსგავსად, მასაც ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა გაუძნელდა. იმედია, ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ბევრად უკეთეს შედეგს აჩვენებს.

სინქრონულ ხტომებში ჩვენმა ბიჭებმა უფრო სტაბილურად იასპარეზეს. 353 ქულა მათი საუკეთესო შედეგი არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც ნორმალურად მიმაჩნია. თითო ნახტომი რომ არ გაეფუჭებინათ, აუცილებლად ფინალში მოხვდებოდნენ. მით უმეტეს, რომ მე-8 ადგილზე გასულმა წყვილმა ჩვენებს სულ რაღაც 16 ქულით გაუსწრო. მართალია, საპრიზო ადგილებზე გასვლის პრეტენზია არც აქ გვქონდა, მაგრამ მეხუთე-მერვე ადგილები კი უნდა დაგვეკავებინა.

კვარცხლბეკზე გამოცდილი წყალმხტომელები ავიდნენ: ოქროს მედლები პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორებმა, უკრაინელებმა ილია კვაშამ და ალექსეი პრიგოროვმა მოიპოვეს, მეორე ადგილზე რუსები — გლებ გალპერინი და ილია ზახაროვი აღმოჩნდნენ. საგულისხმოა, რომ გალპერინმა შარშან პეკინის ოლიმპიადაზე ორი „ბრინჯაო" დაისაკუთრა, ხოლო ზახაროვი ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების გამარჯვებულია. მესამე ადგილი იტალიელ ძმებს — ტომაზო და ნიკოლა მარკონებს ხვდათ. ისინი ევროპის მრავალგზის პრიზიორები არიან.

**— საკუთარ არბიტრობაზე რას იტყვით?**

— ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი ურიგოდ არ დამისრულებია. როგორც ამბობენ, კარგად ვიმსაჯე. ხუთ საკვალიფიკაციო და ამდენივე საფინალო ორთაბრძოლას მოვემსახურე. საკმაოდ მაღალი შეფასება მივიღე.

**— სამომავლო გეგმებსაც ხომ ვერ გაგვაცნობთ?**

— სიამოვნებით: 26 მაისს მადრიდში მსოფლიოს გრანპრის ბოლო, მეექვსე ეტაპზე გამოვალთ. სადაც საკმაოდ ძლიერი წყალმხტომელები გამოცდიან ძალებს, 1-5 ივლისს ბუდაპეშტში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე კორახაშვილი იასპარეზებს. 13 ივლისიდან კი რომში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩავებმებით. ვეცდებით, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე შედეგები გავაუმჯობესოთ. ჩვენი ორიენტირი ხომ ლონდონის ოლიმპიური თამაშებია.

ვაჟა დანელია



ჭოლა ჭანტურია (მარცხნივ) და შოთა კორახაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი



ბუქარესტში ერთმანეთი არ დაინდეს

ევროპის ჩემპიონატი. U 18

# მომავალ წელს ისევ ელიტაში

საფრანგეთში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატში თვრამეტწლამდელ მორაგბეთა შორის საქართველოს ნაკრებმა, ბოლო შეხვედრაში იტალიის ნაკრები 18:3 დაამარცხა და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

ამრიგად, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ტურნირზე მეშვიდე ადგილი დაიკავეს და მომავალ წელსაც უძლიერესთა შორის ითამაშებენ. რანგით დაბალ B ჯგუფში კი, ყველასათვის მოულოდნელად იტალიის ნაკრები გადაბარგდა. მის ადგილს გერმანელი თვრამეტწლამდელები დაიკავებენ.

უჩვეულო და მოულოდნელი კიდევ ბევრი მოხდა ამ ჩემპიონატზე. ერთ-ერთი ტურნირის დებიუტანტის ბელგიის ნაკრების წარმატებული თამაშია. ბელგიელებმა მეხუთე ადგილისთვის შეხვედრაში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს - 18:7.

ჩემპიონის ტიტული წილად მასპინძლებს ხვდათ, რომლებმაც ფინალში 20:19 მოუგეს ინგლისელებს.

**ევროპის ჩემპიონატი**

**მე-7 ადგილისთვის**

საქართველო-იტალია 18:3

**მე-5 ადგილისთვის**

ბელგია-რუსეთი 18:7

**მე-3 ადგილისთვის**

ირლანდია-რუმინეთი 51:10

**ფინალი**

საფრანგეთი-ინგლისი 20:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი, 2. ინგლისი, 3. ირლანდია, 4. რუმინეთი, 5. ბელგია, 6. რუსეთი, 7. საქართველო, 8. იტალია.

**ბესიკ ჯანაგავაძე**




სკანდალი ბუქარესტში

# ...გახიეთ ქართველებიო

შაბათს, რუმინეთის სარაგბო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა ბუქარესტის „დინამოსა" და კონსტანცას „ფარულს" შორის, რომელშიც ხუთი ქართველი მორაგბე ირიცხება, მე-6 წუთზე ჩაიშალა.

მატჩის ჩაშლის მიზეზი ბუქარესტელი მორაგბეების მიერ ატეხილი მუშტიკრივი გახდა, რომლის შედეგად სამი ქართველი მორაგბე სერიოზულად დაშავდა. აღსანიშნავია, რომ აგრესიის სამიზანე, კონკრეტულად ჩვენი ნაკრების მოთამაშეები იყვნენ. დინამოელები სწორედ მათ სცემდნენ და არაფერს ერჩოდნენ „ფარულის" დანარჩენ წევრებს. როგორც რუმინული პრესა იუწყება, „დინამოს" მწვრთნელი **დანიელ ნეაგა** და სათადარიგო მოთამაშეები ერთხმად გაჰკიოდნენ - "გახიეთ ქართველები".

შედეგად **გიორგი ხოსიტაშვილს** ტვინის შერყევა მოუვიდა; **ირაკლი ნატრიაშვილს** თვალი დაუზიანდა და თითი მოსტყდა; **კახაბერ უჩავას** კი ყბის ძვალი აქვს მოტეხილი; უვნებელი მხოლოდ **ბიძინა სამხარაძე** დარჩა.

დაზიანებები აქვთ „დინამოს" მოთამაშეებსაც. დაშავდნენ რუმინეთის ნაკრების წევრები **კოსტიკა მერსოიუ** და **ადრიან ბარბულიკეანუ**. ასევე **ფალვიუ დობრე**.

საქმე ის არის, რომ რუმინეთის ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა სწორედ ბუქარესტის „დინამოს" მორაგბეები არიან. ყველა ნიშანი არსებობის იმისა, რომ რუმინელებმა ჩვენს მორაგბეებს ანგარიში გაუსწორეს. რაც სარაგბო და არანაირ სხვა ნორმებში არ ჯდება.

დღეს ინციდენტს რუმინეთის რაგბის ფედერაცია განიხილავს, რომლის პრეზიდენტადაც, ამ ამაზრზენი ინციდენტამდე ერთი დღით ადრე, რუმინეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ალინ პეტრიკეი** აირჩიეს.

როგორც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** გვითხრა: *„ჩვენ რუმინეთის ფედერაციის სანქციებს დაველოდებით. ტელეფონით ველაპარაკეთ ჩვენს ბიჭებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ რუმინეთის ფედერაცია უმკაცრეს სანქციებს დაადებს ამ ინციდენტის ინიციატორებს. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ. ჩვენ აუცილებლად საქმის კურსში ჩავაყენებთ ბუქარესტში საქართველოს საელჩოს. ხოლო თუ საჭირო გახდა IRB-ის და FIRA AER-საც ჩავრთავთ საქმეში."*

**ბესიკ ჯანაგავაძე**

საერთაშორისო ტურნირი. U 15

# ვიენი დაიპყრეს

საქართველოს თხუთმეტწლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ვიენში გამართული საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ჩვენმა ყველაზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შეჯიბრებაში შვიდი შეხვედრა გამართეს და შვიდივე აშკარა უპირატესობით მოიგეს. თვად განსაჯეთ, ჩვენმა გუნდმა ექვსი მატჩი მშრალი ანგარიშით მოიგო და მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიიღეს ერთადერთი ლელო.

ტურნირის პირველ დღეს ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა იტალიური „მოლიანო", რუმინული „მეტროქესი", კორსიკის ნაკრები და ქალაქ ვიენის სარაგბო კლუბი.

მეოთხედფინალში ჩვენმა ბიჭებმა ბელგიური „ოტიუნი" გვემეს 19:0. ნახევარფინალში კი, ზელანდიის „ვესტლეიკ სქულის" გუნდი დაამარცხეს ასევე მშრალი ანგარიშით - 12:0.

ფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე, ჯგუფურ ეტაპზე ერთხელ უკვე ძლეული მასპინძელთა გუნდი იყო. საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა ამჯერადაც იყოჩაღეს და მოწინააღმდეგეს ორი უპასუხო ლელო გაუტანეს - 14:0.

მომავალ უქმეებზე საქართველოს თხუთმეტწლამდელთა ნაკრები ამჯერად კორსიკაზე გასამართ ანალოგიურ ტურნირზე იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრები: უჩა უნაფქოშვილი, მურთაზ გიორგაძე, ნოდარ კოტორაშვილი (ყველა ვეფხვები), ლაშა ლაშხია (ლელო), ნიკოლოზ გამყრელიძე, უჩა გურგენიძე, არჩილ რევაზიშვილი, დავით თავართქილაძე, ბაჩანა კიკნაველიძე, გიორგი გოგლიძე, რამაზ მაზმიაშვილი, ილია მელაძე, გური თოფურიძე (ყველა აკადემია), გიორგი ტალახაძე (ხულიგანა), რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ფრუიძე, იოსებ კიკვიძე (ყველა აია), ზაურ ხარებავა (აიეტი), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), შოთა თევზაძე (ჯიქები), რევაზ ბროძელი, ზურაბ ცუცქირიძე (ორივე არმაზი), ირაკლი ჩალაძე, გიორგი აფციაური (ორივე უნივერსიტეტი), თემურ ბებია (ივერია), ონისე მოგელაშვილი (შევარდენი).

*მწვრთნელები:* ლევან ობოლაძე, ზვიად ცუხიშვილი.

**ბესიკ ჯანაგავაძე**

ლეგიონერები

# ერთი ნაბიჯი ელიტისკენ



მალხაზ ურჯუკაშვილი (მარცხნივ)

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში ერთკვირიანი პაუზაა. უფრო ზუსტად ამ დივიზიონის ბინადარი კლუბები ევროთასებზე ასპარეზობენ. აქ კი უკვე პლეი ოფის დრო დამდგარა. მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მხილოდ ერთმა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" გაალწია ჩელენჯ კაპის გათამაშებაში. თუმცა გასვლით მატჩში ინგლისურ „ვორჩესტერთან" მარცხი განიცადა - 18:29 და გათამაშებას გამოეთიშა. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო. ის მე-15 წუთზევე შეცვალეს.

ამასობაში მეორე დივიზიონში 26-ე ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელმაც პლეი ოფში მოხვედრის მსურველთა რიცხვი ორით შეამცირა.

გასვლით შეხვედრაში მეორეადგილოსანმა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენმა" **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიეს" სძლია - 28:19 და ძნელად სავარაუდოა, პლეი ოფს მიღმა დარჩეს. მეტიც, ფიჯელ გარემარბ **კაუკაუთი** გაძლიერებული აჟენელები პირველ დივიზიონში აღზევების ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. „კოლომიეს" წინააღმდეგ შეხვედრაში ფეიქრიშვილი 49-ე წუთიდან ჩაერთო. მაჩხანელი და კოპალიანი განაცხადში არ იყვნენ.

სტუმრადვე ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „ალბი" დაამარცხა, გათამაშების ლიდერმა **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა" - 26:14 და პირველ დივიზიონს კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა. ჩხაიძეს ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, მინიმალური სხვაობით - 18:17 საკუთარ მოედანზე „ბორდოს" წინააღმდეგ მატჩში **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა". ჩვენებურის ეს გუნდი ახლა 73 ქულით მეოთხე ადგილზეა. აშვეთია შეხვედრაში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

სეზონში მხოლოდ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ". ლანგედოკელებმა ამჯერად მოწინავეთა რიგებში მყოფ „ლა როშელს" უმასპინძლეს და 15:9 დაამარცხეს. მალაღურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 29-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად გაიმარჯვა „გრენობლთან" დაპირისპირებაში **მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა"- 17:20. ჟღენტმა და ურჯუკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს. დათუნაშვილი თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო. „ორიაკს" ახლა 60 ქულა აქვს და მე-9 ადგილზეა.

სტუმრადვე გაიმარჯვა „ოშთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა"-16:6. მაგრაქველიძეს თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. „ტარბს" 64 ქულა აქვს და მე-8 ადგილზეა. თუმცა პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს მაინც ინარჩუნებს.

შინ დამარცხდა „ლიონთან" **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" - 6:26. კუთარაშვილი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო. ნარბონელები 45 ქულით მე-13 ადგილზე არიან.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXVI ტური: **ოში - ტარბი 6:16, ნარბონი - ლიონი 6:26, ბეზიე - ლა როშელი 15:9, გრენობლი - ორიაკი 17:20, ოიონაქსი - ბორდო 18:17, ბურგ ან ბრესი - პო 31:5, კოლომიე - აჟენი 19:28, ალბი - მეტრო რასინგი 14:26.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 92 ქულა, 2. აჟენი - 80, 3. ალბი - 74, 4. ოიონაქსი - 73, 5. ლიონი - 70, 6. ლა როშელი - 69, 7. პო - 65, 8. ტარბი - 64, 9. ორიაკი - 60, 10. ბორდო - 59, 11. გრენობლი - 56, 12. ოში - 50, 13. ნარბონი - 45, 14. კოლომიე - 42, 15. ბურგ ან ბრესი - 34, 16. ბეზიე - 32.**

**ბესიკ ჯანაგავაძე**

ჩოგბურთი

# მილიონი დოლარისთვის

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (158) ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში იმყოფება, სადაც WTA-ს ტურნირ „ფემილი საირქლ ქაფში" მონაწილეობს. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი მილიონი დოლარია. ანა საკვალიფიკაციო ბადეში მე-5 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ქართველის მეტოქე ვენესუელელი **გაბრიელა პას ფრანკო** იყო, ტატიშვილმა ორ სეტში მოიგო - 7:6 (5), 6:3. ახლა მის მის პირისპირ ამერიკელი **მელანი ოუდინი** (177) დადგება, რომელიც ჩარსლტონის საკვალიფიკაციო ბადეში მე-10 ნომრადაა განთესილი. სწორედ ამ ოუდინთან დამარცხდა ერთი კვირის წინათ საქართველოს პირველი ჩოგანი.

**მაკა ჩახნაშვილმა** (215) ესპანეთის ქალაქ მონსონში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. მაკამ ერთეულთა თანრიგში პირველივე წრეში დათმო რუს **ვესნა მანასიევასთან** (148), რომელიც შემდგომში ტურნირის გამარჯვებული გახდა. მაკა შაბათსაც გაეჯიბრა მანასიევას, ოღონდ ამჯერად წყვილთა თანრიგის ფინალში. ჩახნაშვილი იტალიელ **ალბერტა ბრიანტის** (121) შეუწყვილდა, ეს დუეტი ტურნირზე მე-4 ნომრად განთესეს. ფინალში გასულმა ქართველმა და იტალიელმა მანასიევასა და ტაივანელი **ი ჩენის** (590) გუნდთან წააგეს - 6:2, 4:6, 8:10.

თურქულ ბელექში, მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) მეოთხედფინალში დამარცხდა 20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (684). მან ბერძენ **ირინი გეორგატუსთან** (717) იოლად დათმო - 1:6, 1:6. სამაგიეროდ, ქვაცაბაიასა და რუსი **ავგუსტა ციბიშევას** (730) დუეტმა მეოთხედფინალში ბელგიელი **სოფი კორნერო** (842) და ფრანგი **ან-ვალერი ევაინი** (751) გამოთიშა - 6:2, 6:0. ნახევარფინალში მათი მეტოქეები ბერძენი გეორგატუ და ებრაელი **კარენ შლომო** (539) იქნებიან. ქვაცაბაია პარალელურად ბელექის მესამე ტურნირში ჩაება (10 ათასი $), სადაც პირველ საკვალიფიკაციო წრეში ბრიტანელ **ნიკოლა მუნის** (1051) მოუგო - 6:4, 1:6, 6:4. მისი შემდეგი მეტოქე 18 წლის ჩეხი **დომინიკა კანაკოვაა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ზე 14

# ზვიგენებმა აუტსაიდერს გამარჯვება აჩუქეს

ზე 14-ის გათამაშების მეცხრე ტურში გათამაშების ლიდერმა სამხრეთაფრიკულმა „ნატალ შარქსმა", საარაკო მარცხი განიცადა სტუმრად აუტსაიდერ თანამემამულე „ჩიტაზთან" - 6:31. აღსანიშნავია, რომ ჩიტაზელებისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო მიმდინარე გათამაშებაში.

თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო, თუმცა „ზვიგენებმა" 17 წუთის განმავლობაში მასპინძლებს ვერაფერი დააკლეს. ანგარიში „შარქსის" დამრტყმელმა **რორი ქოქოთმა** საჯარიმოდან გახსნა - 3:0. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა შემდეგი მოვლენები, რომ არა „ჩიტაზის" გარემარბი **იონგიხაია ნოკვე**, რომელმაც ზვიგენები ორჯერ დაალელოვა 23-ე და 55-ე წუთებზე.

ამ დროისთვის ანგარიში 17:6 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. ერთი საჯარიმო სტუმრებს ქოქოთმა 47-ე წუთზე შესძინა. ლელოები კი ორივეჯერ „ჩიტაზის" დამრტყმელმა **ჟაკ-ლუის პოტხიტერმა** გარდასახა.

მასპინძლები თავიანთი გარემარბის ალმაფრენამ კიდევ უფრო გააკადნიერა და გათამაშების ლიდერს კიდევ ორი ლელო გაუტანეს, რითაც ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს. 63-ე წუთზე თავი კიდევ ერთმა გარემარბმა **ბიორნ ბასონმა** გამოიჩინა. შვიდ წუთში კი, შეცვლაზე შესულმა მესამეხაზელმა **ლუკას ფლურსმა** იყოჩაღა. პირველ შემთხვევაში ისევ პოტხიტერმა გარდასახა. მეორეში კი შუამარბმა **მეიერ ბოსმანმა** - 31:6.

„ნატალ შარქსს" მომდევნო ტურში ურთულესი შეხვედრა ექნება შინ მოქმედ ჩემპიონ, ზელანდიურ „კრუსეიდერზთან", რომელიც მე-9 ტურში ისვენებდა. ზელანდიელებს პლეი ოფში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს და აფრიკაში სტუმრობისას სავარაუდოდ არაფერს დაიშურებს წარმატების მისაღწევად. ამ გუნდების შეხვედრა იმითაც უფრო საინტერესო იქნება, რომ შარშანდელი ფინალისტები სწორედ ესენი იყვნენ.

ზედიზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ, სტუმრად ჩემპიონობის კიდევ ერთი ავსტრალიური „ვორათაზი" დაამარცხა სამხრეთაფრიკულმა „ბლუ ბულზმა" - 20:6. ანგარიში მე-17 წუთზე „ლურჯი ხარების" გარემარბის **ბრაიან ჰაბანას** გარღვევას მოჰყვა. **მორნი სტეინმა** ზუსტად გარდასახა - 7:0.

მასპინძლებმა მე-40 წუთზე **დანიელ ჰალანგაჰუს** საჯარიმოთი უპასუხეს, ხოლო მერე 58-ე წუთზე, ჰალანგაჰუს შემცვლელმა **კარტლი ბეილიმ** გაიტანა ისევ საჯარიმოდან, თუმცა იქამდე „ბულზების" დამრტყმელ სტეინს უკვე მოესწრო თითო არეკნისა და საჯარიმოს გატანა - 13:6.

თამაშში ბოლო წერტილი „ხარების" პირველხაზელმა **ვერნერ კრუგერმა** 69-ე წუთზე დასვა. მისი გატანილი ლელო ისევ სტეინმა გარდასახა ზუსტად და მასპინძლებს დარჩენილ ათ წუთში მატჩის გადარჩენის ყოველგვარი შანსი მოუსპო-20:6.

„ბლუ ბულზი" მეათე ტურში სტუმრად ითამაშებს ავსტრალიაშივე კანბერას „ბრამბიზთან", რომელიც მართალია 22 ქულით მერვე ადგილზეა, მაგრამ პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი მაინც აქვს.

საკმაოდ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა ზელანდიურმა ველინგტონის „ჰარიკეინზმა". კივურმა გუნდმა სტუმრად ავსტრალიაში პერთის „ფორსი" დაამარცხა მინიმალური სხვაობით - 28:27.

აღსანიშნავია, რომ 43-ე წუთისთვის ზელანდიელები 14 ქულის სხვაობით აგებდნენ - 27:13. გამარჯვება მათ მასპინძლებს დასკვნით სამ წუთში გამოგლიჯეს ხელიდან. 65-ე წუთზე **ვილიამ რიპიამ** საჯარიმოდან თერთმეტ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა - 16:27.

მერე კი ლელოების ჯერიც დადგა. მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გარემარბმა **დევიდ სმითმა** გაიტანა ლელო, რომელიც რიპიამ გარდასახა - 23:27. თამაშის ბოლო წუთებზე „ჰარიკეინზმა" მეტოქეს შტურმი მოუწყო, რომელიც გამარჯვების მომტანი ლელოთი ფულ ბეკმა **იან ქორიმ** დაასრულა - 28:27.

**ბესიკ ჯანგავაძე**



| IX ტური | |
|---|---|
| ბლუზი (ზელ)-ლაიონზი (ს.აფრ) | 36:12 |
| ფორსი (ავსტრ)-ჰარიკეინზი(ზელ) | 27:28 |
| ვორათაზი (ავსტრ)-ბულზი (ს.აფრ) | 6:20 |
| ჰაილენდერზი (ზელ)-რედსი (ავსტრ) | 24:19 |
| ჩიტაზი (ს.აფრ)-შარქსი (ს.აფრ) | 31:6 |
| ბრამბიზი (ავსტრ)-სტორმერზი (ს.აფრიკა) | 17:10 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. შარქსი - 30 ქულა, 2. ვორათაზი - 27, 3. ჩიფსი - 27, 4. ბულზი - 27, 5. ჰარიკეინზი -24, 6. ბლუზი - 23, 7. ჰაილენდერზი - 22, 8. კრუსეიდერზი - 22, 9. ბრამბიზი - 22, 10. ფორსი - 19, 11. სტორმერზი - 15, 12.ლაიონზი - 14, 13. რედსი - 13, 14. ჩიტაზი - 7.

**X ტური**

ბლუზი (ზელ) - ჰაილენდერზი (ზელ)
ბრამბიზი (ავსტრ) - ბულზი (ს.აფრ)
ჰარიკეინზი(ზელ) - სტორმერზი (ს.აფრიკა)
რედსი (ავსტრ) - ლაიონზი (ს.აფრ)
ვორათაზი (ავსტრ) - ფორსი (ავსტრ)
ჩიტაზი (ს.აფრ) - ჩიფსი (ზელ)
შარქსი (ს.აფრ) - კრუსეიდერზი (ზელ)

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ევროპაში NBA-ის დივიზიონი იქნება



კევინ გარნეტი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** დარწმუნებულია, რომ ევროპაში მსოფლიოს უძლიერესი ლიგის დივიზიონი შეიქმნება. მისი აზრით, ამისთვის საჭიროა მაყურებლის გაცილებით დიდი აუდიტორია, სპონსორები და NBA-ის დონის უფრო მეტი სტადიონის აშენება.

*"ამ მიმართულებით უკვე 2-3 წელიწადია ვმუშაობთ. ამ დროის განმავლობაში ევროპაში NBA-ის სტილის ორი არენა აშენდა - ბერლინსა და ლონდონში. მსგავსი პროექტების რეალიზაციის მხრივ, ჩვენ პოზიტიურ ცვლილებებსა და აქტიურ მოქმედებას ვხედავთ ბარსელონაში, მადრიდში, რომსა და პარიზში. წინ კიდევ დიდი სამუშაო გვექნება ჩასატარებელი"*, - აცხადებს სტერნი ფრანგული "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

■ ■ ■

"ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **კევინ გარნეტს** მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში მისცემს მოედანზე გასვლის უფლებას. იმ დღეს NBA-ის ჩემპიონი "ვაშინგტონს" შეხვდება. "კელტების" დამრიგებელს არ სურს, რომ გარნეტმა, რომელმაც ბოლო 24 მატჩში ოცი შეხვედრა გამოტოვა, დაძაბულ ბრძოლებში მიიღოს მონაწილეობა.

**გია თვალაბეიშვილი**

**10 აპრილი**

**ორლანდო-ნიუ იორკი 95:105**
25:26, 28:25, 18:27, 24:27
ო: თურქოგლუ (24+9 მოხსნა), დ. ჰოვარდი (16+14 მოხსნა), ელსტონი (14), ლუისი (13), კ. ლი (12).
ნ-ი: ჰარინგტონი (27), ჩენდლერი (22+8 მოხსნა), დ. ლი (20+16 მოხსნა).

**ფილადელფია-კლივლენდ 92:102**
19:23, 27:29, 24:24, 22:26
ფ: იგუოდალა (26), ა. მილერი (17), ლ. უილიამსი (17).
კ: ლ. ჯეიმსი (27+10 პასი), მ. უილიამსი (18), შჩერბიაკი (18), დ. უესტი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ატლანტა-ინდიანა 122:118**
34:34, 28:26, 28:24, 32:34
ა: ჯ. სმიტი (30+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯო ჯონსონი (24), ჰორფორდი(22+15 მოხსნა), ბიბი (15+9 პასი), მიურეი (15).
ი: გრეინჯერი (35+3 ჩაჭრა), მერფი (21+10 მოხსნა), ჯეკი (17+7 პასი), ჰიბერტი (16+8 მოხსნა), ფორდი (12+3 ჩაჭრა), ბ. რაში (10+7 მოხსნა).

**ბოსტონი-მაიამი 105:98**
22:25, 32:22, 25:25, 26:26
ბ: პირსი (28+8 მოხსნა), გ. დევისი (22+8 მოხსნა), რ. ალენი (21), პერკინსი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), რონდო (7+10 მოხსნა+12 პასი).
მ: უეიდი (31+9 პასი), ბიზლი (23+13 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (16+9 მოხსნა+4 დაფარება).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 100:93**
27:20, 27:18, 24:30, 22:25
დ: ბინუმი (20), რ. უოლასი (15), მაქსიელი (11), მაკდაისი (11), ჰემილტონი (10+9 პასი), სტაკი (10+8 პასი).
ნ-ჯ: რ. ანდერსონი (20), დულინგი (16), ბ. ლოპესი (16+7 მოხსნა+3 დაფარება), დაგლას-რობერტსი (16), ვ. კარტერი (6+10 პასი).

**მემფისი-ფინიქსი 106:89**
23:27, 32:20, 29:21, 22:21
მ: გეი (20), მაიო (20+6 პასი), კონლი (17+6 პასი), უორიკი (15+10 მოხსნა), მ. გასოლი (14+4 დაფარება), არტური (4+10 მოხსნა).
ფ: ჯ. რიჩარდსონი (13), აზუბუიკე (13+9 მოხსნა).

**ოკლაჰომა-შარლოტა 84:81**
27:17, 21:20, 16:24, 20:20
ო: დურანტი (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კრსტიჩი (19+9 მოხსნა), უესტბრუკი (10+11 პასი), ჯ. გრინი (10+11 მოხსნა).
შ: ოგუსტინი (20), დიაო (19), ფელტონი (11), რადმანოვიჩი (10), ჯ. უოლასი (10+14 მოხსნა+5 ჩაჭრა).

**ტორონტო-ვაშინგტონი 98:100**
20:16, 21:21, 22:29, 35:34
ტ: ბოში (21+10 მოხსნა), კაპონო (20), კალდერონი (15+11 პასი), ე. პაკერი (10), მერიონი (7+10 მოხსნა).
ვ: ჯეიმისონი (24+12 მოხსნა), კ. ბატლერი (21+7 პასი), ჰეივუდი (15+9 მოხსნა+5 დაფარება), მაკგუაირი (8+11 მოხსნა+3 დაფარება).

**დალასი-ნიუ ორლეანი 100:92**
30:17, 19:20, 28:24, 23:31
დ: ნოვიცკი (25+7 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (25+11 მოხსნა), ტერი (18), დამპიე (12+8 მოხსნა), ბასი (8+13 მოხსნა), კიდი (3+7 მოხსნა+15 პასი).
ნ-ო: პოლი (42+9 მოხსნა+7 პასი), დ. უესტი (20+14 მოხსნა).

**სან ანტონიო-იუტა 105:99**
24:21, 25:20, 27:30, 29:28
ს-ა: ტ. პარკერი (31+7 პასი), რ. მეისონი (16), დანკანი (14+9 მოხსნა), გუდენი (14), უდოკა (13).
ი: დ. უილიამსი (25+10 პასი), ოქური (22+10 მოხსნა), რ. ბრიუერი (17), ბუზერი (15+8 მოხსნა).

**პორტლენდი-ლეიკერსი 106:98**
24:23, 25:30, 32:24, 25:21
პ: როი (24+8 პასი), ბლეიკი (16+6 პასი), ოლდრიჯი (16+8 მოხსნა), ფერნანდესი (15), ოდენი (10), აუთლო (10), პრჟიბილა (8+13 მოხსნა).
ლ: ბრაიანტი (32), ოდომი (17+10 მოხსნა), ბინუმი (13), პ. გასოლი (12), შ. ბრაუნი (10).

**გ. სტეიტი-ჰიუსტონი 109:113**
20:25, 36:34, 20:27, 33:27
გ-ს: აზუბუიკე (32), ტურიაფი (18), უოტსონი (18+9 პასი+3 ჩაჭრა), ე. რენდოლფი (17), მოროუ (16+3 ჩაჭრა).
ჰ: სკოლა (28+9 მოხსნა), ბრუქსი (20), არტესტი (19+6 პასი), ლოური (13), მუტომბო (10+15 მოხსნა+4 დაფარება).

**კლიპერსი-საკრამენტო 109:78**
35:13, 23:19, 25:20, 26:26
კ: სკინერი (21+10 მოხსნა+3 დაფარება), ე. გორდონი (20), ბ. დევისი (16+3 ჩაჭრა), კამანი (14+13 მოხსნა+4 დაფარება), ტეილორი (11), აკერი (11), კემბი (0+11 მოხსნა).
ს: უდრიხი (18), დიოგუ (13), ნოჩიონი (11+9 მოხსნა), ჰოვსი (8+13 მოხსნა).

**11 აპრილი**

**ინდიანა-დეტროიტი 106:102**
28:27, 24:22, 26:24, 28:29
ი: გრეინჯერი (24), ბ. რაში (21+7 მოხსნა), ჯეკი (18+6 პასი), ფორდი (18), მერფი (7+13 მოხსნა).
დ: ჰემილტონი (23), პრინსი (18), მაკდაისი (16+15 მოხსნა), ბინუმი (16+6 პასი), სტაკი (10).

**ნიუ ჯერსი-ორლანდო 103:93**
28:24, 29:23, 26:27, 20:19
ნ-ჯ: ვ. კარტერი (27+9 პასი), ბ. ლოპესი (13+[illegible] მოხსნა+4 დაფარება), დულინგი (12+10 პასი), ბუნი (11+8 მოხსნა), ბ. სიმონსი (11), დაგლას-რობერტსი (10).
ო: თურქოგლუ (16), ბეტი (14), პიეტრუსი (14), ელსტონი (13+8 პასი), ჯონსონი (11), კ. ლი (10+3 ჩაჭრა).

**მინესოტა-ფინიქსი 97:110**
8:31, 35:26, 21:24, 33:29
მ: ტელფეირი (21+3 ჩაჭრა), კარნი (17), გომესი (13), კ. სმიტი (11), მ. მილერი (10+9 მოხსნა+9 პასი).
ფ: ჰილი (19+4 ჩაჭრა), დადლი (16), ბარბოზა (16), შ. ო'ნილი (10+10 მოხსნა), ტაკერი (10), რ. ლოპესი (6+11 მოხსნა).

**ჩიკაგო-შარლოტი 113:106**
30:23, 22:27, 26:33, 35:23
ჩ: ბ. გორდონი (39), დ. როუზი (22+7 პასი), სალმონსი (19), ნოა (11+10 მოხსნა+7 პასი), ჰაინრიხი (10+3 ჩაჭრა).
შ: ფელტონი (26+7 პასი), დიაო (24+10 მოხსნა), ოგუსტინი (15+8 პასი), ოკაფორი (13+14 მოხსნა), ჯ. უოლასი (13).

**მილუოკი-ოკლაჰომა 115:98**
22:24, 34:27, 37:21, 22:26
მ: რ. ჯეფერსონი (35+9 მოხსნა), რიდნური (18+8 პასი), ვილანუევა (14+9 მოხსნა), სეშენსი (10+9 პასი), მბა ა მუტე (10+3 ჩაჭრა), ალექსანდერი (10).
ო: დურანტი (19+3 ჩაჭრა), ლივინგსტონი (14), უესტბრუკი (13+7 მოხსნა+6 პასი), უივერი (12+9 მოხსნა), უაიტი (11+8 მოხსნა).

**იუტა-გ. სტეიტი 108:118**
31:28, 20:36, 25:29, 32:25
ი: დ. უილიამსი (26+14 პასი), ბუზერი (25+12 მოხსნა), ოქური (18), კირილენკო (10).
გ-ს: უოტსონი (38+7 მოხსნა+9 პასი), კურცი (21), აზუბუიკე (18), მოროუ (13), ე. რენდოლფი (11+8 მოხსნა).

**კლიპერსი-პორტლენდი 72:87**
17:17, 14:29, 25:17, 16:24
კ: ე. გორდონი (18), ზ. რენდოლფი (13), ბ. დევისი (12).
პ: ოლდრიჯი (21+9 მოხსნა), როი (15), ფერნანდესი (13), პრჟიბილა (10+14 მოხსნა), ბლეიკი (10).

კრივი

# დაველოდოთ სამშაბათს: რას იზამს ოქროს ბიჭი?

კრივის სამყარო მოუთმენლად ელოდება სამშაბათს. ამ დღეს ლეგენდარული ამერიკელი საშუალოწონოსანი **ოსკარ დე ლა ჰოია** პრესკონფერენციას მოიწვევს და სწორედ იქ ოფიციალურად გამოაცხადებს - გააგრძელებს პროფესიულ კარიერას თუ ხელთათმანებს კედელზე ჩამოკიდებს. ბოლო ბრძოლა "ოქროს ბიჭმა" შარშან, დეკემბერში გამართა და ფილიპინელ მენი პაკიაოსთან ტექნიკური ნოკაუტით წააგო. იქიდან მოყოლებული, დე ლა ჰოიამ თავისი მომავლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ვერა და ვერ მიიღო.

*"ამ გადაწყვეტილებამდე დამოუკიდებლად მივედი - არც ჩემი პრომოუტერის რიჩარდ შაფერისთვის მიმიქცევია ყურადღება და არც მეუღლის რჩევები გამითვალისწინებია, - ამბობს სააგენტო AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დე ლა ჰოია. - მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, საკუთარი კარიერითა და მიღწევებით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სპორტსმენი ცდილობს მეტის მიღწევას, მაგრამ გულის სიღრმეში კარგად მესმის, რომ ისედაც დიდ გამარჯვებებს მივაღწიე".*




ოსკარ დე ლა ჰოია

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# იაგრი მსოფლიოზე მიდის



იარომირ იაგრი

სულ მალე შვეიცარიაში ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ბოლო ინფორმაციების თანახმად, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ბევრი ვარსკვლავი არ აპირებს პლანეტის პირველობაზე გამგზავრებას. მაგალითად, დიდი დანაკლისი ექნება ჩეხეთის ნაკრებს. თუმცა ამ გუნდში ვიხილავთ ლეგენდარულ **იარომირ იაგრს**, რომელიც გუშინ ჩავიდა პრალაში და ქვეყნის ეროვნული ნაკრების შეკრებას შეუერთდა.

*"მე რომ ნაკრებში თამაში არ მსურდეს, ამას ერთი თვით ადრე გამოვაცხადებდი და ომსკში ოთხი კვირა არ ვივარჯიშებდი. დიდი ხნის წინ ვთქვი, რომ თუ ნაკრებში გამომიძახებდნენ, აუცილებლად ვითამაშებდი მსოფლიოს პირველობაზე"*, - განაცხადა ომსკის "ავანგარდის" ფორვარდმა.

იაგრმა ჩეხი ჰოკეისტების უარზეც გააკეთა კომენტარი. *"გავიგე, რომ ბევრი მოთამაშე უარს ამბობს ჩამოსვლაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი, ვინც NHL-ის პლეი ოფში ვერ მოხვდნენ, ნაკრებში აუცილებლად ითამაშებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. სამწუხაროა, მაგრამ გუნდის სამწვრთნელო შტაბი რაღაცას მოიფიქრებს"*.

იმ ჰოკეისტების სიაში, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიდიან, ძირითადად მცველების გვარები ფიგურირებს: **ტომაშ კაბერლე, პაველ კუბინა, იაროსლავ შპაჩეკი, ფილიპ კუბა, ლუკაშ კრაიჩეკი** და **მარტინ სკოლა**. გუშინ გაირკვა, რომ შვეიცარიაში არ ითამაშებს "ტამპა ბეის" ფორვარდი **ვაცლავ პროსპალი**.

იაგრმა ბოლო 2005 წელს ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე და მაშინ **ვლადიმირ რუჟიჩკას** შეგირდებმა ოქროს მედლები მოიპოვეს.

■ ■ ■

შვედეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ეყოლება ვეტერანი ფორვარდი **დანიელ ალფრედსონი**. "ოტავას" კაპიტანმა ცოტა ხნის წინ ზურგის ტრავმა მიიღო და უკვე აცნობა შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელობას თავისი უარის შესახებ.

*"ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზურგის ტკივილი ვერ მოვიშორე, ამიტომაც ახლა ტრავმის სერიოზული მკურნალობა მესაჭიროება. არ მინდა ნაკრებში მოუმზადებელი ჩასვლა - ამით საკუთარ თავსაც ვაზარალებ და პარტნიორებსაც"*, - ამბობს ალფრედსონი.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთი ტური დარჩა

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ გარკვეული შედეგების შეჯამება უკვე შესაძლებელია.

აღმოსავლეთ კონფერენციიდან პლეი ოფში გასულმა გუნდებმა მეოთხედფინალური წყვილები შეადგინეს:

ბოსტონი (1)-მონრეალი (8)
ვაშინგტონი (2)-რეინჯერსი (7)
ნიუ ჯერსი (3)-კაროლინა (6)
ფილადელფია (4)-პიტსბურგი (5)

აქ გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ რომელ გუნდს ექნება "ფილადელფიასა" და "პიტსბურგის" წყვილში საკუთარი მოედნის უპირატესობა.

გაირკვა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი. ორივე კონფერენციაში ყველაზე მეტი ქულა "სან ხოსე შარქსმა" დააგროვა და "პრეზიდენტ ტროფიც" მას ერგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ზვიგენებს" პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

ცნობილი გახდა ორი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი. ორივე ტრიუმფატორი რუსი ჰოკეისტია. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **ევგენი მალკინი**. მის ანგარიშზე 113 ქულა (35 გოლი+78 შედეგიანი გადაცემა) მოდის. ახალგაზრდა თავდამსხმელი პირველად გახდა "არტ როს ტროფის" მფლობელი.

ბოლო ტურში მალკინის დაწევის შანსი ჰქონდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" ლიდერ **ალექსანდრ ოვეჩკინს**, მაგრამ შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა ბოლო ტურში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა და ჩემპიონატი 110 ქულით დაასრულა. სამაგიეროდ, ოვეჩკინმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის პრიზი - "მორის რიშარ ტროფი". წელს რუსმა ფორვარდმა 56 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**10 აპრილი**

**მინესოტა-ნეშვილი 8:4**
2:1, 3:1, 3:2
გოლები: 0:1 არნოტი-32 (სალივანი-20), 1:1 ფრიტშე-5, 2:1 ბრუნეტი-22 (შეპარდი-18, ფოსტერი-3), 3:1 მ-ა. ბერჟერონი-12 (ქილი-5, ფრიტშე-8), 4:1 კ. იონსონი-2 (შეპარდი-19, გაბორიკი-8), 4:2 არნოტი-33 (ჰამჰუისი-23, დუმონი-48), 5:2 მ-ა. ბერჟერონი-13 (გაბორიკი-9, ოლვეცკი-5), 5:3 შ. უებერი-23 (დუმონი-49, სალივანი-21), 6:3 მ. კოივუ-19, 6:4 სალივანი-11 (შ. უებერი-30), 7:4 კლატერბეკი-11 (ველო-10, ფოსტერი-4), 8:4 ჟიდლიცკი-12 (მ. კოივუ-46).

**სენტ ლუისი-კოლამბუსი 3:1**
2:0, 1:1, 0:0
გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-15 (ტკაჩუკი-24, ბოიესი-38), 2:0 ტკაჩუკი-24 (ბოიესი-39, ე. მაკდონალდი-28), 2:1 ნოვოტნი-4 (პეიდა-18, ვორაჩეკი-29), 3:1 ტკაჩუკი-25 (მაკკი-6, ეოივიტკა-15).

**ედმონტონი-კალგარი 5:1**
0:0, 2:0, 3:1
გოლები: 1:0 კოტალიკი-20 (პემსკი-43, პორკოფი-35), 2:0 მაკინტაირი-2 (ბროძიაკი-15, სურეი-29), 3:0 პორკოფი-17 (სურეი-30, გრებეშკოვი-31), 3:1 კამალერი-37 (ო. იოკინენი-28, პელეჩი-2), 4:1 ო'სალივანი-16 (ბროძიაკი-16), 5:1 სურეი-23 (გრებეშკოვი-32, პორკოფი-36).

**ანაჰაიმი-დალასი 4:3 (ბ)**
1:0, 0:1, 2:2, 0:0
გოლები: 1:0 მარჩანტი-5 (რ. ნიდერმაიერი-7, ნოკელაინენი-29), 1:1 ოტი-18 (ვიშნევსკი-2, ნისკანენი-29), 2:1 ს. ნიდერმაიერი-14 (პერი-40, ვიშნიევსკი-19), 2:2 ბრუნსტრიომი-17 (ოტი-27, რიბეირო-42), 3:2 ებეტი-8 (სელიანე-26, ს. ნიდერმაიერი-43), 3:3 ოტი-19 (ბრუნსტრიომი-12, რიბეირო-56).
ბულიტები გაიტანეს: ნილი (დალასი), გეტცლაფი (ანაჰაიმი), სელიანე (ანაჰაიმი).

**11 აპრილი**

**კოლამბუსი-მინესოტა 3:6**
2:0, 0:3, 1:3
გოლები: 1:0 ნეში-40 (მალჰოტა-24), 2:0 ბოლი-4 (მოური-3), 2:1 ფოსტერი-1, 2:2 გაბორიკი-12 (ბელანჟე-23), 2:3 სკოულა-4 (ფოსტერი-5, გაბორიკი-10), 2:4 გაბორიკი-13 (მ. კოივუ-47, ბრუნეტი-28), 2:5 მ-ა. ბერჟერონი-14 (ჟიდლიცკი-30, ნოლანი-20), 3:5 დორსეტი-4 (რასელი-19), 3:6 მ. კოივუ-20.

**ნიუ ჯერსი-კაროლინა 3:2**
2:1, 0:0, 1:1
გოლები: 1:0 კლარკსონი-17 (როლსტონი-16, სალვადორი-13), 1:1 ბაბჩუკი-15 (ბრინდამორი-34, რეი უიტნი-52), 2:1 პარიზე-45 (ჰაველიდი-17, როლსტონი-17), 2:2 ბაბჩუკი-16 (რეი უიტნი-53, ბრინდამორი-35), 3:2 ზუბრუსი-15 (ჯონტა-40).

**აილენდერსი-ფილადელფია 2:3**
1:0, 1:3, 0:0
გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-15 (უეიტი-28, ჟერვე-16), 1:1 ლუპული-25 (ქობ-ურნი-21, ჯ. კარტერი-38), 1:2 ნუბლი-27 (საიმონ განიე-40, ბრიერი-13), 2:2 ჯეკმენი-5 (ჰიბერტი-16, ბეილი-18), 2:3 საიმონ განიე-34 (მ. რიჩარდსი-50).

**დეტროიტი-ჩიკაგო 2:4**
1:1, 1:0, 0:3
გოლები: 0:1 ჰიალმარსონი-1 (ჰავლატი-46, ბ. კემპბელი-43), 1:1 ფილპულა-12 (ჰუდლერი-34, რაფალსკი-49), 1:2 ზეტერბერგი-31 (კლირი-26), 2:2 იგერი-11 (ლედი-16, ბ. კემპბელი-44), 2:3 ბიფულინი-15 (ბულიტი), 2:4 ლედი-14 (სიბრუკი-17, ჰავლატი-47).

**კოლორადო-ვანკუვერი 0:1 (ო)**
0:0, 0:0, 0:0, 0:1
გოლი: 0:1 ჰ. სედინი-22 (დ. სედინი-51, უ. მიტჩელი-20).

**ბაფალო-ბოსტონი 6:1**
4:0, 1:0, 1:1
გოლები: 1:0 კონოლი-18 (ვანეკი-24, სეკერა-15), 2:0 ბატლერი-2 (რივე-22, მეირი-11), 3:0 ვანეკი-39 (პომინვილი-46), 4:0 პეი-12 (ელისი-5, ნუმინენი-15), 5:0 ელისი-7 (სეკერა-16), 5:1 რეკი-23 (პანვიკი-20, რაიდერი-26), 6:1 ვანეკი-40 (კონოლი-29, შპაჩეკი-37).

**ატლანტა-ტამპა ბეი 6:2**
2:1, 3:0, 1:1
გოლები: 1:0 კ. არმსტრონგი-21 (ბოგოსიანი-10, ენსტრიომი-27), 2:0 პერეხი-7 (რისონერი-15, ექსელბი-7), 2:1 პეტინგერი-8 (ჰალპერნი-9, კუიკი-1), 3:1 კოვალჩუკი-43 (ტ. უაიტი-51, პეინსი-33), 4:1 პეინსი-6 (პევერლი-28), 5:1 კ. არმსტრონგი-22 (ვიაჩ. კოზლოვი-50, პევერლი-29), 5:2 სტემკოსი-23, 6:2 კ. სტიუარტი-5 (რისონერი-16).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 4:3**
2:1, 1:1, 1:1
გოლები: 0:1 სეტოგუჩი-31 (ერჰოფი-34, ჯ. ტორნტონი-61), 1:1 პანძუში-18 (სიმონდსი-14, დრიოუსკი-2), 2:1 ფროლოვი-32 (ჯასტინ უილიამსი-10), 3:1 სიმონდსი-9 (დრიოუსკი-3, პურსელი-12), 3:2 პაველსკი-25 (მ. მიხალეკი-34, ვლასიჩი-30), 4:2 ჰაროლდი-4 (ცაილერი-1), 4:3 მარლო-38 (რ. ბლეიკი-35, სეტოგუჩი-34).

**ტორონტო-ოტავა 5:2**
1:0, 1:2, 3:0
გოლები: 1:0 დევერო-4 (სტემპნიაკი-29), 2:0 დევერო-5 (სტემპნიაკი-30, სტაიანი-39), 2:1 სპეცა-32, 2:2 კელი-12, 3:2 ჰაგმანი-21 (გრაბოვსკი-28, პონიკაროვსკი-38), 4:2 დევერო-6 (სტაიანი-40), 5:2 ჰაგმანი-22.

**მონრეალი-პიტსბურგი 1:3**
1:1, 0:0, 0:2
გოლები: 0:1 მალკინი-35 (გონჩარი-13, ფედოტენკო-23), 1:1 ჰამრლიკი-6 (კომისარეკი-9, ლატენდრესი-12), 1:2 ტელბოტი-12 (დუპუი-16), 1:3 ლეტანგი-10 (ჯ. სტაალი-27).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 7:4**
1:1, 2:1, 4:2
გოლები: 0:1 ლეიჩი-23 (სიომინი-45), 1:1 ბუტი-30 (მაკეიბი-24, უეისი-46), 2:1 დვორაკი-15 (სკრასტინსი-13, ბუტი-27), 3:1 მაკეიბი-15 (ბუტი-28, ფროლიკი-23), 3:2 სიომინი-33 (ოვეჩკინი-54, ბექსტრიომი-65), 3:3 სიომინი-34 (პოტიე-2, ფიოდოროვი-22), 4:3 ბუტი-31 (ფროლიკი-24, სკრასტინსი-14), 4:4 ოვეჩკინი-56 (ვიქ. კოზლოვი-28, ბექსტრიომი-66), 5:4 ემინგერი-5 (კრეპსი-15, მაკლინი-12), 6:4 ფროლიკი-21 (ბუტი-29), 7:4 ტარნავსკი-1 (უეისი-47, ბალარდი-28).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 5:4 (ბ)**
1:0, 3:2, 0:2, 0:0
გოლები: 1:0 რაინპრეხტი-13 (იენდლი-25, დოუნი-41), 1:1 კრისტენსენი-7 (ვიშნიევსკი-20, რაიან უიტნი-21), 2:1 ფედორუკი-6 (ზ. მიხალეკი-21, რაინპრეხტი-26), 3:1 რაინპრეხტი-14 (იენდლი-26, ტოვანოვსკი-27), 3:2 პერი-32 (ს. ნიდერმაიერი-44, სელიანე-27), 4:2 ლისინი-13 (დოუნი-42, რაინპრეხტი-27), 4:3 ბ. რაიანი-31 (ვიშნიევსკი-21, ებეტი-24), 4:4 სელიანე-27 (გეტცლაფი-66, ს. ნიდერმაიერი-45).
ბულიტები გაიტანეს: პერი (ანაჰაიმი), რაინპრეხტი (ფინიქსი), გეტცლაფი (ანაჰაიმი), დოუნი (ფინიქსი), ტიხონოვი (ფინიქსი).

**კალგარი-ედმონტონი 4:1**
0:0, 2:1, 2:0
გოლები: 0:1 გილბერტი-5 (პიზანი-8, კოლიანო-20), 1:1 კამალერი-38 (კონროი-36, პელეჩი-3), 2:1 კამალერი-39 (მოსი-19, ვანდერმეერი-6), 3:1 კონროი-12 (კამალერი-43, ა. ოკუანი-24), 4:1 ლუნდმარკი-8 (ლეოპოლდი-17, ნეგრინი-1).

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ნიუ ორლეანი-დალასი | 102:92 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ოლდენბურგი | 96:98 |
| ბრაუნშვაიგი-ალბა | 65:64 |
| ჰეტინგენი-ულმი | 70:62 |
| ჯაიანტსი-ტელეკომი | 65:67 |
| ტიუბინგენი-სკაილაინერსი | 59:72 |
| ბამბერგი-ერტლანდი | 63:78 |
| ლუდვიგსბურ.-ბრემერჰაფენი | 88:82 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| არისი-ლარისა | 77:62 |
| კავალა-აეკ | 73:59 |
| ოლიმპია-კოლოსოსი | 62:73 |
| პანელინიოსი-მარუსი | 81:84 |
| ეგალეო-პანიონიოსი | 53:76 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 77:76 (ო) |
| ოლიმპიაკოსი-ტრიკალა | 81:60 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| მენორკა-უნიკახა | 67:78 |
| ვალენსია-ბილბაო | 80:67 |
| სარაგოსა-კახასოლი | 73:80 |
| ბარსელონა-ბრუესა | 86:64 |
| გრან კანარია-ტაუგრესი | 73:89 |
| მურსია-ხუვენტუდი | 71:58 |
| ესტუდიანტესი-გრანადა | 72:76 |

| იტალია | |
|---|---|
| ფორტიტუდო-მილანი | 66:69 |
| კაზერტა-მონტეგრანარო | 88:81 |
| კანტუ-ფერარა | 76:79 |
| რომა-რიეტი | 99:75 |
| სკავოლინი-სიენა | 90:100 |
| სნაიდერო-აველინო | 66:79 |
| ბენეტონი-ბიელა | 69:76 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ბეზანსონი-დიჟონი | 89:97 |
| გრაველენი-რუანი | 85:66 |
| ლე მანი-პო ორტეზი | 96:57 |
| ნანსი-სტრასბური | 83:70 |
| რუანი-შალონი | 88:68 |
| ტულონი-შოლე | 88:75 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| ჩიკაგო-დეტროიტი | 3:0 |

| რუსეთი | |
|---|---|
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-აისბარენი | 3:1 |

| დანია | |
|---|---|
| სენდერიისკი-ჰერნინგი | 5:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იუვიასკიულა-კერპეტი | 2:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| დავოსი-კლოტენი | 0:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| მონტანიესი-სერა | 4:6, 4:6 |
| ფერერო-ანდრეევი | 7:6, 6:3 |
| ფერერო-სერა | 6:4, 7:5 |

| ATP. ჰიუსტონი | |
|---|---|
| ოდესნიკი-ფაუ | 6:4, 6:3 |
| ჰიუიტი-კოროლიოვი | 7:6, 6:4 |

| WTA. მარბელია | |
|---|---|
| ს. ნავარო-კირსტეა | 6:2, 6:7, 6:2 |
| იანკოვიჩი-მ. გარიგესი | 7:5, 6:2 |
| იანკოვიჩი-ს. ნავარო | 6:3, 3:6, 6:3 |

| WTA. პონტე ვედრა | |
|---|---|
| პეტროვა-ვოზნიაკი | 4:6, 6:4, 2:6 |
| ვოზნიაჩკი-ვესნინა | 2:6, 6:3, 7:6 |
| ვოზნიაჩკი-ვოზნიაკი | 6:1, 6:2 |

## TV პროგრამა

**13 აპრილი. ორშაბათი**

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-გრენბოლი.
08:20 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ატლეტიკო.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალიადოლიდი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 საფეხბურთო პროგრამა.
16:45 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ველეს სარსფილდი.
18:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მაინცი-ფრაიბურგი (LIVE).
00:10 საფეხბურთო ლამე.
00:40 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:15 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მაინცი-ფრაიბურგი.
04:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულჰემი.
05:50 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 ახალი ამბები.
06:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. ბოსტონი-ტამპა ბეი.
11:15 ახალი ამბები.
11:45 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ბრედფორდი-ლიდსი.
13:30 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:00 სპორტული დღე.
14:45 ფიგურული სრიალი. გრანპრი. რუსეთი.
18:30 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. საკრამენტო-სან ანტონიო.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 პროფესიული კრივი. პოლ უილიამსი-ვინკი რაიტი.
00:30 ახალი ამბები.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ჰიპო (ავსტრია)-დიორი (უნგრეთი).
02:15 ბრძოლა წესების გარეშე.
04:40 ახალი ამბები.
04:50 როდეო. BULL RIDERS.
05:50 კალათბურთი. NCAA-ის ჩემპიონატი. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. კონექტიკუტი-მიჩიგანი.

**EUROSPORT**

10:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.
11:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
12:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. კანადა.
14:30 ველოსპორტი. პარიზი-რუბე.
15:30 ველოსპორტი. თურქეთის ტური. I ეტაპი.
16:00 ველოსპორტი. თურქეთის ტური. II ეტაპი (LIVE).
18:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
19:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ლიონელ მესი.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
22:15 მულტისპორტი.
22:30 არმრესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ავსტრალია.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. V ტური. ჰიროშიმა-კაშივა.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ჰიპო (ავსტრია)-დიორი (უნგრეთი).
14:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. გერმანია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 ბალახი ს ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. გერმანია (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ჰიპო (ავსტრია)-დიორი (უნგრეთი).
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
21:15 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ავსტრალია.
22:00 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
22:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
00:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ტრიკალა.
01:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ფედერერმა იქორწინა




მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** ურთიერთობა დააკანონა თავის მეგობარ გოგონა **მიროსლავა ვავრინეცთან**. წყვილმა შაბათს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში იქორწინა.

თუ კორტზე წარუმატებლობებს არ ჩავთვლით (ამ სეზონში შვეიცარიელ ჩოგბურთელს ჯერ არც ერთი ტურნირი არ მოუგია), 2009 წელს ფედერერი სასიამოვნოდ აკვირვებს თავის თაყვანისმცემლებს. დაახლოებით ერთი თვის წინ როჯერმა გამოაცხადა, რომ ზაფხულში ის პირველი შვილის მამა გახდება, ახლა კი გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ როჯერმა და მიროსლავამ იქორწინეს.

*"დღეს ჩემს მშობლიურ ქალაქ ბაზელში უახლოესი ადამიანების მცირე ჯგუფის თანდასწრებით მე და მირკა შევუღლდით,* - ასეთი განცხადება გაჩნდა შაბათს, "დიდი სლემის" ტურნირების 13-გზის ჩემპიონის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *ეს გაზაფხულის უმშვენიერესი დღე იყო და სიხარულის არაჩვეულებრივი საბაბი გვქონდა. ბატონი და ქალბატონი ფედერერები ბედნიერ უქმეებს გისურვებენ".*

როგორც ჩანს, სწორედ დაგეგმილი ქორწილის გამო არ აპირებდა როჯერი მონტე კარლოს მასტერსში თამაშს, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა კორტზე გასვლა და ხვალიდან ჩაებმება ბრძოლაში. ეს იქნება ახალდაქორწინებულების პირველი საქორწინო მოგზაურობა.

მიროსლავა ვავრინეცი სლოვაკეთში დაიბადა, მაგრამ ორი წლის იყო, როცა მისი ოჯახი შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად. გოგონას მშობლები შაფჰაუზენში დასახლდნენ, სადაც საიუველირო მაღაზია გახსნეს. 1987 წელს, როცა ვავრინეცი 9 წლის იყო, ის მამამისთან ერთად გერმანიის ქალაქ ფილდერშტადტში საჩოგბურთო ტურნირზე მოხვდა. იქ მიროსლავა ლეგენდარულ **მარტინა ნავრატილოვას** შეხვდა, რომელმაც გოგონას ჩოგანი აჩუქა და პირველი საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ვავრინეცი პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა, მაგრამ 2002 წელს, ფეხის ტრავმის გამო დაასრულა კარიერა.

როჯერმა და მიროსლავამ 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე გაიცნეს ერთმანეთი და უკვე ექვს წელიწადზე მეტია ერთად არიან, თუმცა ურთიერთობის დაკანონება მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს.

# შოკოლადის რაფა


რაფაელ ნადალი

ბარსელონაში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა საკონდიტრო ფირმა Patisserie Prats de Lleida-მ სააღდგომოდ შოკოლადის ტორტის გამოცხობა გადაწყვიტა. ეს გახლავთ მსოფლიოს პირველი ჩოგანის **რაფაელ ნადალის** ფიგურა, რომელიც ჩოგბურთელის ნატურალურ ზომებშია შესრულებული.

ამ "სკულპტურის" შესაქმნელად 110 კილოგრამი შოკოლადი დაიხარჯა. ნადალი მატჩის მოგების შემდეგ, თავის ლეგენდარული Vamos!-ის წამოყვირების მომენტშია გამოსახული.

ორიგინალური საკონდიტრო ქმნილების ავტორია **რამოს პრატსი**, რომელიც ამბობს, რომ ამით პატივი სცა კორტზე რაფას ბოლოდროინდელ მიღწევებს.

*"ყოველ წელს ვირჩევთ ადამიანს, რომელიც ჩვენგან შოკოლადის ძეგლს იმსახურებს"*, - განაცხადა პრატსმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ გასულ წელს შოკოლადის ტორტი "ბარსელონას" ახალგაზრდა ფეხბურთელის **ბოიან კრკიჩის** პატივსაცემად შეიქმნა.

ბარსელონაში შოკოლადის სკულპტურის შექმნა სააღდგომო ზეიმის ნაწილია და მას უკვე 100-წლიანი ტრადიცია გააჩნია.

ნადალისა და კრკიჩის გარდა, Patisserie Prats de Lleida-ს კალათბურთელ **პაუ გასოლის**, ფეხბურთელ **რონალდოს**, ავტომრბოლელ **ფერნანდო ალონსოს**, ჩოგბურთელ **ალექს კორეჩას** ფიგურები შეუქმნია.

# უცნაური მიურეი


ენდი მიურეი

მაიამის მასტერსის მოგების შემდეგ ბრიტანელმა ჩოგბურთელმა **ენდი მიურეიმ** უკან დასაბრუნებელ ბილეთზე ფულის ეკონომია განიზრახა, რითაც დიდად გააკვირვა საკუთარი თაყვანისმცემლები.

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა მაიამიში 600 ათასი დოლარი მიიღო. მიუხედავად ამისა, ძვირადღირებულ ბილეთებზე ფულის დახარჯვა არ ისურვა. ენდი, მისი შეყვარებული **კიმ სირსი** და ჩოგბურთელის ოჯახი ბრიტანეთის მიმართულებით ეკონომკლასით გაემგზავნენ.

მიურეი რეისის მოლოდინშიც უცნაურად იქცეოდა. როგორც ჩანს, მას შეყვარებულთან ურთიერთობის თავისებური მანერა ჰქონია, რაც ამ ფოტოზე კარგად ჩანს.

სამშობლოში დაბრუნებული ენდი სათიხნარო სეზონისთვის მზადებას შეუდგა და ის ამ კვირას მონტე კარლოს მასტერსზე ცდის ძალებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# შარაპოვას მადრიდში ელიან

კვლავაც აქტუალურად დგას დღის წესრიგში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **მარია შარაპოვას** დაბრუნების საკითხი. ორი დღის წინ ვწერდით, რომ რუს ჩოგბურთელს უჭირს წინასწარ იმის თქმა, როდის განაახლებს პროფესიულ კარიერას, თუმცა ამას მის ნაცვლად სხვები აკეთებენ.

მადრიდის ტურნირის დირექტორი **მანოლო სანტანა** იმედოვნებს, რომ შარაპოვას დაბრუნება სწორედ ამ ტურნირის ჩატარებას დაემთხვევა. ესპანეთის დედაქალაქში უმაღლესი კატეგორიის ჩემპიონატი 8-18 მაისს ჩაივლის და იქ ქალების პარალელურად, მამაკაცებიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

*"მარია მუდმივად ცდილობს კორტზე დაბრუნებას და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ნანატრი მოვლენა სწორედ მადრიდში შედგება"*, - განაცხადა სანტანამ.

შარაპოვა მხარის ტრავმის გამო არ თამაშობს. მას სეზონის სტარტზე ჰქონდა დაგეგმილი კარიერის განახლება, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით გამოტოვა ავსტრალიის ღია პირველობა, პარიზი, დუბაი, მაიამი... ინდიან უელსში კორტზე კი გავიდა; მაგრამ თანამემამულე **ელენა ვესნინასთან** ერთად მხოლოდ წყვილთა თანრიგში ითამაშა და თან წარუმატებლად - რუსული დუეტი პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.

შაბათს ATP-იმ და WTA-მ მადრიდის ტურნირის მონაწილეთა სია გამოაქვეყნეს. ორივე რეიტინგის ტოპ-ათეულის ყველა წევრი აპირებს ესპანეთის დედაქალაქში ჩასვლას. სიაში შარაპოვაცაა, რომელიც ამჟამად რეიტინგის 30-ე ადგილს იკავებს, მაგრამ ითამაშებს თუ არა მარია ესპანეთში, არავინ იცის, თვით ჩოგბურთელმაც კი.

მადრიდში მამაკაცთა ტურნირი 2002 წლიდან ტარდება, ქალები კი აქ პირველად ითამაშებენ.

ფორმულა 1

# სხვაობა 0.404 წამია

ფორმულა 1-ში ტექნიკური რეგლამენტი თითქმის ყოველ წელს იცვლება და წესების ახალ ვერსიას ბოლიდების სიჩქარის კლებისკენ მივყავდით. მსგავს ეფექტს ელოდნენ 2009 წლის ჩემპიონატშიც, მაგრამ პირიქით მოხდა. როგორც ჩანს, შარშანდელი მანქანების შექმნისას, ინჟინრებმა მაქსიმუმს მიაღწიეს აეროდინამიკის ხარჯზე, ამჯერად კი ამ მხრივ ბევრი დამატებითი ელემენტი დაკარგეს, "სლიკები" მიიღეს და მანქანებიც კი უფრო სწრაფად დაქრიან.

დღეს ჩემპიონატში ბოლიდების სხვადასხვა ვერსია არსებობს. რამდენიმე გუნდი იყენებს KERS-ს, ზოგიერთი - ორმაგ დიფუზორს, **ედრიან ნიუიმ** შექმნა და გამოიყენა დაკიდების საინტერესო სქემა, რომელიც ტრასასთან უკეთეს კონტაქტს უზრუნველყოფს.

აქამდე ჩატარებული საკვალიფიკაციო სესიების შედეგებიდან ჩანს, რომ უპირატესობა აქვთ ორმაგი დიფუზორებით აღჭურვილ ბოლიდებს - მელბურნსა და სეპანგში კვალიფიკაციის ფინალში ექვსიდან ხუთი ასეთი მანქანა გავიდა. ამასთან, შარშანდელ და წლევანდელ საუკეთესო დროებს შორის სხვაობა 0.404 წამს შეადგენს - სწორედ ამდენით არის სწრაფი ამ სეზონის ბოლიდი შარშანდელზე.

ორივე კვალიფიკაციაზე საუკეთესო ათეულში მოხვდნენ "რედ ბულის" პილოტები, რომლებიც ნიუის შექმნილი ბოლიდებით გამოდიან. თუ KERS-ზე ვილაპარაკებთ, ენერგიის რეკუპერაციის სისტემა მნიშვნელოვან ეფექტს არ იძლევა, თუმცა ამ სისტემის შეფასების შესაძლებლობა მაშინ მოგვეცემა, როცა KERS-ს ამ სეზონის საუკეთესო ბოლიდზე დააყენებენ.

| | | |
|---|---|---|
| **მელბურნი** | | |
| 2008 | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1:25.187 |
| 2009 | ბარიკელო (ბრაუნი) | 1:24.783 |
| **სეპანგი** | | |
| 2008 | რაიკონენი (ფერარი) | 1:34.188 |
| 2009 | ბატონი (ბრაუნი) | 1:33.784 |

